გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
25 მაისი ოთხშაბათი 2011
№ 120 (13417) ფასი 60 თეთრი



## ნაკრები, დღე მეორე, ჩამოსვლები: კალაძე, ხუბუტია

2

## ვის ერგება ალაფი?



## საქართველომ კანადა 38:9 დააჩოქა

8



## მაღალი სხუმარი

10

არვიდას საბონისი ევროპას წარმოგვიდგენს

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## არმია ალლუმი უკვე მოაწყო



9

# 27-ში აწმყო მომავალს შეხვდება
# თხოვნა ვოლგას და უეფას: გაგვიგეთ!



## უშანსოდ ნამდვილად არ ვართ

**ეროვნული ნაკრების შეკრების მეორე დღე თემურ ქეცბაიას პრესკონფერენციით დაიწყო. მთავარ მწვრთნელთან ერთად მედიის წინაშე ნაკრებისა და ჰოლანდიური "ვიტესის" მცველი გურამ კაშია წარდგა.**

**თემურ ქეცბაია:**

- როგორც იცით, შეკრება 23 მაისს დავიწყეთ, მაგრამ სრული შემადგენლობით ჯერ ვერ ვვარჯიშობთ. გუნდს დღეს შეუერთდნენ კახა კალაძე და აკაკი ხუბუტია, დანარჩენები კი მოგვიანებით შემოგვემატებიან.

უკვე შევუთანხმდი ოთარ გაბელიას და 27 მაისს საკონტროლო მატჩში ერთმანეთს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები შეხვდებიან. ვფიქრობ, საინტერესო და სასარგებლო თამაში იქნება ორივე გუნდისთვის.

მომავალ ორშაბათს რუსეთის ჩემპიონატში "ვოლგა" კალენდარულ შეხვედრას ატარებს, რაც ჩვენთვის ძალიან არახელსაყრელია – ნაკრების ის წევრები, რომლებიც ამ კლუბში თამაშობენ, შეკრებაზე დააგვიანებენ. "ვოლგასა" და უეფას თხოვნით მივმართეთ, რომ ეს მატჩი ან შაბათ-კვირისთვის გადაიტანონ, ან მოგვიანებით ჩაატარონ. იმედია, ჩვენს პოზიციას გაგებით მოეკიდებიან.

**- ხოჯავას ჯანმრთელობის მდგომარეობაზე რა იცით?**

- ვიცი, რომ გუნდთან ერთად ვარჯიშობს. ჩამოვა და ადგილზე ვნახავთ, როგორ გრძნობს თავს.

**- ამისულაშვილის თამაში უკვე გადაწყვეტილია?**

- დიახ, მან რუსეთის ჩემპიონატში უკვე ითამაშა და ნაკრებსაც დაეხმარება. მოხარული ვარ, რომ ამისულაშვილი მოსალოდნელზე უფრო მალე გამოჯანმრთელდა.

**- ანანიძე როგორ გრძნობს თავს?**

- "სპარტაკის" განაცხადში უკვე ხვდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აღარ აწუხებს.

**- დებიუტანტები როგორ შთაბეჭდილებას ტოვებენ?**

- ყველა მონდომებულია. კარგად ესმით, რომ ამ შანსის გამოსაყენებლად ბევრი უნდა იშრომონ და ვინც დაიმსახურებს, შანსს აუცილებლად მივცემ.

**- როგორ ტაქტიკას დაუპირისპირებთ ხორვატიას?**

- ყველამ კარგად ნახეთ, თუ როგორი მძიმე მატჩი მოვიგეთ თბილისში ხორვატიასთან. დარწმუნებული ვარ, სპლიტში ამაზე გაცილებით რთული ბრძოლა გველის, თუნდაც იმიტომ, რომ ხორვატები ჩვენს ძალებს ახლა უფრო სათანადოდ აფასებენ და თან რევანშისთვის საგანგებოდ ემზადებიან. უდავოა, რომ თავიდანვე დიდი ძალებით შემოგვიტევენ, რასაც გუნდური თამაშითა და ბრძოლით უნდა დავუპირისპირდეთ. კარგად იცით, რა ძალის გუნდია ხორვატია, მაგრამ უშანსოდ ნამდვილად არ ვართ.

**- სეზონის ბოლოა და ფეხბურთელები გადაღლილები ხომ არ არიან?**

- ასეთ დროს იდეალურ კონდიციებში არავინაა, მაგრამ საქართველოს ნაკრებში პროფესიონალები თამაშობენ და საკუთარ თავში აუცილებლად იპოვიან იმ ძალას, რომ ასეთ მნიშვნელოვან მატჩში საუკეთესო თვისებები გამოავლინონ.

თემურ ქეცბაია

ფოტო: www.gff.ge

### გურამ კაშია:
## ფლანგი მორჩა, ცენტრში ვარ!

- ხორვატიასთან სტუმრად თამაში ნებისმიერი გუნდისთვის რთულია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საქართველოს ნაკრები თავის სიტყვას ამჯერადაც იტყვის. ფსიქოლოგიურად კარგად ვართ მომზადებულები და გვჯერა, რომ ხორვატიასთან წარმატების მიღწევა მეორედაც შეგვიძლია.

**- საკუთარ ფორმას როგორ შეაფასებ?**

- მთელი სეზონის განმავლობაში სათამაშო პრაქტიკა არ მომკლებია და ვგრძნობ, რომ ნაკრებისთვის სარგებლობის მოტანა შემიძლია.

**- კლუბში მარჯვენა მცველად თამაშობ. ეს დისკომფორტს ხომ არ გიქმნის?**

- "ვიტესში" მარჯვენა მცველის პოზიციაზე მხოლოდ რამდენიმე საწყისი მატჩი ჩავატარე, უკვე ექვსი თვეა, დაცვის ცენტრში ვთამაშობ და არ ვიცი, რატომ ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს ფლანგის მცველად მაყენებენ.



**პრესკონფერენციის შემდეგ ნაკრების კიდევ რამდენიმე წევრს გავესაუბრეთ.**



**კახა კალაძე:** *"ამ მატჩის მნიშვნელობას თითოეული ჩვენგანი კარგად აცნობიერებს. ვალდებულნი ვართ, მოედანზე თავი დავდოთ და ხორვატიის ძლიერ ნაკრებს ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიოთ. ხორვატიის ნაკრებს ჩვენთან შეხვედრაში რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დააკლდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თბილისური მატჩის მსგავსად ბევრ პრობლემას შეგვიქმნის. ჩვენ კი ამ დაპირისპირებისთვის სათანადოდ მოვემზადებით და ისრაელში ჩატარებული მატჩისგან განსხვავებით მოედანზე გადაღლილები არ გავალთ".*

**უჩა ლობჟანიძე:** *"ტრავმის შემდეგ ძველ ფორმას ვიბრუნებ და მზად ვარ, საქართველოს ნაკრებს ძველებურად გამოვადგე. უმნიშვნელოვანესი მატჩი გველის და მჯერა, გუნდი თავს არც ამჯერად შეირცხვენს".*



**ალექსანდრე იაშვილი:** *"მიმდინარე შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების წარმატებულმა ასპარეზობამ საკუთარი თავისა და უკეთესი მომავლის რწმენა ფეხბურთელებსაც შემატა და გულშემატკივრებსაც. ხორვატიის ნაკრების სიძლიერე ყველასთვის თვალსაჩინოა, მაგრამ გუნდური სულისკვეთებით ჩვენც ბევრის მიღწევა შეგვიძლია. საქართველო-ხორვატიის თბილისური მატჩის შემდეგ გერმანიაში მოთამაშე ხორვატ ფეხბურთელებს ვესაუბრე და საქართველოს ნაკრების წინსვლით ყველა განცვიფრებულია".*

**ლევან ჯანეზაშვილი**

## გრაფიკი ცნობილია, ნაკრებში [illegible] და თასის ფინალზე

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა გუშინაც 18 საათზე ივარჯიშა. წვრთნამ ჩვეულ რეჟიმში ჩაიარა, გუნდს **კახა კალაძე** და **აკაკი ხუბუტია** შეუერთდნენ.

ნაკრების სახორვატიო მზადების გრაფიკი უკვე დეტალურადაა ცნობილი. **თემურ ქეცბაიას** გუნდი "ბასაზე" ყოველდღიურად 18 საათიდან ივარჯიშებს. გამონაკლისია 26 და 27 მაისი და 2 ივნისი – 26-ში ნაკრები საქართველოს თასის ფინალს დაესწრება და ამიტომაც ვარჯიში დილის 11 საათზე დაიწყება, 27-ში "ბასაზე" ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების სპარინგი გაიმართება, 2-ში კი ვარჯიში ისევ დილას ჩატარდება და ქართული დელეგაცია სპლიტში იმავე დღეს გაემგზავრება. დღეს და 28 მაისს ნაკრები ორ-ორჯერ ივარჯიშებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

U 21



# ჭანტურიას ახალი რანგი
## პირველი, ახალგაზრდული, ოფიციალური,

ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ოთარ გაბელია გიორგი ჭანტურიას** პირველად არ იწვევს. 18 წლის თავდამსხმელი ავსტრიაში საერთაშორისო ოთხთა ტურნირზეც ათამაშა. მაგრამ ამხანაგური და ოფიციალური შეხვედრები სხვადასხვა რამ არის - 3 ივნისს ხორვატ ახალგაზრდებთან მატჩს ჭანტურია განსაკუთრებით ელის. ეს მისთვის პირველი ოფიციალური შეხვედრაა და იმედოვნებს, რომ გუნდს დაეხმარება.

*"საკამათო არ არის, რომ ხორვატიის ნაკრები ძლიერი მეტოქეა და, რა თქმა უნდა, მატჩისთვის მონდომებით მოვემზადებით. თუმცა მოედანზე იმ განცდით გასვლა, რომ ძლიერ გუნდს ვეთამაშებით, არაფერს გვარგებს. სულაც არ მგონია, რომ ფავორიტი ხორვატიაა. თუ საკუთარ ძალას ვირწმუნებთ, მეტოქეს ბოლომდე ვებრძოლებით და ერთსულოვნები ვიქნებით, შედეგიც იქნება"* – ამბობს ჭანტურია.

არნემის "ვიტესიდან" თავდამსხმელი თბილისში დაიმედებული დაბრუნდა, რადგან წარსულს ჩაჰბარდა ის დრო, როდესაც მხოლოდ ვარჯიშობდა და თამაში არ შეეძლო.

*"ახალი სეზონიდან თამაშის უფლება მექნება, რასაც დიდი ხანია, ველი. გუნდში თითქმის ერთი წელია ვვარჯიშობ და მიმაჩნია, რომ საკმაოდ კარგად ვარ უკვე მომზადებული საიმისოდ, ჰოლანდიის ჩემპიონატში რომ არ დავიჩაგრო".*

რაც შეეხება ლონდონის "ჩელსიში" მის შესაძლო გადასვლას, რაზეც გასულ სეზონში იყო ლაპარაკი, გიორგი ამბობს:"ჯერ "ჩელსიში" გადასვლაზე ლაპარაკი ნაადრევია. "ვიტესთან" სამწლიანი კონტარქტი გავაფორმე და ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ ამ გუნდს გამოვადგე. თუ არნემში კარგად ვითამაშებ, "ჩელსიში" გადასვლაზე მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი".

**მერაბ მამულაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

● მოვემზადოთ სიახლისთვის?

# ამას ნამდვილად გაიკვირვებთ, თუ, რა თქმა უნდა, მოხდა ჩემპიონატი 5 ივლისიდან?

სარწმუნო წყაროდან შევიტყვეთ, რომ ეროვნული ჩემპიონატის ახალი (12-გუნდიანი) ფორმატის დამტკიცების შემთხვევაში ტურნირი უჩვეულოდ ადრე, 5 ივლისს დაიწყება.

სანდო წყარო ამტკიცებს, რომ ახალი ფორმატის მიღების შემთხვევაში სხვა გამოსავალი არც არსებობს, რადგან 12-მა გუნდმა პირველი ეტაპის 22 ტური (ანუ ორი წრე) დეკემბრამდე უნდა დაასრულოს.

თუ ეს ვარიანტი დამტკიცდა, შესაძლოა, სიახლის გამო ბევრისთვის მიუღებელიც იყოს, მაგრამ ევროპის თასებზე გასული კლუბებისთვის მისწრება იქნება. ჩემპიონატის აგვისტოში დაწყების გამო ისინი საწყის ეტაპზე შეთამაშებას ვერ ახერხებდნენ. ამ პრობლემაზე ადრეც ბევრი ითქვა და გამოსავლად გაზაფხული-შემოდგომის სისტემის დაბრუნებაც კი დაასახელეს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: თემურ ქეცბაია აბსოლუტურად მართალია, როდესაც ამბობს, რომ ფეხბურთელები თამაშებით იზრდებიან. მოსამზადებელი ეტაპის ის გაწელილი სისტემა, რომელიც საქართველოში არსებობს, საბჭოური კორუფციული სისტემის ინერციაა – ორ-სამთვიანი მოსაბეზრებელი მოსამზადებელი ეტაპი სასტუმროებში ფულის გათეთრებას უფრო ემსახურება, ვიდრე გუნდის მომზადებას.

ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში ორ-სამკვირიან მომზადებას ანიჭებენ უპირატესობას, ბრაზილიაში კი ასეთი სისტემა არც არსებობს, მოსამზადებელი ეტაპი არ აქვთ და სეზონში მინიმუმ 60 მატჩს ატარებენ.

ალბათ, ახალი ფორმატის მხარდამჭერ არგუმენტად გამოდგება ის ინფორმაცია, რომელიც ფედერაციის ვებგვერდზე განათავსეს, სადაც დაკონკრეტებულია, წამყვანი ევროპული ლიგების გუნდები სეზონში რამდენ შეხვედრას ატარებენ. მინიშნება ადვილი გასაშიფრია – სადაც უკეთეს ფეხბურთს თამაშობენ, იქაური სისტემაც უკეთესია.

თუმცა, ამ შემთხვევაში ლამის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამედიცინო მომსახურებას და აღდგენით პრეპარატებს. როდესაც ფეხბურთის ფედერაცია კლუბებს ტრანსპორტირებაში დახმარებას სთავაზობს, ცხადია, ეს ძალიან კარგია, მაგრამ 6 თვეში 22 ტურის ჩატარება ფეხბურთელებს გამოფიტავს, თუ არ ექნებათ შესაბამისი აღდგენები.

იმედია, ტრანსპორტირებისა არ იყოს, ფედერაცია ამაზეც იზრუნებს.

**მერაბ მამულაშვილი**

● ზესტაფონი



გორან გრუიცა

## ზესტაფონი ავსტრიაში, გრუიცა სახლში

როგორც მოსალოდნელი იყო, "ზესტაფონმა" **გორან გრუიცას** კონტრაქტი არ გაუგრძელა და 24 წლის ხორვატი მცველი სამშობლოში დაბრუნდა. ზამთრის სატრანსფერო პერიოდისას შეძენილმა გრუიცამ იმერულ კლუბში დამკვიდრება ვერ შეძლო, უმაღლეს ლიგაში ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია და მხოლოდ დუბლშემადგენლობაში გამართულ 6 შეხვედრასა და იქ მოპოვებულ ვერცხლის მედალს დასჯერდა.

რაც შეეხება "ზესტაფონს", უკვე გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ჩემპიონები 21 ივნისს ავსტრიულ შეკრებაზე გაემგზავრებიან და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპამდე დარჩენილ პერიოდს იქ გაატარებენ. პირველი სალიგო მეტოქის ვინაობას **გია გეგუჩაძე** და მისი ფეხბურთელები 20 ივნისს შეიტყობენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

| I ლიგა. ბოლო ტური | |
|---|---|
| ადელი-სქური | 2:0 |
| ჩხერიმელა-მერცხალი | 1:1 |
| გაგრა-ჭიათურა | 2:1 |
| მეშახტე-ბათუმი | 0:1 |
| კოლხეთი (ხ)-ნ. დინამო | 1:0 |
| მარტვილი-იმერეთი | 2:0 |
| ლოკომოტივი-დილა | 0:1 |
| სამგურალი-ჩიხურა | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გაგრა | 32 | 23 | 6 | 3 | 73-19 | 75 |
| 2. მარტვილი | 32 | 22 | 7 | 3 | 60-15 | 73 |
| 3. დილა | 32 | 20 | 9 | 3 | 58-21 | 69 |
| 4. ჩიხურა | 32 | 20 | 6 | 6 | 58-25 | 66 |
| 5. ბათუმი | 32 | 18 | 9 | 5 | 66-18 | 63 |
| 6. გურია | 32 | 14 | 4 | 14 | 50-59 | 46 |
| 7. კოლხეთი | 32 | 12 | 10 | 10 | 28-34 | 46 |
| 8. იმერეთი | 32 | 11 | 4 | 17 | 36-43 | 37 |
| 9. მეშახტე | 32 | 10 | 5 | 17 | 32-48 | 35 |
| 10. ნ/დინამო | 32 | 10 | 5 | 17 | 39-58 | 35 |
| 11. ჩხერიმელა | 32 | 7 | 14 | 11 | 35-45 | 35 |
| 12. ადელი | 32 | 10 | 2 | 20 | 38-54 | 32 |
| 13. მერცხალი | 32 | 8 | 8 | 16 | 41-68 | 32 |
| 14. სამგურალი | 32 | 8 | 6 | 18 | 38-64 | 30 |
| 15. სქური | 32 | 8 | 5 | 19 | 28-52 | 29 |
| 16. ჭიათურა | 32 | 8 | 5 | 19 | 28-69 | 29 |
| 17. ლოკომოტივი | 32 | 7 | 7 | 18 | 30-46 | 28 |

● ფორმატი: ძველი თუ ახალი?

# სიჭინავამ ჩიხრაძე დაარწმუნა: 12!

დღეს ფეხბურთის ფედერაციაში გაიმართება აღმასკომის სხდომა, რომელზეც ჩემპიონატის ახალ ფორმატზე ხელახლა იმსჯელებენ.

"გაგრას" ვიცე-პრეზიდენტი **გოდერძი ჩიხრაძე** ამბობს, რომ მისი კლუბის პოზიცია სწორად არ წარმოჩნდა:

- ჩვენი პოზიცია არასწორად გაჟღერდა, თითქოს "გაგრა" ზვიად სიჭინავას წარმოდგენილ პროექტს უმაღლესი ლიგის გაფართოების შესახებ ყველანაირად ეწინააღმდეგებოდა. სინამდვილეში, პროექტის იმ ნაწილს ვემხრობით, სადაც უმაღლესი ლიგის გაფართოებაზეა ლაპარაკი, რადგან საფეხბურთო ცხოვრებაში მეტი რეგიონისა და გუნდის ჩართვა მეტი ბავშვის დასაქმების გარანტიაა, რაოდენობა კი მეტ ტალანტს წარმოაჩენს.

მაგრამ პროექტის მიღებაზე თავი იმიტომ შევიკავეთ, რომ ის მოულოდნელად წარმოადგინეს და მიგვაჩნდა, რომ 12-გუნდიანი ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩასატარებლად საკმარისი პირობები დღეს არ გვქონდა. ცხადია, სრულ ინფორმაციას არ ვფლობდით, ფედერაცია რას აპირებდა.

**- მას შემდეგ რა შეიცვალა?**

- სხდომაზევე გაირკვა, რომ სიჭინავა პროექტის განხორციელების გარანტიას იძლეოდა და ამან დამარწმუნა, რომ ამ საქმეს გამოსვლის პირი აქვს. მაგრამ მოსაფიქრებლად დრო გვჭირდებოდა. ყველაფერი უნდა ავწონ-დავწონოთ, მაგალითად, ჩემპიონატის ახლებური სისტემა მაფრთხობს.

**- საინტერესო და დამაინტრიგებელი ფორმატია.**

- გეთანხმებით, მაგრამ მიმაჩნია, რომ 12-გუნდიანი ჩემპიონატი მისალები ფორმატით ადრე ტარდებოდა, როდესაც გუნდები ორ ექვსეულად იყოფოდა. ეს სისტემა ხელს უწყობდა კორუფციის აღმოფხვრას და ტურნირის დაძაბულობას, მაგრამ ყველა გუნდი მაშინაც არ იყო მოტივირებული.

ახლა კი რვა გუნდი განაგრძობს ბრძოლას და დიდია ალბათობა, პირველი წრის შემდეგ საუკეთესოებში ბოლო ადგილებზე გასული გუნდები უმოტივაციოდ დარჩნენ. მე სწორედ ეს მაშინებს, უმოტივაციობა ნოყიერ ნიადაგს ხომ არ შექმნის გარიგებებისთვის?

მე პროექტს არ ვეწინააღმდეგები, აშკარაა, რომ სიჭინავა ჩვენი ჩემპიონატის გამოცოცხლებას ცდილობს და ამას ვერავინ დაუკარგავს, მაგრამ წარმოდგენილი სისტემა დასახვეწია და ეს ყველამ ერთად უნდა გავაკეთოთ. ჩვენთვის ეს ამბავი მოულოდნელიც იყო და განხილვისთვის მზად არ ვიყავით. ამიტომ ვთხოვეთ ფედერაციის პრეზიდენტს, რომ გუნდებისთვის მოსაფიქრებელი დრო მოეცა.

**- გუნდები თუ უზრუნველყოფილნი იქნებიან და მოედნებს გააკეთებენ, 12-გუნდიანი ჩემპიონატი სასურველიც იქნება, მაგრამ ორ თვეში მოედნები ვერ გაკეთდება, გუნდებს კი ჯერ არ აფინანსებენ და ლიგის გაფართოება ამიტომაც აფრთხობს ბევრს.**

- მეც ამის გამო ვიკავებდი თავს, მაგრამ ფედერაციის პრეზიდენტმა თქვა, რომ ამაზე თავად აგებს პასუხს და რა უფლება მაქვს, არ დავუჯერო?! ასეთ სიტყვებს ჰაერზე არ ამბობენ, თავის ნათქვამში დარწმუნებული რომ არ იყოს, გარანტიას არც მოგვცემდა. კი ვიცოდით, რომ ქვეყნის პრეზიდენტი ფეხბურთის მიხედვას აპირებდა, მაგრამ არ გვეგონა, საქმე ასე მალე და სერიოზულად თუ დაიწყებოდა. როგორც გავიგეთ, შესაბამის სტრუქტურებს უკვე დაევალათ პროექტის განხორციელება, ფედერაცია, მთავრობასთან ერთად, წლეულსვე აპირებს ხუთი სტადიონისა და ახალი საფეხბურთო ცენტრების აშენებას. რადგან მთავრობამ ფეხბურთისკენ მოიხედა, ჩათვალეთ, რომ ამ ხუთ სტადიონს კიდევ რამდენიმე დაემატება და გუნდებს ფინანსურადაც უზრუნველყოფენ.



გოდერძი ჩიხრაძე

ფეხბურთს კი მიხედვა სერიოზულად სჭირდება, მხოლოდ თბილისში ათამდე მოედანი და სტადიონი ჩამოგვართვეს და, ცხადია, ინფრასტრუქტურის პრობლემა გაჩნდა.

**მერაბ მამულაშვილი**

● საით?

## მოდებაძის ვარიანტები: აქ ოლიმპი, იქ...



26 წლის **ირაკლი მოდებაძე** ყველას დავიწყებული ჰყავდა, როდესაც სეზონის დასაწყისში რუსთავის "ოლიმპის" ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა **თემურ მახარაძემ** აიყვანა და ბევრისთვის მოულოდნელად თქვა, ეს ბიჭი გუნდის ლიდერი გახდებაო.

მართალია, წლების წინ ნაკრებშიც უთამაშია, უკრაინის ჩემპიონატის ბომბარდირებშიც ხვდებოდა, ზაპოროჟიეს "მეტალურგის" კაპიტანი გახლდათ, მაგრამ შარშან, ზაფხულში ირაკლის გუნდში აყვანა ბევრს მაინც სარისკოდ მიაჩნდათ - ბოლო ხუთი სეზონის განმავლობაში ტრავმებმა ისე გაანწვალა, გადაბმულად სეზონი არ ჩაუტარებია.

სეზონი დასრულდა და მოდებაძე 16 გოლით ბომბარდირებში მეორეა, **თემურ ქეცბაიამ** კი ეროვნულ ნაკრებში რამდენჯერმე გამოიძახა.

ახლა ვითარება შეიცვალა და ირაკლის მიწვევაზე არც ერთი ქართული კლუბი უარს არ იტყვის. თანაც, შესაფერისი დროც არის – რუსთავის "ოლიმპთან" კონტრაქტი დაუმთავრდა.

*"ჯერ არ ვიცი, დავრჩები თუ არა "ოლიმპში". ამაზე კლუბს უნდა დაველაპარაკო. რაღაც ვარიანტებს მთავაზობენ, მაგრამ თუ ისევ საქართველოში ვითამაშებ, ალბათ, ისევ "ოლიმპში". აქ თავს კარგად ვგრძნობ, ამბიციური გუნდია და ახალი სეზონიდან ჩემპიონობისთვის ბრძოლას აპირებს. ისიც მნიშვნელოვანია, რომ რუსთაველებმა რეაბილიტაციისა და ფორმის აღდგენის საშუალება მომცეს, ამ გუნდიდან ხელახლა მიმიწვიეს ნაკრებში, მე კი უმადური ადამიანი არ ვარ" – ამბობს მოდებაძე.*

*მისი თქმით, ხანგრძლივი ტრავმების შემდეგ როგორც იქნა, სული მოითქვა, მაგრამ...*

"ტრავმიანობის მერე ფორმა აღვიდგინე და ბომბარდირებში მეორე ადგილი დავიკავე, თუმცა ბოლომდე კმაყოფილი მაინც არ ვარ, რადგან დიდი დრო გამიცდა. ფორმაში შესასვლელად ერთი სეზონი საკმარისი კია, მაგრამ საუკეთესო თვისებების ბოლომდე გამოსავლენად - არა. იმედია, ფორმის პიკში მომავალ სეზონში შევალ და ნაკრებშიც თავს გამოვიჩენ".

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერები

## ინტერის ქართველები უტიტულოდ და უევროპოდ

გუშინ აზერბაიჯანის თასის ფინალი გაიმართა, რომელშიც ერთმანეთს ბაქოს "ინტერი" და ლენქორანის "ხაზარი" დაუპირისპირდნენ. სამწუხაროდ, **კახა ცხადაძისა** და **გიორგი ჩიხრაძის** გაწვრთნილმა "ინტერმა", რომლის ღირსებასაც **გიორგი ლომაია, ვალერი აბრამიძე, ილია კანდელაკი, დავით ოდიკაძე, კახაბერ მჟავანაძე** და **ბაჩანა ცხადაძე** იცავენ, მატჩისშემდგომი პენალტების სერია წააგო და ევროტურნირებს მიღმა დარჩა.

ფინალის ძირითადი დრო არცთუ სანახაობრივი გამოდგა, ერთადერთი რეალური საგოლე შანსი **რობერტას პოშკუსმა** გააფუჭა. სამაგიეროდ, "ხაზარი" დამატებითი დროის პირველივე წუთზე დაწინაურდა. კოსტარიკელმა **ვინსტონ პარკსმა**, რომელიც გულშემატკივრებს მოსკოვის "ლოკომოტივიდან" უნდა ახსოვდეთ, აბრამიძეს თავგზა აუბნია და ლომაიას ახლო კუთხეში გაუტანა. ოდიკაძის პასით ლატვიელმა **კარლსონსმა** მალევე გაათანაბრა და საქმე თერთმეტმეტრიანებზე მიდგა, სადაც "ხაზარმა" 4:2 გაიმარჯვა. ქართველთაგან პენალტი მხოლოდ ოდიკაძემ დაარტყა და გაიტანა.

ლომაიამ, აბრამიძემ და ოდიკაძემ შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარეს, მჟავანაძე მოედანზე მე-80 წუთზე გავიდა, ცხადაძე სათადარიგო იყო, კანდელაკი კი ტრავმირებულია.

ეს "ინტერის" ისტორიაში, რომელსაც აზერბაიჯანის თასი არასდროს მოუგია, მეოთხე წაგებული ფინალი იყო...

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ოდიკაძე და დინამო?



შესაძლოა, თბილისის "დინამოს" მისი ყოფილი კაპიტანი **დავით ოდიკაძე** დაუბრუნდეს. ოდიკაძემ გუნდი 2009 წლის ზაფხულში დატოვა და ჯერ ცხინვალის "სპარტაკში" ჩაირიცხა, შემდე კი - ბაქოს "ინტერში".

28 წლის მარჯვენა ნახევარმცველი აზერბაიჯანული კლუბის ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა, გახდა აზერბაიჯანის ჩემპიონი და მოიგო "თანამეგობრობის თასი". მიუხედავად ამისა, მაინც წამოსვლა სურდა. რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ოდიკაძეს, ისევე, როგორც მთელ გუნდს, ხშირად ექმნებოდა ფინანსური პრობლემები, თვეობით ვერ იღებდა ხელფასს, ცოტა ნოსტალგიაც მოეძალა და ამ ყველაფერმა აფიქრებინა, რომ დარჩენა აღარ ულირდა.

ჩვენი ინფორმაციით, საკითხი წყდება და შესაძლოა, ძველმა კაპიტანმა ძველ კლუბთან ერთად დაიწყოს ახალი სეზონისთვის მზადება.

**მერაბ მამულაშვილი**

ქართული ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

# გოლები, გოლები...

საქართველოს XXII ჩემპიონატი ახლახან დასრულდა და დღეიდან გასული სეზონის შეჯამებას დავიწყებთ. ვიდრე თითოეული გუნდის ასპარეზობას შევაფასებდით და სეზონის ნომინანტებს დავასახელებდით, მანამდე შედეგიანობაზე ვისაუბრებთ. სამწუხაროდ, ახლახან დასრულებულ სეზონში, წინასთან შედარებით, შედეგიანობამ მოიკლო: XXI ჩემპიონატში 429 გოლი გავიდა, ბოლო ჩემპიონატში კი — 392. ისე კი, ორად-ორი გუნდი იყო, შარშანდელი მაჩვენებელი რომ გააუმჯობესა: „ზესტაფონმა" 14 გოლით მეტი გაიტანა, „ბაიამ" — შვიდით. მკვეთრად გააუარესეს შედეგიანობის მაჩვენებელი „ოლიმპმა" (-17), „სამტრედიამ" (-16), „ვიტ ჯორჯიამ" (-13), „სპარტაკმა" (-12); „დინამოსაც" ვერ ჰქონდა სახარბიელო შედეგი — წინა სეზონთან შედარებით 7 გოლით ნაკლები გაიტანა. აი, „სიონმა" კი მართლაც „არნახული სტაბილურობა" გამოიჩინა: ბოლნისური გუნდი ზედიზედ ორი სეზონია ერთი და იმავე მაჩვენებლით ამთავრებს ჩემპიონატს და მეტოქეთა კარში „არც მეტი, არც ნაკლები"... 27 გოლი გააქვს! ახლა კი თითოეული გუნდის და თითოეული ფეხბურთელის „მონაგარსაც" გავეცნოთ.

## ზესტაფონი 72 გოლი

ნიკოლოზ გელაშვილი-18, რატი წინამძღვრიშვილი-13, ჯაბა დვალი-12, შოთა გრიგალაშვილი-5, თორნიკე აფციაური-5, ბუბა დაუშვილი-4, თორნიკე გორგიაშვილი-3, გიორგი ონიანი-3, მამუკა კობახიძე-2, კახა ალადაშვილი-2, ირაკლი ძარია-2, გიორგი ხიდეშელი-1, გიორგი ჭანკოტაძე-1, რევაზ ლანიაშვილი („ვიტ ჯორჯია",-საკუთარ კარში).





რატი წინამძღვრიშვილი



ნიკოლოზ გელაშვილი

ჯაბა დვალი

## დინამო 55

ალექსანდრე კოშკაძე-8, ლევან ხმალაძე-8, ირაკლი ლეკვთაძე-5, დონალდ ჯუისი-5, გია კვარაცხელია-4, დიმიტრი ტატანაშვილი-4, დავით მუჯირი-4, მათე ვაწაძე-2, ლევან კაკუბავა-2, პეტარ იელიჩი-2, ზურაბ არზიანი-2, ვახტანგ ფანცხავა-2, ნიკა ფირცხალავა-1, გულვერდ თომაშვილი-1, სემირ ჰაჯიბულიჩი-1, რობერტინიო-1, ჯამბულ ჯილაური-1, ირაკლი ლილუაშვილი-1, გიორგი ხუმარაშვილი („სამტრედია", — საკუთარ კარში)



ლევან ხმალაძე



ალექსანდრე კოშკაძე

## ოლიმპი 52

ირაკლი მოდებაძე-16. დავით ბოლქვაძე-7, რევაზ გეწაძე-6, ლუკა რაზმაძე-5, ალექსანდრე კვახაძე-2, გიორგი რეხვიაშვილი-2, გიორგი ქავთარაძე-2, ვაკო ტყემალაძე-2, ირაკლი მაისურაძე-2, გიორგი ბერიაშვილი-2, ილია პავლიაშვილი-1, ჯაბა უგულავა-1, დენის დობროვოლსკი-1, ვაკო ყაზაიშვილი-1, გიორგი მურველაშვილი-1, გურამ ადამაძე („ვიტ ჯორჯია", — საკუთარ კარში).



ირაკლი მოდებაძე

## ბაია 36

ირაკლი ქობალია-7, ირაკლი ეხვაია-7, გიორგი მეგრელაძე-6, ნიკა აფაქიძე-3, დათა რიგვავა-3, შოთა ლომია-2, ირაკლი მალიჩავა-2, ლუკა გუგუჩია-2, ზვიად სიხარულია-1, ლადო ახალაია-1, ნიკა კვეკვესკირი-1, გივი დიდავა („სიონი", — საკუთარ კარში).



ირაკლი ქობალია



ირაკლი ეხვაია

XXII ჩემპიონატში 5 „ჰეთ-თრიქი" დაფიქსირდა, თანაც ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა **ნიკოლოზ გელაშვილმა** ორ მატჩში მოახერხა სამ-სამი გოლის გატანა: „ზესტაფონი"-„სამტრედია" 7:0, „ზესტაფონი"-„ვიტ ჯორჯია" 3:0. დანარჩენი სამი „ჰეთ-თრიქი" კი ამ ფეხბურთელებმა შეასრულეს: **ირაკლი მოდებაძემ** („ოლიმპი"-„სამტრედია", 3:0), **ზვიად მეტრეველმა** („სპარტაკი"-„სიონი", 3:0) და **რევაზ გოცირიძემ** („სიონი"-„ტორპედო", 2:4).

გასულ სეზონში 36 შემთხვევა იყო, როცა კონკრეტულმა ფეხბურთელმა „დუბლი" შეასრულა; ამათგან რაღა თქმა უნდა, ცალკე აღნიშვნის ღირსია **რატი წინამძღვრიშვილი** — „ზესტაფონის" ფორვარდმა „დუბლი" ოთხჯერ შეასრულა და ოთხივეჯერ შეცვლაზე შემოსულმა მოახერხა იმ შეხვედრებში ორ-ორი გოლის გატანა. სამჯერ შეასრულეს „დუბლი": **გიორგი მეგრელაძემ** („ბაია", „ტორპედო") და **ჯაბა დვალმა** („ზესტაფონი"); ორჯერ — **ირაკლი მოდებაძემ** („ოლიმპი") და **ირაკლი ეხვაიამ** („ბაია"), თით-თითოჯერ **ჯაბა ლიპარტიამ** („ვიტ ჯორჯია"), **ნიკოლოზ გელაშვილმა, ბუბა დაუშვილმა, თორნიკე აფციაურმა** (სამივე-„ზესტაფონი"), **დავით ციცხვაიამ** („კოლხეთი"), **ლაშა კემუხტაშვილმა** („ტორპედო"), **დათა რიგვავამ** („ბაია"), **ირაკლი ლეკვთაძემ** („დინამო"), **მიხეილ ბარაბაძემ** („სპარტაკი"), **ტიერიანს კლოვისმა** („სპარტაკი"), **ლევან ხმალაძემ, დონალ ჯუისმა, ალექსანდრე კოშკაძემ, გივი კვარაცხელიამ** („ყველა-„დინამო"), **ნიკოლოზ საბანაძემ** („ტორპედო"), **დავით ბოლქვაძემ** („ოლიმპი"), **ზვიად მეტრეველმა** („სპარტაკი"), **ვაკო ტყემალაძემ** („ოლიმპი"), **რევაზ ჯიქიამ** („სიონი"), **ირაკლი ქობალიამ** (ბაია"), **თეიმურაზ შონიამ** („სპარტაკი") , **ვახტანგ კვარაცხელიამ** („ვიტ ჯორჯია").

XXII ჩემპიონატში ისეთი შემთხვევებიც იყო, როცა კონკრეტულმა ფეხბურთელმა... ორი გუნდის შემადგენლობაში შეძლო გოლების გატანა. ამ სიას გიორგი მეგრელაძე „ლიდერობს", ვინც პირველ ეტაპზე „ბაიაში" ასპარეზობდა და 6 გოლი გაიტანა, მეორე ეტაპზე კი „ტორპედოში" გადავიდა და თავის აქტივს 7 გოლი მიუმატა, დანარჩენი ფეხბურთელების მაჩვენებელი ასეთია: **რევაზ გოცირიძე-7** („სიონი"-2, „ტორპედო"-5), **რევაზ ჯიქია-6** („კოლხეთი"-1, „სიონი"-5), **ვახტანგ კვარაცხელია-5** („ვიტ ჯორჯია"-3, „ტორპედო"-2), **ლაშა ქებაძე-4** („სამტრედია"-2, „კოლხეთი"-2), **ვაკო ტყემალაძე-3** („სამტრედია"-1, „ოლიმპი"-2), **ლუკა გუგუჩია-3** („ბაია"-2, „ტორპედო"-1), **ილია პავლიაშვილი-2** („სამტრედია"-1, „ოლიმპი"-1).

გვერდი მოამზადა
**გია ტუხაშვილმა**

## ვიტ ჯორჯია 35

გიგა ბეჟვაია-7, ჯაბა ლიპარტია-6, ბესიკ ჩიმაკაძე-6, ვახტანგ კვარაცხელია-3, ბექა ზაქრაძე-2, ირაკლი კლიმიაშვილი-1, გიორგი ჯანელიძე-1, მიხეილ როსტიაშვილი-1, გიორგი ვასაძე-1, გიორგი კორიფაძე-1, რევაზ ლანიაშვილი-1, გურამ ადამაძე-1, დავით ხურცილავა-1, გიორგი გურეშიძე-1, გურამ გურეშიძე-1, როინ ონიანი („ბაია", — საკუთარ კარში).

## სპარტაკი 32

ზვიად მეტრეველი-7, თეიმურაზ შონია-5, ბესიკ დეკანოიძე-4, ტიერიანს კლოვისი-4, ვალერი ბოლქვაძე-2, მიხეილ ბარაბაძე-2, ლაშა ჯაკობია-2, გიორგი მამუჩიშვილი-1, ილია ბუზალაძე-1, ნიკა მგელაძე-1, ნიკოლოზ მაისურაძე-1, შოთა კაშია -1, დავით ჭიჭვეიშვილი („ბაია", — საკუთარ კარში).



ზვიად მეტრეველი

## ტორპედო 31

გიორგი მეგრელაძე-7, რევაზ გოცირიძე-5, თენგიზ ჩიკვილაძე-4, ნიკოლოზ საბანაძე-3, ლაშა კუმუხტაშვილი-3, ვახტანგ კვარაცხელია-2, ლაშა ქებაძე-2, მერაბ გიგაური-1, დავით დილმელაშვილი-1, გიორგი დათუნაიშვილი-1, ლუკა გუგუჩია-1, ზაურ ხაჭიპერაძე-1.



გიორგი მეგრელაძე

## სიონი 27

რევაზ ჯიქია-5, ვილი ისიანი-3, გივი დიდავა-3, კობა შალამბერიძე-2, სერგი ორბელაძე-2, ირაკლი ჩირიკაშვილი-2, რევაზ გოცირიძე-2, ალექსანდრე გოგობერიშვილი-1, ლაშა ნოზაძე-1, გიორგი მელქაძე-1, ლაშა ვაშაკიძე-1, დავით სვანიძე-1, ლაშა ჭელიძე-1, მიხეილ ბობოხიძე-1, ვლადიმერ უგრეხელიძე-1.

## სამტრედია 27

შოთა ჩომახიძე-3, ლევან ბაკურაძე-3, ლაშა ქებაძე-2, გიგა კვერენჩხილაძე-2, დავით კირკიტაძე-2, გიორგი ხუმარაშვილი-2, ვაჟა ლომაშვილი-2, ზურაბ ეცადეიშვილი-1, მიხეილ კაკალაძე-1, ილია პავლიაშვილი-1, პაატა ბაკარანძე-1, ვაკო ტყემალაძე-1, გიორგი ცხადაია-1, გიორგი მიქაბერიძე-1, გიგა ბურჯანაძე-1, აკაკი დვალიშვილი-1, მურად გოგიშვილი-1, შოთა კერძევაძე-1.

## კოლხეთი 25

დათა სიჭინავა-4, ლევან მდივნიშვილი-4, ლაშა გვალია-3, პაატა ცხვიტარია-3, დავით ციცხვაია-2, გიგა კვერენჩხილაძე-2, ლევან გულუა-2, რევაზ ჯიქია-1, გიორგი სილაგავა-1, დავით მეგრელიშვილი-1, გიორგი გავაშელიშვილი-1, გურამ სამადაშვილი-1.




ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალი

# მოღალატე გიგზი მაინც ითამაშებს



დღეს ინგლისში დიდი სკანდალია: გაირკვა, რომ ფეხბურთელი, რომელიც მეოჯახე კაცის სახელით იყო ცნობილი, მაგრამ ცოლს ტელეშოუ Big Brother-ის მონაწილე უელსელ მოდელ **აიმოგენ ტომასთან** ღალატობდა, **რაიან გიგზი** ყოფილა. გაზეთებსა თუ ინტერნეტ სივრცეში **ოსამა ბინ ლადენის** მოკვლას არ გამოუწვევია ისეთი ამბავი, 37 წლის გარემარბისთვის ნიღბის ჩამოხსნამ რომ გამოიწვია. ისტორია ამდენად განსაკუთრებული კი იმან გახადა, რომ სასამართლომ ფეხბურთელის ვინაობის დასახელება და რომანის დეტალების გამომზეურება აკრძალა. კვირების განმავლობაში იწერებოდა „მავან მეოჯახე ვარსკვლავზე", რომელსაც მეუღლისთვის ულალატია. 28 წლის ქალი ინტერვიუებს ლიად არიგებდა, ტელესტუდიებში ქვითინებდა, მაგრამ ყოფილ საყვარელს ვერ ასახელებდა. ბოლო დღეებშიც, საქმე უმაღლესმა სასამართლომ განიხილა და მოქმედი პირის ვინაობის დასახელება კიდევ ერთხელ აკრძალა, მაგრამ სოციალურ ქსელებს რა გინდა უქნა? ის, რომ მოღალატე ქმარი რაიან გიგზი იყო, „ტვიტერში" 75 ათასმა ადამიანმა დაწერა და სახელმწიფო ქვიშაში თავჩარგული სირაქლემას როლში რჩებოდა. როგორც ჩანს, სწორედ ეს ვერ აიტანა პარლამენტის წევრმა დემოკრატიული პარტიიდან, **ჯონ ჰემინგმა**, მისთვის კანონით მინიჭებული უფლებით ისარგებლა და ხმამაღლა თქვა ის, რაც უკვე ისედაც ყველამ იცოდა. ასე განსაჯეთ, დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა **დევიდ კემერონმაც** კი თქვა, რომ იცოდა ვისზე იყო ლაპარაკი.

ჩვენ სასიყვარულო ისტორიისა და ყვითელი სკანდალის დეტალებზე აღარ შევჩერდებით, იმას კი ვიტყვით, რომ უცნაური ბრიტანული „ტრადიციის" თანახმად, ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, მაინცდამაინც უმნიშვნელოვანესი თამაშის წინ ჩააგდეს შავ დღეში. თუ დაკვირვებიხართ, ინგლისში მსგავსი სკანდალი აუცილებლად მსოფლიოს ჩემპიონატის ან რაიმე უდიდესი საფეხბურთო მოვლენის წინ ტყდება ხოლმე. ახლაც ასეა, შაბათს „უემბლიზე" ხომ ჩემპიონთა ლიგის ფინალია, სადაც „მანჩესტერ იუნაიტედი" „ბარსელონას" ხვდება, ხოლო გიგზი, მოგეხსენებათ, „იუნაიტედის" ერთ-ერთი გამორჩეული ვარსკვლავია.

ინგლისის 19-გზის ჩემპიონთა მწვრთნელმა, სერ **ალექს ფერგიუსონმა** , საზოგადოებრივი ორომტრიალის ეპიცენტრში აღმოჩენილ უელსელს მხარდაჭერა გამოუცხადა. უპირველეს ყოვლისა, ფერგიუსონს თავად გიგზისგან უნდოდა გაეგო, რამდენად იმოქმედა მასზე სკანდალმა, შეძლებს თუ არა ის 28 მაისს კატალონიელების წინააღმდეგ თამაშს. გიგზს ამ კითხვაზე დადებითი პასუხი გაუცია. სერ ალექსმა, რომელიც სეზონის საუკეთესო მწვრთნელის ტიტულით დააჯილდოვეს, მენეჯერთა ასოციაციის მიერ საგანგებოდ მიწვეულ სადილზე თქვა: *„დღევანდელ ცხოვრებაში მასმედია სახიფათო მხეცად იქცა. ის ფეხბურთელების ცხოვრების დეტალებში იქექება".*

ამბობენ, რომ ფერგიუსონი საგონებელშია. მას ჯერ არ გადაუწყვეტია, „ბარსას" წინააღმდეგ მოედანზე 22 წლის მექსიკელი **ხავიერ ერნანდესი** გაიყვანოს თუ მის ნაცვლად დამატებითი ნახევარმცველი ათამაშოს. სამაგიეროდ, ეჭვი არავის ეპარება, რომ დაცვაში 30 წლის **პატრის ევრა** თავის ადგილზე იქნება. დღეს ევრა კმაყოფილებით იხსენებს, რომ შარშან ამ დროს ფერგიუსონმა გუნდიდან წასვლა გადააფიქრებინა.

*„ოჯახური მიზეზების გამო შარშან მანჩესტერიდან წასვლა მინდოდა, მაგრამ მწვრთნელი შინ მესტუმრა და გადამაფიქრებინა, რისთვისაც მისი მადლიერი ვარ".*

„მანჩესტერ იუნაიტედის" წინა დიდი თაობის ვარსკვლავი, ჩემპიონთა ლიგის 1999 წლის მფლობელი, 36 წლის **დევიდ ბექჰემი** კი ამბობს, რომ სერ ალექსის დღევანდელი შემადგენლობა „ოლდ ტრეფორდის" ყველა დროის დიადთა შორის ადგილს იმსახურებს.

*„ახლანდელი თაობა უკვე „მანჩესტერ იუნაიტედის" საუკეთესო თაობებს შორის არის. მან ეს შედეგებითაც დაიმსახურა. სიდიადისთვის მეტი რაღაა საჭირო"?*

კლუბი VS ნაკრები



ჯეკ უილშირი

# აი, ვენგერმაც გაიმარჯვა

გაზეთი „სანი" ირონიით წერს, რომ „არსენალის" თავკაცმა **არსენ ვენგერმა** როგორც იქნა ვიღაცას რაღაც მოუგო — ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრებს დანიაში, ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე 19 წლის **ჯეკ უილშირი** არ გაატანა. მოგეხსენებათ, „მეთოფეთა" ფრანგი თავკაცი „ახალგაზრდა ლომთა" მწვრთნელ **სტიუარტ პირსს** უილშირის გამო კარგა ხანია ებრძოდა. საბოლოოდ პირსმა დათმო და ჩრდილოლონდონელი ყმაწვილკაცი 23-კაციან განაცხადში არ შეიყვანა.

საგულისხმოა, რომ სულ რაღაც ცხრა დღის წინ უილშირი ამბობდა, რომ ახალგაზრდულ ნაკრებში სათამაშოდ მზად იყო. ის ამბობდა:

*„მართალია, პრემიერლიგაში სრული სეზონი ჩავამთავრე, მაგრამ თავს შესანიშნავად ვგრძნობ. ჩემთვის კიდევ ერთ შეჯიბრებაში მონაწილეობა პრობლემა არ იქნებოდა".*

ჟურნალისტებმა ყმაწვილკაცს მას მერეც მიაკითხეს, რაც ცნობილი გახდა, რომ ის დანიაში არ მიჰყავთ. ამჯერად მისი პასუხი განსხვავდებოდა:

*„ახალგაზრდულ ნაკრებს იმიტომ არ გავყევი, რომ ენერგია აღვიდგინო და სხეულს გავუფრთხილდე. ბოლო რამდენიმე კვირაა დაღლილობას ვგრძნობდი და ეს ჩემს სათამაშო პარამეტრებზეც აისახებოდა. გამოკვლევები აჩვენებდა, რომ კიდევ უფრო მეტი დატვირთვა ტრავმას გამოიწვევდა, რაც ჩემი კარიერის ამ ეტაპზე არანაირად არ მინდა. ჯერ მხოლოდ 19 წლის ვარ და, მართალი გითხრათ, ტრავმის პერსპექტივამ ცოტა შემაშინა".*

ამრიგად, უილშირი ახალგაზრდულ ნაკრებს დანიაში არ გაყვა, მაგრამ ამას „დიდი ნაკრების" იტალიელი თავკაცისთვის, **ფაბიო კაპელოსთვის** ხელი არ შეუშლია, რომ „არსენალის" ვარსკვლავი, 4 ივნისს, შვეიცარიასთან სათამაშოდ გამოეძახა — ეს გახლავთ, ევრო 2012-ის შესარჩევი შეხვედრა.

პირსმა თქვა: *„მართალია, ჯეკი მარტში შესანიშნავ ფორმაში იყო და ამბობდა, რომ ახალგაზრდათა ევროპის პირველობაზე წასვლა ძალიან უნდოდა, მაგრამ ბოლოს რომ შემხვდა, დაღლილობა შემომჩივლა. მან მითხრა, რომ ასეთ ფორმაში მნიშვნელოვან შეჯიბრებაში მონაწილეობა სწორი აქ იქნებოდა".*

23 კაცში არც „ლივერპულის" ფორვარდი, 22 წლის **ენდი ქეროლი** შეიყვანეს.

ადამიანი-სკანდალი

# ეჰ, ბალოტელი, ბალოტელი...




„მანჩესტერ სიტის" 20 წლის აფრო-იტალიელმა თავდამსხმელმა **მარიო ბალოტელიმ** მორიგი უხერხულობა გამოიწვია — რაც მართალია, მართალია, ეს საქმე ამ კაცს კარგად გამოსდის. ის ისტლენდელთა ზეიმზე არ მივიდა. ახლავე მოგახსენებთ, რა ზეიმიც იყო: კლუბმა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასი და პრემიერლიგის მესამე ადგილი მოიპოვა. პირადად ბალოტელიმ კი, ფანების რჩეული ახალგაზრდა მოთამაშის ჯილდო მოიგო და საგანგებო წვეულებაზე უნდა მიეღო. თავდამსხმელს, რომელსაც ისტლენდელები კვირაში 80 ათას ფუნტს უხდიან, ერთადერთი რამ მოეთხოვებოდა — გულშემატკივრისა და კლუბისთვის პატივი ეცა, მან კი... იტალიის ნაკრებში გამომიძახესო და ბოლო ტურში, „ბოლტონთან" თამაშის შემდეგ შინისაკენ გასწია.

რასაკვირველია, ვერავინ დაიჯერებს, რომ იტალიის ნაკრების ხელმძღვანელობა ბალოტელის ერთი დღით დაგვიანების ნებას არ დართავდა. თანაგუნდელის ჯილდო **მიკა რიჩარდსმა** ჩაიბარა, კლუბის ხელმძღვანელობა, სპონსორები და ის გულშემატკივრებიც კი, ვინც ამ საღამოზე მოსახვედრად ფული გადაიხადა, პირში ჩალაგამოვლებულები დარჩნენ.

აღსანიშნავია, რომ კლუბის აღმასრულებელ დირექტორ **გარი კუკს** ყველა ფეხბურთელი გაფრთხილებული ჰყავდა, რომ ვინც საღამოს არ დაესწრებოდა, დააჯარიმებდნენ. თუმცა, ამბობენ, რომ ეს ჯარიმა ბალოტელის არ შეეხება, რადგან ის მწვრთნელ **რობერტო მანჩინის** გაუშვია. რასაკვირველია, ისტლენდელთა ბოსები არც მანჩინის მოუწონებენ საქციელს.

გუშინ მოგახსენებდით, რომ წვეულებაზე დასწრება არც **კარლოს ტევესს** სურდა, მაგრამ მან ბუენოს აირესის ბილეთი გადაცვალა და შინ მოგვიანებით გაფრინდა.

სატრანსფერო ამბავი

# სიტისა და ჩელსის ინტერესი

არგენტინელმა ვარსკვლავმა, **დიეგო მარადონას** სიძემ, 22 წლის **სერხიო აგუერომ** განაცხადა თუ არა მადრიდის „ატლეტიკოდან" წასვლა მინდაო, „მანჩესტერ სიტი" და „ჩელსი" გააქტიურდნენ. ფეხბურთელს, რომელსაც „ატლეტიკო" 45 მილიონ ევროზე ძვირად აფასებს, მადრიდის „რეალიც" ეპატიჟება, თუმცა, ინგლისში ჭორაობენ, რომ ისტლენდელები და დასავლეთლონდონელები მადრიდელებზე უფრო დაუნანებლად გაიკრავენ ჯიბეზე ხელს.

აგუერომ „ატლეტიკოდან" წასვლის სურვილი გულშემატკივარს საკუთარი ვებ-გვერდის საშუალებით გაანდო.

*„დიდი ხნის წინ დავდე პირობა, რომ თუკი ოდესმე „ატლეტიკოდან" წასვლას გადავწყვეტდი, ამას საჯაროდ განვაცხადებდი. როგორც ხედავთ, სიტყვას არ ვტეხ.*

*გულწრფელად მოგახსენებთ, „ატლეტიკოდან" წასვლა მიჭირს. გადაწყვეტილება იოლად არ მიმიღია. ამ საკითხზე ბევრს ვფიქრობდი, მაგრამ, საბოლოოდ ვამჯობინე, საკუთარ თავს ყველაფერში გამოვტყდომოდი. საქმე კი ის გახლავთ, განვითარების ზედა ზღვრისთვის ჯერ არ მიმიღწევია. საამისოდ, ახალი გამოწვევა მჭირდება. „ატლეტიკოში" ხუთი წელიწადი გავატარე და ვატყობ, რომ ეს ეტაპი უკვე დაძლეულია. ჯერ 23 წლის ვარ, ყველაფერი წინ მაქვს. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩემი გადაწყვეტილება მხოლოდ სპორტული მოტივებით არის ნაკარნახები. ფინანსური მხარე არაფერ შუაშია. და მაინც, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო კლუბს, რომელმაც სცადა ჩემთვის მსოფლიოს უმდიდრესი კლუბების მსგავსი ხელფასი შემოეთავაზებინა".*

ამ განცხადების კვალდაკვალ ინგლისურ პრესაში დაიწერა, რომ აგუეროს ყიდვა „მანჩესტერ სიტისთვის" იდეალური ვარიანტი იქნებოდა — ისტლენდელებს ხომ **კარლოს ტევესი** წაუვათ და ახალი ლიდერი სჭირდებათ. ამასთან, ამბობენ, რომ აგუეროს ფანია „ჩელსის" მეპატრონე **რომან აბრამოვიჩიც**, რომელსაც, თურმე, არგენტინელის **ფერნანდო ტორესთან** შეთამაშება ამოუჭრია გულში მიზნად.

აგუერომ „ატლეტიკოს" შემადგენლობაში 2006 წლის შემდეგ 100 გოლზე მეტი გაიტანა. იანვარში მან მადრიდის გუნდთან 2014 წლამდე ახალი ხელშეკრულებაც კი გააფორმა და კლუბის ვიცე-კაპიტნადაც აირჩიეს. არგენტინელმა თქვა, რომ კლუბისთვის მისი წასვლის სურვილი სიახლეს არ წარმოადგენს. მას „ატლეტიკოს" შეფებთან ამ საკითხზე ახალი ხელშეკრულების გაფორმების დროს ულაპარაკია და მათგან გარანტია მიუღია, რომ ხელს არ შეუშლიდნენ.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



სერხიო აგუერო

● გერმანია

# ბუნდესლიგის 20 საუკეთესო ტრანსფერი

## სანამ დიდი სატრანსფერო ციებ-ცხელება დაიწყება, ისტორიულ გარიგებებს გადავხედოთ

საფეხბურთო სეზონი დამთავრდა, სატრანსფერო სეზონი ახლოვდება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ციებ-ცხელება უკვე დაწყებულია და რამდენიმე ტრანსფერიც გადაწყდა, მთავარი ამბები კი წინ, ივლისსა და აგვისტოში გველის. ვფიქრობთ, ბუნდესლიგის ყველა დროის საუკეთესო ტრანსფერების გახსენება მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს.

ლაპარაკია მხოლოდ 1980 წლის შემდეგ განხორციელებულ ტრანსფერებზე, რადგან სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყეს გუნდებმა მილიონების გადახდა. აქვე გეტყვით, რომ განსაკუთრებით საინტერესო ის გარიგებებია, როცა გუნდების მენეჯერებმა ამა თუ იმ ფეხბურთელში მიზერული თანხა გადაიხადეს და შემდეგ მოთამაშე უმაღლესი კლასის ფეხბურთელად ჩამოყალიბდა (მაგალითად, თომას დოლი, რომელიც „ჰამბურგმა“ თავის დროზე ძალიან იაფად იყიდა).

ამ სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი აღმოჩენა იაპონელი შინჯი კაგავა გახლდათ, რომელიც დორტმუნდის „ბორუსიამ“ ზუსტად ერთი წლის წინ იაპონური „ოსაკადან“ სულ რაღაც 350 000 ევროდ შეიძინა. დღეს კი, ახალგაზრდა გამთამაშებლის ფასი 10-15 მილიონია. სხვათა შორის, რომ არა ტრავმა, რომელიც კაგავამ იანვარში, აზიის თასზე ასპარეზობისას მიიღო, დიდი შანსია, რომ დღეს გაცილებით უფრო ძვირად ღირებული მოთამაშე ყოფილიყო. სწორედ ასეთი სარფიანი ტრანსფერების განხორციელებაზე ოცნებობს ყველა კლუბის გენერალური მენეჯერი. ახლა კი უფრო ძველი ტრანსფერები გავიხსენოთ. ფასები ევროებშია გადაყვანილი.

### კარლ-ჰაინც რიდლე

(ბლაუ-ვაისიდან ვერდერში)

1987 წელს, ბრემენის „ვერდერმა“ ბერლინის „ბლაუ ვაისს“ **კარლ-ჰაინც რიდლეს** სანაცვლოდ 800 000 ევრო გადაუხადა. სამი წელიწადის განმავლობაში, ამ უკანასკნელმა ბრემენული კლუბის მაისურით 38 გოლის გატანა მოახერხა. 1990 წელს რიდლე 7.5 მილიონად რომის „ლაციოში“ გაიყიდა.

### ვალერიენ ისმაელი

(სტრასბურიდან ვერდერში)

ფრანგი მცველი „მუსიკოსებმა“ 2003 წელს ფრანგული „სტრასბურიდან“ 300 000 ევროდ შეიძინეს. პირველივე სეზონში, **ისმაელმა** “ვერდერთან” ერთად დუბლი შეასრულა. 2005 წელს ეს ფეხბურთელი „ბაიერნმა“ 8.5 მილიონად შეიძინა.

### ემერსონი

(პორტო ალეგრედან ლევერკუზენში)

ბრაზილიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ლევერკუზენის „ბაიერმა“ 1997 წელს, „პორტო ალეგრედან“ 3 მილიონად იყიდა. **ემერსონი** მალე მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო საყრდენი ნახევარმცველი გახდა. 2000 წელს ბრაზილიელი „რომაში“ გადავიდა. რომაელებმა „ლევერკუზენს“ 20 მილიონი გადაუხადეს. ამის შემდეგ, ემერსონი „იუვენტუსში“, „რეალსა“ და „მილანში“ თამაშობდა.

### ალექსანდრ გლები

(მინსკიდან შტუტგარტში)

მას ერთ დროს მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო შემტევ ნახევარმცველად მიიჩნევდნენ - გლები 2000 წელს მინსკის “დინამოდან“ „შტუტგარტში“ 150 000 ევროდ გაიყიდა. ეს გახლდათ შვაბური კლუბის ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გარიგება, რადგან ბელარუსი ფლეიმეიქერი ძალიან მოკლე დროში მსოფლიო დონის ფეხურთელად ჩამოყალიბდა. 2005 წელს ალექსანდრ გლები „შტუტგარტმა“ ლონდონის „არსენალს“ 15 მილიონად მიჰყიდა.

### თომას დოლი

(დინამოდან ჰამბურგში)

დღესდღეობით უმუშევარი მწვრთნელი, რომელიც გასულ სეზონში დორტმუნდის „ბორუსიას“ თავკაცობდა, 1989 წელს „ჰამბურგმა“ 1 მილიონ ევროდ იყიდა. 1991 წელს მან გავარდნის კანდიდატი გუნდი უეფას თასზე გაიყვანა. მოგვიანებით, **დოლი** რომის „ლაციოში“ 7.5 მილიონად გაიყიდა და ამ თანხამ გალატაკებულ „ჰამბურგს“ საშუალება მისცა, ლიცენზია მიეღო.

### ოლივერ კანი

(კარლსრუედან ბაიერნში)

შესაძლოა, ბევრს ალარც კი ახსოვდეს, რომ 1994 წელს, მიუნხენის “ბაიერნმა” ლეგენდარულ **ოლივერ კანში** „კარლსრუეს“ სულ რაღაც 2.3 მილიონი ევროს ოდენობის თანხა გადაუხადა. კანმა „ბაიერნში“ გატარებული 14 წლის განმავლობაში არაერთხელ დაამტკიცა, რომ ათჯერ და ოცჯერ ძვირად ფასობდა. რეკორდმაისტერი კანთან ერთად რვაჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი და 2001 წელს ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

### ლაიოშ დეტარი

(აინტრახტი)

უნგრელი ფეხბურთელი ფრანკფურტის „აინტრახტში“ 1987 წელს 1.8 მილიონის საფასურად გადავიდა. მოგვიანებით კი, 8 მილიონად „ოლიმპიაკოსში“ გაიყიდა.

### მათიას ზამერი

(დრეზდენიდან შტუტგარტში)

„შტუტგარტის“ კიდევ ერთი ყველა დროის საუკეთესო ტრანსფერი: 1990 წელს შვაბებმა დრეზდენს 1.3 მილიონი გადაუხადეს და სანაცვლოდ მიიღეს ფეხბურთელი, რომელიც გერმანული ფეხბურთის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავია. საუბარია, **მათიას ზამერზე**. იმავე წელს, ზამერი მილანის „ინტერმა“ 6 მილიონად შეიძინა.

### ენტონი იებოა

(ზაარბრიუკენიდან აინტრახტში)

ეს უკანასკნელი „აინტრახტში“ 1990 წელს, „ზაარბრიუკენიდან“ გადაბარგდა და ფრანკფურტელებმა მის სანაცვლოდ 600 000 ევრო გადაიხადეს. **იებოა მიოლერთან** და **ბაინთან** ერთად, „აინტრახტის“ მაგიურ სამკუთხედს ქმნიდა. ის ორჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი და 1995 წელს „ლიდსში“ 3 მილიონად გაიყიდა.

### როლანდ ვოლფარტი

(დუისბურგიდან ბაიერნში)

1984 წელს „ბაიერნმა“ „დუისბურგიდან“ თავდამსხმელი **როლანდ ვოლფარტი** 400 000 ევროდ შეიძინა. ეს უკანასკნელი ორჯერ გახდა ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი და ხუთჯერ იზეიმა გერმანიის ჩემპიონობა. 9 წელიწადში ვოლფარტმა ბუნდესლიგაში 119, ხოლო ევროთასებზე 18 გოლი გაიტანა.

### სიორენ ლერბი

(აიაქსიდან ბაიერნში)

1983 წელს მიუნხენურმა გიგანტმა „აიაქსიდან“ 900 000 ევროდ **სიორენ ლერბი** შეიძინა. ამ უკანასკნელმა „ბაიერნთან“ ერთად გერმანიის ჩემპიონატი და თასი მოიგო. 1986 წელს ლერბი „მონაკოში“ წავიდა. დღესდღეობით საფეხბურთო აგენტობითაა დაკავებული. სხვა ფეხბურთელებთან ერთად **რაფაელ ვან დერ ვაარტის** მრჩეველია.

### სტეფან შაპუიზა

(იურდინგენიდან დორტმუნდში)

102 გოლი რვა წლის მანძილზე – ამით ფაქტობრივად ყველაფერი ნათქვამია. „ბორუსიის“ ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო გოლეადორი ვესტფალიურ კლუბში 1991 წელს „იურდინგენიდან“ გადავიდა და „ბორუსიამ“ მის სანაცვლოდ 1 მილიონი გადაიხადა. **შაპუიზამ** დორტმუნდულ კლუბთან ერთად ჩემპიონთა ლიგა, საკონტინენტთაშორისო თასი და ორჯერ გერმანიის ჩემპიონატი მოიგო.

### ულფ კირსტენი

(დრეზდენიდან ლევერკუზენში)

**ულფ კირსტენის** საგოლე ალღოზე გერმანიაში (და არა მარტო იქ) დღესაც ძალიან ბევრს ლაპარაკობენ. ჩინებული ალღო აღმოაჩნდა „ლევერკუზენის“ გენერალურ მენეჯერ **რაინერ კალმუნდსაც**, რომელმაც კირსტენი დრეზდენის „დინამოდან“ 1.8 მილიონ ევროდ იყიდა. კირსტენმა „ფარმაცევტების“ რიგებში 182 გოლი გაიტანა და სამჯერ გახდა ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი.

### დიმიტარ ბერბატოვი

(სოფიიდან ლევერკუზენში)

ბულგარელმა თავდამსხმელმა **დიმიტარ ბერბატოვმა** 2000 წელს სოფიიდან „ბაიერს“ მიაშურა. ლევერკუზენელებს მისი ტრანსფერი 2.5 მილიონ ევრო დაუჯდათ. ბერბატოვმა 154 შეხვედრაში 69 გოლი გაიტანა, 2006 წელს კი 15.7 მილიონ ევროდ „ტოტენჰემში“ გაიყიდა. დღეს ბულგარელი ფორვარდი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ღირსებას იცავს, ამ სეზონში კი პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

### იორგ ჰაინრიხი

(ფრაიბურგიდან დორტმუნდში)

გერმანიის ნაკრების ყოფილი მცველი დორტმუნდის „ბორუსიამ“ 1996 წელს „ფრაიბურგიდან“ შეიძინა და მის სანაცვლოდ 1.2 მილიონი ევრო გადაიხადა. **იორგ ჰაინრიხმა** ვესტფალიელებთან ერთად გერმანიის ჩემპიონატი, ჩემპიონთა ლიგა და საკონტინენტთაშიროსი თასი მოიგო. 1998 წელს „დორტმუნდმა“ ჰაინრიხი „ფიორენტინაში“ გაყიდა (12.6 მილიონ ევროდ).

### ლინკოლნი

(კაიზერსლაუტერნიდან შალკეში)

2004 წელს „შალკეს“ ბრაზილიელი გამთამაშებლის შეძენა 600 000 ევრო დაუჯდა. **ლინკოლნმა** გელზენკირხენული კლუბის რიგებში 83 მატჩში 20 გოლი გაიტანა და 20 საგოლე პასი გააკეთა, გუნდი ორჯერ გაიყვანა ჩემპიონთა ლიგაში. შარშან „გალათასარაიმ“ მასში 5 მილიონი ევრო გადაიხადა.

### რაფაელ ვან დერ ვაარტი

(აიაქსიდან ჰამბურგში)

2005 წელს „ჰამბურგმა“ ჰოლანდიელი ნახევარმცველი „აიაქსიდან“ 5 მილიონ ევროდ შეიძინა. რაფაელი გუნდის კაპიტანი და ფანების უსაყვარლესი ფეხბურთელი გახდა, მაგრამ ჩრდილოგერმანული კლუბის ხელმძღვანელების უკონცეფციობისა და ბევრი უაზრობის გამო, კლუბი დატოვა და რაც მთავარია, ძალიან სარფიანად გაიყიდა.

### შტეფან ეფენბერგი

(გლადბახიდან ბაიერნში)

გენიალური ეფე „ბაიერნმა“ 1998 წელს 4 მილიონად იყიდა. **ეფენბერგი** რეკორდმაისტერის კაპიტანი, ლიდერი და შეუცვლელი ფიგურა გახდა. მიუნხენელი ფანები მას დღესაც მისტირიან. „ბაიერნთან“ ერთად სამჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი, მოიგო ჩემპიონთა ლიგა და საკონტინენტთაშორისო თასი.

### დიეგო

(პორტუდან ვერდერში)

ბრაზილიელმა „ვერდერი“ ორჯერ გაიყვანა ჩემპიონთა ლიგაში და შეიძლება ითქვას, რომ გერმანიაში მოთამაშე ფეხბურთელებს შორის ერთ-ერთი პოპულარული იყო. თავის დროზე (2006 წელს) „მუსიკოსებმა“ მის სანაცვლოდ 6 მილიონი ევრო გადაიხადეს და ორი წლის წინ, ტურინის „იუვენტუსს“ 25 მილიონად მიჰყიდეს. აი, ტურინში კი ბრაზილიელმა ფლეიმეიკერმა იმედები ვერ გაამართლა. „ბებერმა ქალბატონმა“ დიეგო მალევე გაუშვა – „ვოლფსბურგში“, სადაც ასევე ვერ წარმოაჩინა თავისი შესაძლებლობები. „მგლების“ მთავარმა მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა დიეგო არასპორტული საქციელების გამო მოკვეთა და მას ეგოისტი უწოდა. ფაქტია, რომ ბრაზილიელი „ვერდერიდან“, სადაც თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში, არ უნდა წასულიყო. თუმცა „პორტუდან“ „ვერდერში“ მისი ტრანსფერი დღემდე ბუნდესლიგის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო გარიგებად რჩება – მიუხედავად იმისა, როგორ წარიმართება დიეგოს კარიერა.

### ჯოვანი ელბერი

(გრასჰოპერსიდან შტუტგარტში)

**ჯოვანი ელბერი** 1994 წელს ციურიხის „გრასჰოპერსიდან“ „შტუტგარტში“ სულ რაღაც 1.6 მილიონად გაიყიდა. ბრაზილიელი ჯერ შვაბური კლუბის ლიდერი გახდა, მერე კი ის “ბაიერნმა” შეიძინა (1997 წელს, 6.5 მილიონად), სადაც ასევე უპირველესი გოლეადორი იყო – 133 გოლით ის დღემდე ბუნდესლიგის ყველაზე გულუხვი ლეგიონერია.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



კარლ-ჰაინც რიდლე



ოლივერ კანი



შტეფან ეფენბერგი

ესპანეთი. ლა ლიგა. ბოლო ტურის მიმოხილვა

# ნაქცეული გოლიათი და რიასორის სევდა

## 13-გზის რონალდოს ბენეფისი

ცრემლები გალისიაში, რეკორდი „სანტიაგო ბერნაბეუზე", შვება ესპანეთის ხუთ ქალაქში (რომელთა გუნდები გავარდნას გადაურჩნენ), ჩემპიონის გამარჯვება არაგონში, გამომშვიდობები და დებიუტები - აი, ამით იყო გამორჩეული ესპანური პრიმერას ბოლო, 38-ე ტური და რიგით მე-80 ლა ლიგა ისტორიის კუთვნილებაა. მომავალი სეზონიდან პრიმერაში 4 მადრიდული კლუბი ითამაშებს - პირველად ისტორიაში - „რაიო ვალეკანომ" ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე მოიპოვა პრიმერაში თამაშის უფლება და „რეალს", „ატლეტიკოსა" და „ხეტაფეს" შეუერთდა.

### ტურის სიმბოლური ნაკრები

GOAL.COM 3-4-3

#### მეკარე

**ხავი ვარასი** (სევილია, 3): მან ანდრეს პალოპს მოუგო ძირითადი შემადგენლობისთვის ბრძოლა, რომელიც თითქმის მთელი სეზონი მიმდინარეობდა. „ესპანიოლთან" მატჩში, მართალია, ორი გოლი გაუშვა, მაგრამ, რომ არა მისი თავგანწირული „სეივები", ანდალუსიური კლუბი მატჩს ვერ მოიგებდა და მე-5 ადგილს ვერ დაიბევებდა.

#### მცველები

**კარლოს დიოგო** (სარაგოსა, 1): იმისთვის, რომ „სარაგოსას" საჭირო შედეგისთვის მიეღწია, რომელიც არაგონელებს გავარდნისგან იხსნიდა, არა მხოლოდ უნდა შეეტიათ, არამედ, კარიც კარგად დაეცვათ. ამაში კი დიოგო საუკეთესო იყო.

**სერხიო** (ოსასუნა, 3): „ვილიარეალთან" მატჩში სოლიდურად ითამაშა და ფიზიკური უპირატესობა სტუმართა ჩია ფორვარდებთან კარგად გამოიყენა.

**კატა დიასი** (ხეტაფე, 2): ქულა, რომელმაც „ხეტაფე" პრიმერაში დატოვა კატა დიასის გოლმა მოუტანა მადრიდულ გუნდს.

#### ნახევარმცველები

**გაბი** (სარაგოსა, 3): „სარაგოსა" გადარჩენას მის კაპიტან გაბის უნდა უმადლოდეს, რომელმაც დუბლი შეასრულა „ლევანტეს" კარში.

**იბრაჰიმ აფელაი** (ბარსელონა, 1): ჰოლანდიელმა თამამი განაცხადა მომავალ სეზონში სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრაზე. ბოლო ტურში ძალიან ლამაზი და რთულად შესასრულებელი გოლი გაიტანა.

**ჟოან ვერდიუ** (ესპანიოლი, 1): გაიტანა ძალიან მაგარი გოლი და შეასრულა ერთი საგოლე პასი.

**ხოსე რეიესი** (ატლეტიკო, 3): რეიესი სეზონის მეორე ნახევარში ბრწყინვალე ფორმაში შევიდა. ის განსაკუთრებით კარგად თამაშობს სერხიო აგუეროსთან ერთად. სამწუხაროდ, ამ დუეტს დაშლა ელის.

#### თავდამსხმელები

**სერხიო აგუერო** (ატლეტიკო, 7): ეს იყო არგენტინელის ბოლო მატჩი მადრიდული კლუბის მაისურით და ის აგუერომ ჰეთ ტრიკით აღნიშნა.

**ემანუელ ადებაიორი** (რეალი, 2): აფრიკელს დასამტკიცებელი აქვს, რომ გუნდს მომავალშიც ესაჭიროება, ამიტომ კრიშტიანო რონალდოზე ნაკლები მოტივაციით არ გასულა მოედანზე და ესპანეთში პირველი ჰეთ ტრიკიც შეასრულა.

**კრიშტიანო რონალდო** (რეალი, 13): „რეალის" 102 გოლიდან 40 მან გაიტანა. „ალმერიასთან" მატჩში მისი შეჩერება შეუძლებელი იყო: 2 გოლი და 4 საგოლე პასი.

### ტურის კატასტროფა

„რიასორზე" მოხდა. პრიმერადივიზიონმა (იმედია, დროებით) ერთ-ერთი გამორჩეული კლუბი „დეპორტივო" დაკარგა. გალისიელებმა შინ წააგეს „ვალენსიასთან" 0:2 და ელიტას დაემშვიდობნენ. ორიოდ დღეში ამას გუნდის თავკაც მიგელ ანხელ ლოტინას გადადგომა მოჰყვა. დღემდე ლა ლიგის 80 სეზონი ჩატარდა და მხოლოდ ორში არ ყოფილა „დეპორტივო" ელიტაში. ქვეყნის ჩემპიონი და ხუთგზის ვიცე-ჩემპიონი სეგუნდადივიზიონში გადაბარგდა. „დეპორი" ბოლოს 1991 წელს გადავიდა პრიმერაში და მას მერე ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი იყო, რაც 2000 წელს ჩემპიონატის მოგებით დასრულდა. 2004 წელს ამ გუნდმა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ითამაშა. მართალია, იმ „სუპერდეპორისგან" ბევრი არც არაფერი იყო დარჩენილი, მაგრამ გუნდის გავარდნას მაინც ვერავინ წარმოიდგენდა.



ვალერონი და დეპორტივო პრიმერას ცრემლებით ემშვიდობებიან. LFP-ს ოფიციალური ჟურნალის გარეკანი


ივან დე ლა პენიას ბოლო მატჩი

### ტურის კურიოზი

„კორნელია ელ პრატზე" „სევილიას" ფორვარდი **ფრედერიკ კანუტე** მეკარე **კრისტიან ალვარესთან** ის იყო პირისპირ გავიდა, რომ ტრიბუნაზე ვილაც იდიოტმა ჩაუსტვინა. ფორვარდს ეგონა, თანამსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირაო და ბურთი ხელში აიღო.

### ტურის ფრაზები

*„მე მსურს ძალიან უბრალო რამ - მომავალში ყველამ „ფეარ ფლეის" პრინციპით იხელმძღვანელონ, ისევე, როგორც ჩვენ"*, - **ჟოზე მოურინიო**.

*„ვაჩვენოთ რასიზმს წითელი ბარათი. ოღონდ, საქმით და არა მხოლოდ სიტყვებით"*, - ჟოზე მოურინიო.

*„მე ვერ შევძელი ამ გემის სამშვიდობოზე გაყვანა - პორტში ვერ შევიყვანე. ამიტომ უნდა წავიდე"*, - **მიგელ ანხელ ლოტინა** (დეპორტივო).

*„96 ქულა ამ ჩემპიონატში - უდიდესი მიღწევაა. მე ამით ყოველთვის ვიამაყებ"*, - **ხოსეპ გვარდიოლა**.

*„მალაგა", როგორც გუნდი, დღითი დღე იზრდება"*, - **მანუელ პელეგრინი** (მალაგა).

*„ამ გუნდის ბედისწერა იყო მთელი სეზონი ეტანჯა და მაინც გადარჩენილიყო"* - **ხავიერ აგირე** (სარაგოსა).

*„რაც ვარ, ყველაფერი „ხეტაფეს" დამსახურებაა"*, - გუნდის კაპიტანი **მანუელ დელ მორალი** ამ ფრაზით დაემშვიდობა მადრიდულ გუნდს.

*„ჩვენ მომავალ წელსვე დავბრუნდებით"*, - „დეპორის" ვეტერანი **ხუან კარლოს ვალერონი**.

*„რაც შეგვეძლო, ის ვითამაშეთ, მეტი ამ ეტაპზე აღარ ძალგვიძს"*, - **ხუან კარლოს გარიდო** (ვილიარეალი).

*„ჩვენ ყველანი ბედნიერები ვართ, გადავრჩით, მაგრამ სულ უნდა გვახსოვდეს, რომ გადავრჩით სხვათა უილბლობის წყალობით"*- **მიქაელ ლაუდრუპი** (მალიორკა).

*„ამ გუნდს მებრძოლი სული აქვს"*, - **ხოაკინ კაპაროსი** (ბილბაო).




### ცვლილებათა ქარი პრიმერაში

მადრიდის „რეალმა" დაიბრუნა თავისი აღზრდილი **ხოსე მარია კალეხონი**, რომელიც ბოლო 3 სეზონი „ესპანიოლში" თამაშობდა.

„სევილიამ" ორი ნახევარმცველი გაიფორმა: „ხეტაფეს" კაპიტანი **მანუ დელ მორალი** და **პიოტრ ტროხოვსკი** „ჰამბურგიდან".

„რეალ სოსიედადმა" გამოცდილი ფორვარდი **რაულ ტამუდო** ტრანსფერზე დააყენა.

„ესპანიოლმა" გამოაცხადა, რომ აიყვანა ორი ურუგვაელი ფეხბურთელი: **ხუან ანხელ ალბინი** (ხეტაფე) და **ადრიან ლუნა** (დეფენსორი).

ბილბაოს „ატლეტიკის" მცველმა **აიტორ ოსიომ** გუნდთან 2012 წლამდე გააგრძელა ხელშეკრულება.

„ალმერიას" მეკარე **ესტებანმა** კიდევ 2 წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი.

„სარაგოსას" დაემშვიდობა ნახევარმცველი **ანდერ ერერა**, რომელიც „ბილბაოში" გადადის.

„სევილიას" მცველმა **ივიცა დრაგუტინოვიჩმა** განაცხადა, რომ კლუბიდან მიდის.

„ოსასუნას" ურუგვაელ ფორვარდ **ვალტერ პანდიანის** ახალი კონტრაქტი არ შესთავაზეს და ის გუნდიდან მიდის.

### ადიოს!

„რეალის" ფეხბურთელებმა თამაშის მიწურულს საპატიო დერეფანი მოუწყეს პოლონელ გოლკიპერ **ირჟი დუდეკს**, რომელმაც „ალმერიასთან" უკანასკნელად ითამაშა ფეხბურთი პროფესიულ დონეზე.

**ივან დე ლა პენიაც** (ესპანიოლი) დაემშვიდობა აქტიურ სპორტს. „პატარა ბუდამ" ფეხბურთის მოყვარულები ბევრჯერ გაახარა ლამაზი, აზრიანი თამაშით და ბრწყინვალე საჯარიმო დარტყმებით.

„მალაგას" გოლკიპერმა **არნაუმ** ხელთათმანები ლურსმანზე ჩამოკიდა.

### პირველი...

„რეალის" ახალგაზრდა ფორვარდ **ხოსე ლუის სანმარტინ მატოს** (ხოსელუ) ფეხბედნიერი დებიუტი ჰქონდა ლა ლიგაში. 21 წლის ტანმაღალი თავდამსხმელი „ალმერიასთან" მატჩში ბოლო წუთებზე გამოჩნდა და პირველივე შეხებით გოლი გაიტანა. ხოსელუ გერმანიაშია დაბადებული და 4 წელი იქაურ სკოლაში სწავლობდა, შემდეგ კი ვიგოს „სელტას" აკადემიაში მივიდა. „რეალში" 2009 წლიდანაა.

ხოსელუს გარდა ლა ლიგაში დებიუტი ჰქონდათ: **ხესუს ფერნანდესს** (რეალი), **კარლოს ტომასს** (ვილიარეალი) და **იგნასიო ინსას** (ვილიარეალი).

### ტურის სტატისტიკა

ტურში 36 გოლი გავიდა, რაც საშუალოდ 3,6 გოლია მატჩში. სტუმართა უპირატესობა დიდი იყო, მათ 6 მატჩი მოიგეს, 2 შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა, 2 კი - ფრედ. ფეხბურთელებმა ბოლო ტურში 30 ყვითელი ბარათი მიიღეს, გააძევეს მხოლოდ ერთი ფეხბურთელი „რასინგის" ნახევარმცველი **ფრანსის პერესი**. შესრულდა 2 ჰეთ ტრიკი (ადებაიორი, აგუერო) და 5 დუბლი (რონალდო, გაბი, **ბენზემა, ვებო და ნეგრედო**).

**ყველაზე მეტი მაყურებელი:** 50 000 - „სანტიაგო ბერნაბეუ".

**ყველაზე ნაკლები მაყურებელი:** 15 000 - „ხოსე რიკო პერესი".

**ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ:** 26 - რეალი.

**კარში:** 16 - მალიორკა.

**ჯარიმა:** 22 - ვალენსია.

**კუთხური:** 14 - რეალი.

**თამაშგარე:** 7 - სარაგოსა, მალიორკა.

**ბურთის ფლობის %:** 65 - ერკულესი.

### TOP-10 დონ ბალონის მიხედვით

საბოლოო მდგომარეობა

| ფეხბ | გუნდი | ქულა (თ) | საშ. |
|---|---|---|---|
| 1. მესი | ბარსელონა | 242 (33) | 7,33 |
| 2. რონალდო | რეალი | 246 (34) | 7,24 |
| 3. როსი | ვილიარეალი | 251 (36) | 6,97 |
| 4. ინიესტა | ბარსელონა | 237 (34) | 6,97 |
| 5. ბ. ვალერო | ვილიარეალი | 242 (35) | 6,91 |
| 6. კასორლა | ვილიარეალი | 255 (37) | 6,89 |
| 7. დიეგო ალვეში | ალმერია | 227 (33) | 6,88 |
| 8. აგუერო | ატლეტიკო | 215 (32) | 6,72 |
| 9. არანსუბია | დეპორტივო | 215 (32) | 6,72 |
| 10. ჩავი | ბარსელონა | 208 (31) | 6,71 |

სეზონის სიმბოლური ნაკრები „დონ ბალონის" შეფასებების მიხედვით:

**დიეგო ალვეში** (ალმერია, 6,88) - **დანი ალვეში** (ბარსელონა, 6,60), **მარსელო** (რეალი, 6,50), **დიეგო კოლოტო** (დეპორტივო, 6,39) - **ანდრეს ინიესტა** (ბარსელონა, 6,97), **ბორხა ვალერო** (ვილიარეალი, 6,91), **სანტი კასორლა** (ვილიარეალი, 6,89), **ჩავი** (ბარსელონა, 6,71) - **ლიონელ მესი** (ბარსელონა, 7,33), **კრიშტიანო რონალდო** (7,24), **ჯუზეპე როსი** (ვილიარეალი, 6,97).

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

მსოფლიოს ალაფი

# კანადა დაძლეულია, ოთხი ლელო და პრემიალურის ჩვენია

| | |
|---|---|
| **საქართველო** | **38** |
| **კანადა** | **9** |

**საქართველო** (15-9) კობახიძე, ძნელაძე, ლოსაბერიძე (გაბრომშვილი 68), მარგიანი, ჭინჭარაული (მჭედლიშვილი 14, ჟღენტი 65), ლამბაშიძე (ჯინაშვილი 60). (1-8) ჟვანია, მატკავა (ჩომახაშვილი 62), ჩილაჩავა, ბინაძე, მიქაუტაძე, თხილაიშვილი (ერისთავი 75), ტყეშელიაძე, თხელიძე (ჩხიკვაძე 62).

**4ლ:** ჩილაჩავა, თხილაიშვილი, მიქაუტაძე, ჟვანია. 4ს,3გ: კობახიძე.

**კანადა** (15-8) ანდერვუდი, აპელდორნი, მიერსი, პერფრი, ჰესლერი, ჰალმსტა (ფუაილეფაუ 68), ნილი (ფერგიუსონი 69), (1-8) მაკლოიდი, კევერსი, მაჰარი (ტენანტი 72), მაკდონალდი (სტოუნსი 63), პირსი, ოლმსტიდი, დობროვსკი, ერდრონი.

**3ს:** ანდერვუდი

**მსაჯი:** ტუი კომიტი (სამოა)


კონსტანტინე მიქაუტაძის ლელო


ზურაბ ჟვანიას ლელო

„მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის" გათამაშება საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა შთამბეჭდავი გამარჯვებით დაიწყო. „უმცროსმა" ბორჯღალოსნებმა ჯგუფური ტურნირის პირველ შეხვედრაში კანადის საკმაოდ ძლიერი ნაკრები 38:9 დაამარცხეს.

მანამდე, მატჩის დაწყებამდე „ავჭალის" სარაგბო სტადიონზე მისულ მაყურებელს თბილისში დიდი სარაგბო ზეიმის დაწყება, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **გიორგი ნიჟარაძემ,** თბილისის მერმა **გიგი უგულავამ** და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ლადო ვარძელაშვილმა** მიულოცეს.

„ავჭალის" სარაგბო სტადიონი ტურნირის ორგანიზატორებმა შესანიშნავად მორთეს და, ლამაზ, კოპწია არენაზე არანაკლებ თვალსასეირო ბატალიები გაიმართა. საქართველოს ნაკრების კანადასთან მატჩი შეჯიბრების პირველი დღის ბოლო თამაში იყო.

ჩვენმა მორაგბეებმა თამაში აქტიურად დაიწყეს და, მე-4 წუთზე, მოედნის ცენტრის ხაზთან ახლოს საჯარიმოს დარტყმის უფლება მოიპოვეს. კარამდე მანძილი 48 მეტრი იყო, თუმცა ფულბეკმა **ბახვა კობახიძემ** გადაწყვიტა ბედი ეცადა და არც შემცდარა - საჯარიმო მან უზადოდ დაარტყა და ანგარიში გახსნა - 3:0.

ის, რაც ბახვამ ხუთი წუთის შემდეგ გააკეთა, რაგბიში იშვიათად ხდება: საჯარიმო ამჯერად მოედნის ჩვენს ნახევარზე დაინიშნა. მან ისევ თამამად მოითხოვა კარში დარტყმის უფლება მიეცათ და 53 მეტრიდან დიდოსტატურად გაისარჯა - 6:0.

ტაიმის დასრულებამდე კობახიძემ კიდევ ორი საჯარიმო გაიტანა, რაზეც მეტოქეთა ფულბეკმა **ლიამ ანდერვუდმა** ერთით უპასუხა - 12:3. ასე დასრულდა პირველი ტაიმი. თუ საწყისი ორმოცი წუთით ვიმსჯელებთ, ჩვენს გუნდს აშკარა უპირატესობა ჰქონდა შერკინებაში, როგორც სტატიკურ მდგომარეობაში, ისე დინამიკური თამაშისას. ბიჭები ცუდად არც რაკში თამაშისას ირჯებოდნენ, ოღონდ ეგ იყო, ოფსაიდის წესს ხშირად არღვევდნენ, რაც სამოელ არბიტრს შეუმჩნეველი არ რჩებოდა. ამასთან, აშკარად გაგვიჭირდა დერეფანში თამაში. ტანმაღალმა კანადელებმა ამ კომპონენტში საკმაოდ ბევრი პრობლემა შეგვიქმნეს.

სამწუხაროდ, თამაშის დასაწყისშივე დაშავდა ჩვენი გუნდის მგეზავი **გოდერძი ჭინჭარაული,** მისი ტრავმა იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ ამ ტურნირზე ველარ ითამაშებს.

შესვენების შემდეგ კანადელები ბევრად სწრაფად ათამაშდნენ და 44-ე წუთზე ანდერვუდმა საჯარიმოთი ანგარიში ექვს ქულამდე შეამცირა - 6:12. კანადელთა ენთუზიაზმი ჩვენმა მორაგბეებმა მალევე ჩაახშეს: სამ წუთში საქართველოს ნაკრებმა მეტოქის 22-მეტრიან ზონაში მოლი ააგორა, თამაში რაკში გადავიდა, რამდენიმე მოკლე დარტყმის შემდეგ კანადელებმა თამაშის წესი დაარღვიეს. გუნდის კაპიტანმა **დავით ლოსაბერიძემ** საჯარიმო სწრაფად გაათამაშა და მარცხენა ფრთაზე შეუტია. ის ზედ ლელოს ხაზთან შეაჩერეს, თუმცა მერე წარმოქმნილი რაკიდან ბურთი შერკინების ბურჯმა **ლევან ჩილაჩავამ** აიტაცა და ტურნირზე პირველი ქართული ლელო გაიტანა, კობახიძემ გარდასახა - 19:6.

კანადელებმა ანგარიშის შემცირება კიდევ ერთხელ მატჩის 58-ე წუთზე შეძლეს. ცხადია, ისევ საჯარიმოთი, რადგან სტუმრებს, ფაქტობრივად, ლელოს გატანის რეალური შანსი არც ჰქონიათ. ანდერვუდმა თავისი გუნდის ჩამორჩენა, ხელსაყრელი პოზიციდან, ათ ქულამდე შეამცირა - 9:19.

საქართველოს ნაკრებმა საპასუხო შეტევაში კიდევ ერთი ლელო მიითვალა. ამ შემთხვევაში შერკინების მესამეხაზელმა **გიგა თხილაიშვილმა** იყოჩაღა. „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" თამაში მოედნის ცენტრიდან განაახლეს. **უჩა მჭედლიშვილის** დაკიდებული ბურთი კანადელებმა ვერ დაიჭირეს, ის მეორეხაზელ **კონსტანტინე მიქაუტაძის** ნადავლი გახდა, რომელმაც იქვე მყოფ თხილაიშვილს გადააწოდა. ჩვენმა მესამეხაზელმა მოწინააღმდეგის ჩათვლის მოედნისკენ ჯიქურ გაიწია, 35 მეტრი ისე ირბინა, გზად სამი მეტოქე ჩამოიშორა და ლელო ძელებს შორის გაიტანა, კობახიძემ კვლავ გარდასახა - 26:9.

ამით ჩვენმა ნაკრებმა გამარჯვებისკენ სერიოზული ნაბიჯი გადადგა. ასეთი დონის შეხვედრებში 15-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა ურთულესი საქმეა, მაგრამ არა შეუძლებელი და კანადელებმაც კიდევ ერთხელ გაიბრძოლეს.

მეტოქის საბოლოო გატეხვ კი საქართველოს ნაკრებმა დასკვნით ათ წუთში შეძლო. 72-ე წუთზე „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" საჯარიმოს დარტყმის უფლება მიიღეს. კობახიძემ ბურთი აუტში გადაიტანა. მეტოქის ლელოდან ხუთ მეტრში შეცვლაზე შესულმა შერკინების კვაჭმა, **ირაკლი ჩომახაშვილმა** მეტოქისთვის მოულოდნელად, დერეფანში ბურთი მეორეხაზელ მიქაუტაძეს იქვე აუგდო, რომელსაც წინააღმდეგობას მხოლოდ კანადელთა ცხრა ნომერი **ლუსიენ ნილი** უწევდა. კონსტანტინემ მეტოქე გადათელა და ლელოში შეაღწია. კობახიძემ ესეც გარდასახა - 33:9.

ბოლო, მეოთხე და ერთი პრემიალური ქულის მომტანი ლელო, ჩვენმა ბიჭებმა მატჩის ბოლო წუთზე გაიტანეს. კანადელთა 22-მეტრიანი ზონის მისადგომებთან დანიშნული შერკინებიდან ბურთი ლევან ჩილაჩავამ აიტაცა. თხუთმეტიოდე მეტრი გაირბინა, შებოჭეს, წარმოქმნილი რაკიდან მორკინალებმა რამდენიმე მოკლე დარტყმა განახორციელეს, ჩათვლის მოედანს მიუახლოვდნენ და ბოლო მიძალება ლელოთი შერკინების ბურჯმა ზურაბ ჟვანიამ დაასრულა. გარდასახვა კობახიძეს ამჯერად გაუცუდდა - 38:9.



გიგა თხილაიშვილის ლელო


ლევან ჩილაჩავას ლელო

## მატჩის შემდეგ

**პაატა ნარიმანაშვილი,** საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:

*„სამწუხაროდ, ჩვენმა მგეზავმა გოდერძი ჭინჭარაულმა სერიოზული ტრავმა მიიღო და ამ ტურნირზე ველარ ითამაშებს. სხვა დაშავებულებს საშიში არაფერი სჭირთ. ტრავმებს მოიშუშებენ და ითამაშებენ. ბიჭებს თამაშისას ხშირად ეჭიმებოდათ კუნთები, რაც, ვფიქრობ, იმის ბრალია, რომ საკმაოდ დიდი ხანია ხელოვნურსაფრიან მოედანზე ვვარჯიშობთ.*

*ამ შეხვედრაში ჩვენი მიზანი იყო, ნაკლები ენერგიის დახარჯვით გვეძლია მეტოქისთვის, არ გამოვიდა. კანადელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაგვიწიეს და მათ დასამარცხებლად მაქსიმალური ძალისხმევა გახდა საჭირო. ძალიან გვინდოდა ოთხი ლელო გაგვეტანა და ერთი პრემიალური ქულაც აგველო. მატჩის ბოლოსკენ მეტოქე მაინც გავტეხეთ და მიზანს მივაღწიეთ.*

*დერეფანში ცუდად ვითამაშეთ. ეს პირველი მატჩი იყო, ბიჭები ნერვიულობდნენ, რაც თამაშსაც აშკარად დაეტყო. მეორე და მომდევნო შეხვედრებში, ვფიქრობ, უფრო დახვეწილ რაგბის ვითამაშებთ და, ვეცდებით, შეცდომებიც მინიმუმამდე დავიყვანოთ.*

**დავით ლოსაბერიძე,** საქართველოს ნაკრების კაპიტანი:

*„პირველი ოცი წუთი გაგვიჭირდა, ვნერვიულობდით. ხელოვნურსაფრიანი მოედნიდან ბუნებრივზე გადასვლამაც იმოქმედა, ამის გამო ძალიან ნელა, მძიმედ გადავაადგილდებოდით. მეორე ტაიმში უკეთ ვითამაშეთ და, ვფიქრობ, ძალიან კარგი შედეგი ვაჩვენეთ.*

*ჩვენს გუნდს საკმაოდ დიდი რეზერვი აქვს, ტრავმებს მოვიშუშებთ და შემდეგ შეხვედრებში უკეთ გავირჯებით"*

**მაიკლ შელი,** კანადის ნაკრების მწვრთნელი:

*„არ მეგონა, თუ ასე დიდი ანგარიშით წავაგებდით. ზუსტად ვიცოდით, როგორი გუნდი იყო საქართველოს ნაკრები. ცნობილია, ამ გუნდის შერკინების ძალა. ამიტომ ვეცადეთ თამაში გაგვეშალა, შეტევის მიმართულება სწრაფად გვეცვალა, მაგრამ სამწუხაროდ, ჩემი მორაგბეები ხშირად სცოდავდნენ და ქართველ მორკინალებს კონტრიერიშის წამოწყების საშუალებას აძლევდნენ."*

| | |
|---|---|
| **სამოა** | **48** |
| **აშშ** | **11** |

**სამოა** (15-9) პ.შუსტერი, ალაუნი (იონა 75), ფაავე, ლილომაიავა, პოლიკო, ფააპელე (იოსუა 73), ტუია (ვავაო 59) (1-8) გ.შუსტერი (ლაფო 64), ვაიომანუ, ალაალატოა (ფალატაუ 55), სკელტონი (ტოგიტელე 56), ალოფიპო, ტაუფუა, ფოე, ტუილეტუფუგა (ფაატოუ 67).

**8ლ:** ვაიომანუ, ტუია, ლილომაოავა (3), სკელტონი, გ.შუსტერი, ფაავე. 4გ: ფააპელე (3), ფაავე.

**აშშ** (15-9) კოული, სოოალო, ფარელლი, ჯოუნსი, ჰუგსი, მეგი, ოლივიერი. (1-8) კოლჰერი (აუიმატაგი 50), ლატუ (ოჰმანი 75), მულენი, კოლმენი, მეტკლიფი, გლეტცერი (ოჰარა 52), ბლეკი, სანფტი (ჯუზაკი 60).

**ლ:** ჰუგსი. ა,ს: კოული

**მსაჯი:** რადუ პეტრესკუ (რუმინეთი)

როგორც მოსალოდნელი იყო, ტურნირის ფავორიტი, სამოას ნაკრები, აშშ-ის ნაკრებთან შეხვედრაში უდიდეს უპირატესობას ფლობდა. კუნძულელებმა უმაღლესი დონის რაგბი აჩვენეს და პროგრამა მინიმუმი პირველ ნახევარშივე შეასრულეს. მეტოქეს ოთხი ლელო გაუტანეს, ტაიმი 24:6 მოუგეს, რითაც ერთი პრემიალური ქულა გაინაღდეს.

ამერიკელი მორაგბეები მეორე ნახევარში ოდნავ გამოცოცხლდნენ, თუმცა ხელდახელ ბრწყინვალედ მოთამაშე, ფიზიკურად ძალიან ძლიერ სამოელებს ბევრი ვერაფერი დააკლეს. თუმცა, ერთ-ერთ ეპიზოდში, როცა კუნძულელები კაცნაკლული იყვნენ, აშშ-ის ნაკრებმა ერთი პრესტიჟის ლელოს გატანა მაინც შეძლო.

## სატურნირო მდგომარეობა

**A ჯუფი:** 1. სამოა - 5 ქულა, 2. ურუგვაი - 4, 3. რუსეთი - 0, 4. ურუგვაი - 0

**B ჯგუფი:** საქართველო - 5 ქულა, 2. იაპონია - 5, 3. ზიმბაბვე - 0, 4. კანადა - 0

**ბესიკ ჯანგავაძე**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

| | |
|---|---|
| **რუსეთი** | **5** |
| **ურუგვაი** | **33** |

**რუსეთი** (15-9) სიმპლიკევიჩი, მ.ტოლმაჩევი, კორნეევი, ვასილევი (რაზუმოვი 67), ა.ტოლმაჩევი, კუკიშევი, მარტიში. (1-8) სკობიოლა, სელსკი (კოსობოჩკინი 56), მატვეევი, შირინოვი, გალიცკი, პოჩეჩუევი, ჟივატოვი, ვენგეროვი.

**ლ:** სიმპლიკევიჩი

**ურუგვაი** (15-9) ვილასეკა, ფავარო, ორმაჩეა, პრადა, სენ ანდრეა (დელ კერო), დურანი (სილვა 75). (1-8) ბენაიუნი (ბუკე 72), კარისიმი, ეჩევერია (გომესი 78), ლაკოსტე, სანგვინეტი (ზერბინო 69), ალონსო (ჰერნანდესი 60), ლამანა, პუპო,

**ლ:** ფავარო, დურანი, ბორხესი. 3გ,3ს: ორმაჩეა. ა: ბორხესი

**მსაჯი:** ტაიზო ჰირაბაიაში (იაპონია)

| | |
|---|---|
| **იაპონია** | **37** |
| **ზიმბაბვე** | **24** |

**იაპონია** (15-9) კუროსავა, ჰიკოსაკა, ვაიფუ, ნუნომაკი, ჰანო (ემი 75), ნაკამურა, უჩიდა. (1-8) ტაკაჰაში (კიტაგავა 65), მურაკავა (ნივაი 59), ენოკი, ლიი (აშიია 46), სონონაკა, კობიაში, კიმ, ტაუფა (ოვადა 73).

**5ლ:** მურაკავა, უჩიდა, ჰანო, ვაიფუ, კიმი. 2ს,3გ: ნაკამურა.

**ზიმბაბვე** (15-9) ცუმა, ჯიჯი, ტელა (კუცია 62), ფან რენსბურგი, კოლიზი, ნელსონი, მუდარიკი (ჩივანზა 45). (1-8) მაკოვა (როჯერსი 71), კარურუ, მუზა, ჯარავაზა, ლოგანი, მანდივანზა, ჯიჯიტა (იუბერი 67), მემა.

**3ლ:** ტელა, ჩივანზა, კუცია. 3გ,ს: ნელსონი.

**მსაჯი:** ტიმ ლასკომბი (აშშ)

ეროვნული ბიბლიოთეკა



24 მაისი, თბილისი. სპორტის სასახლე

## თსუ-არმია 61:65

12:15, 16:12, 17:20, 16:18

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი, მ. კუპატაძე

| თსუ | წთ | 2-ქულიანი | | | 3-ქულიანი | | | საჯარიმო | | | მოხსნა | | | პ | ჯ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჩ | ნ | % | ჩ | ნ | % | ჩ | ნ | % | მ | ს | ჯ | | | | | | |
| 4. დავით ხიზანიშვილი | 07:10 | 1 | 3 | 33.3 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 3 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 |
| 5. მიხეილ ფანჩულიძე * | 28:59 | 0 | 2 | 0 | 2 | 5 | 40 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 2 | 0 | 3 | 1 | 2 | 1 | 6 |
| 6. გ. გაფრინდაშვილი * | 32:49 | 0 | 4 | 0 | 1 | 2 | 50 | 2 | 4 | 50 | 1 | 2 | 3 | 7 | 5 | 2 | 2 | 0 | 5 |
| 7. გიორგი მარხვაშვილი | 08:16 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 9. ილია ლონდარიძე | 21:44 | 4 | 7 | 57.1 | 1 | 6 | 16.7 | 1 | 4 | 25 | 4 | 4 | 8 | 1 | 5 | 0 | 1 | 1 | 12 |
| 10. ზურაბ კორკოტაძე | 10:54 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 3 | 6 | 50 | 2 | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 3 |
| 11. მიხეილ ჩიტაშვილი * | 30:06 | 3 | 6 | 50 | 0 | 3 | 0 | 2 | 4 | 50 | 0 | 1 | 1 | 1 | 2 | 3 | 1 | 0 | 8 |
| 13. რიჩარდ მათიაშვილი * | 21:50 | 0 | 1 | 0 | 1 | 2 | 50 | 4 | 5 | 80 | 1 | 4 | 5 | 1 | 5 | 2 | 0 | 1 | 7 |
| 15. მიხეილ ბერიშვილი * | 38:12 | 2 | 6 | 33.3 | 4 | 7 | 57.1 | 2 | 2 | 100 | 0 | 7 | 7 | 2 | 2 | 3 | 2 | 0 | 18 |
| გუნდი | | | | | | | | | | | 2 | 6 | 8 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | |
| ჯამი | | 10 | 29 | 34.48 | 9 | 28 | 32.14 | 14 | 25 | 56.00 | 11 | 31 | 42 | 12 | 24 | 18 | 8 | 3 | 61 |

შენიშვნა: ვარსკვლავით აღნიშნულმა კალათბურთელებმა შეხვედრა სასტარტო შემადგენლობაში დაიწყეს

| არმია | წთ | 2-ქულიანი | | | 3-ქულიანი | | | საჯარიმო | | | მოხსნა | | | პ | ჯ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჩ | ნ | % | ჩ | ნ | % | ჩ | ნ | % | მ | ს | ჯ | | | | | | |
| 5. ზვიად ბაბიაშვილი * | 34:36 | 6 | 15 | 40 | 0 | 3 | 0 | 1 | 6 | 16.7 | 8 | 4 | 12 | 0 | 3 | 2 | 1 | 0 | 13 |
| 6. ანატოლი ბოისა * | 30:56 | 0 | 2 | 0 | 1 | 4 | 25 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 4 | 1 | 5 | 0 | 0 | 0 | 3 |
| 7. ვახტანგ მინაშვილი | 02:31 | 1 | 2 | 50 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |
| 10. კოტე ტულუში * | 36:40 | 3 | 5 | 60 | 1 | 5 | 20 | 2 | 2 | 100 | 0 | 5 | 5 | 5 | 4 | 3 | 3 | 0 | 11 |
| 11. გ. პირველაშვილი | 07:04 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 4 | 50 | 0 | 1 | 1 | 0 | 3 | 1 | 0 | 1 | 2 |
| 21. დავით საყვარელიძე | 25:15 | 1 | 3 | 33.3 | 3 | 5 | 60 | 3 | 4 | 75 | 1 | 4 | 5 | 6 | 4 | 1 | 1 | 0 | 14 |
| 23. გიორგი შარაბიძე * | 34:02 | 6 | 13 | 46.2 | 0 | 0 | 0 | 4 | 9 | 44.4 | 2 | 7 | 9 | 2 | 3 | 3 | 2 | 1 | 16 |
| 24. ბუბა ბერიშვილი * | 28:56 | 1 | 2 | 50 | 0 | 4 | 0 | 2 | 2 | 100 | 1 | 4 | 5 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 4 |
| გუნდი | | | | | | | | | | | 3 | 2 | 5 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | |
| ჯამი | | 18 | 43 | 41.86 | 5 | 21 | 23.81 | 14 | 27 | 51.85 | 15 | 31 | 46 | 17 | 25 | 13 | 8 | 2 | 65 |

სერია მოიგო „არმიამ“ - 3:1

შენიშვნა: წ - წუთი, 2-ქულიანი - (ჩ) ჩაგდებული, (ნ) ნატყორცნი; 3-ქულიანი - (ჩ) ჩაგდებული, (ნ) ნატყორცნი; საჯარიმო - (ჩ) ჩაგდებული, (ნ) ნატყორცნი; მოხსნა - (მ) მეტოქის ფარზე, (ს) საკუთარ ფარზე (ჯ) ჯამი; პ - პასი, ჯ - ჯარიმა, შ - შეცდომა, ჩ - ჩაჭრა, დ - დაფარება, ქ - ქულა



ბორისამ გულშემატკივრებთან ერთად გაიხარა

# ოცი ჩემპიონატის მეშვიდე გამარჯვებული: არმია

1991 წლის შემდეგ საქართველოს 19 ჩემპიონატს 6 გამარჯვებული ჰყავდა, მე-20 პირველობამ კი ახალი, მეშვიდე ჩემპიონი მოგვივლინა - „არმია“. აქამდე მხოლოდ ბათუმის „ბასკოს“ მოეხერხებინა სადებიუტო სეზონშივე ოქროს მედლების მოპოვება, ეს წლეულს „არმიამ“ გაიმეორა: სექტემბერში შეიქმნა, ოქტომბერში შეიკრა, ნოემბერში სუპერლიგაში ჩაერთო, დეკემბერში პირველი წრე მოიგო, იანვარში სლოვენიაში გაიარა შეკრება, თებერვალში საქართველოს თასს დაეუფლა, აპრილში რეგულარული ეტაპი მოიგო, ხოლო 24 მაისს, გუშინ საქართველოს ჩემპიონისთვის განკუთვნილი თასი ალმართა.

დასაწყისისთვის შესანიშნავი შედეგია, მაგრამ როგორც ვიცით, ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია, მეორე ნაბიჯი ევროტურნირებზე გასვლა იქნება, რაც ქართულ კალათბურთს ჰაერივით სჭირდება... დიდი ხანია, ერთ ქვაბში ვიხარშებით და ბევრს ჰგონია, რომ საქართველოში საკლუბო კალათბურთი არ არსებობს. საპირისპიროში წლეულს დავრწმუნდით - ნაღვერდალივით მინავლებულ ჩემპიონატს „არმიამ“, თსუ-მ, „ქუთაისმა“, „სოხუმმა“, შსს-მ და „სამედიცინომ“ ახალ სიოსავით წამოუბერეს და ნაკვერჩხალს ალი გაუჩინეს, ახლა ცეცხლის გაძლიერებაა საჭირო...

■ ■ ■

ფინალური სერიაც ბოლო ათწლეულში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო გამოდგა. თავად განსაჯეთ: ოთხივე მატჩში გამარჯვებულის ბედი ბოლო წუთებზე გადაწყდა, ოთხიდან სამი შეხვედრა 4-ქულიანი სხვაობით დასრულდა. საბოლოოდ „არმიამ“ თსუ 3:1 დაამარცხა.

გუშინ სერიის მეოთხე მატჩი ჯარისკაცებმა 65:61 მოიგეს. პირველ ტაიმში ორივე გუნდს დაცვაში თამაში უკეთ გამოსდიოდა, ვიდრე შეტევაში. შედეგად, საწყის 20 წუთში მეტად დაბალი რეზულტატი დაფიქსირდა: 28:27 თსუ-ს სასარგებლოდ. სტუდენტებს ქულათა უმეტესობა სამქულიანებით ჰქონდათ მოგროვებული (5 სამიანი, 2-ის წილ), თსუ მოხსნებშიც იგებდა - 26:23. ხოლო „არმიას“ მეტოქეზე სამით მეტი ორქულიანი ჰქონდა ჩაგდებული.

პირველი ტაიმის სტატისტიკაზე ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ მეორე ტაიმის მონაგართან შეგვედარებინა და შემდეგ გვეთქვა: „არმიამ“ მეორე ნახევარში სამწამიანი ზონა კიდევ უფრო გაამაგრა და თსუ-ს ფარქვეშიდან 40 წუთში სულ 14 ქულა ჩააგდებინა, თავად კი სამწამიანი ზონიდან ორჯერ მეტი, 28 ქულა მიითვალა. ძალოვნებმა სტუდენტებს საბოლოოდ მოხსნებშიც აჯობეს - 46:42.

როგორც გითხარით, ყველაფერი ბოლო წუთებზე გადაწყდა, ამიტომ მეოთხე პერიოდის პერიპეტიების ბრტყელ-ბრტყელი წინადადებებით გადმოცემას სჯობს სვეტად, ქრონოლოგიის სახით ჩამოგიწიკნიკოთ:

### IV პერიოდი

| | |
|---|---|
| 9:41 | ტულუში 2ქ (45:49) |
| 9:07 | საყვარელიძე 3ქ (45:52) |
| 8:51 | მ. ბერიშვილი 3ქ (48:52) |
| 8:32 | საყვარელიძე 2ქ (48:54) |
| 7:07 | ბაბიაშვილი 2ქ (48:56) |
| 5:27 | ბოისა V ფოლი |
| 5:08 | ჩიტაშვილი 1+1 (ააცილა) |
| 4:50 | შარაბიძე 1ქ (48:57) |
| 4:34 | მათიაშვილი 1+1+1 (51:57) |
| 4:12 | გაფრინდაშვილი 1+1 (ააცილა) |
| 4:00 | ჩიტაშვილი 2ქ (53:57) |
| 3:50 | შარაბიძე 2ქ (53:59) |
| 3:33 | ლონდარიძე 1+1 (ააცილა) |
| 2:44 | ჩიტაშვილი 2ქ (55:59) |
| 2:09 | მათიაშვილი V ფოლი |
| 2:09 | საყვარელიძე 1ქ (55:60) |
| 1:48 | საყვარელიძე 1+1 (55:62) |
| 1:37 | გაფრინდაშვილი V ფოლი |
| 1:37 | ტულუში 1+1 (55:64) |
| 1:34 | ლონდარიძე 2ქ (57:64) |
| 0:43 | ლონდარიძე 3ქ (60:64) |
| 0:19 | ლონდარიძე V ფოლი |
| 0:19 | ბაბიაშვილი 1ქ (60:65) |
| 0:12 | კორკოტაძე 1ქ (61:65) |
| 0:02 | ბაბიაშვილი 1+1 (ააცილა) |

0:02 - თსუ-ს მწვრთნელმა **ნუგზარ ჭეიშვილმა** „არმიის“ თავკაც **ლევან მოსეშვილს** გამარჯვება მიულოცა. საფინალო სირენასთან ერთად „არმიამ“ ძალიან გაიხარა, გუნდმა იცეკვა ხორუმი, გახსნა შამპანურები... კლუბის ხელმძღვანელობამ კი გამარჯვებულებს კეპები დაურიგა წარწერით: Georgian Champion 2011 - Armia.

ჩემპიონისთვის განკუთვნილი თასი კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ბესიკ ლიპარტელიანმა** „არმიის“ კაპიტან **კოტე ტულუშს** საზეიმო ვითარებაში გადასცა. თასით ხელდამშვენებულმა კოტემ ასეთი კომენტარი გააკეთა:

*- თსუ-მ ღირსეულად იბრძოლა, დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია, მის მიმართ ქების მეტი არაფერი მეთქმის, საინტერესო სერია გამოვიდა. თამაშს განსაკუთრებული ეშხი გულშემატკივარმა შესძინა, რომელმაც ჩვენს გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა. ვულოცავ ყველას ამ წარმატებას.*

გულდაწყვეტილები იყვნენ თსუ-ელები, **მიხეილ ჩიტაშვილმა** კი ტაბლოს შეხედა და აღნიშნა:

*- მთელი სეზონის განმავლობაში 90-100 ქულამდე ავდიოდით. დღეს 61 ჩავაგდეთ... 70-მდეც რომ ავსულიყავით, ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ დასრულდებოდა. ვერ ჩავაგდეთ... მოგება შეიძლებოდა. სწორედ ესაა მეტად გულდასაწყვეტი.*

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

### კომენტარი

## ლევან მოსეშვილი
(არმია)

- ღირსეულად გავიმარჯვეთ. მოხარული ვარ, რომ ჩვენი შრომა დაფასდა, ჯერ საქართველოს თასი მოვიგეთ, ახლა - ჩემპიონობა. მძიმე ბრძოლები გადავიტანეთ, ლამაზი სერია გამოდგა. ვულოცავ ამ წარმატებას კლუბის ხელმძღვანელობას. ეს გამარჯვება ყველას დამსახურებაა, გულშემატკივრის, ჩვენი გუნდის და მისი კაპიტნების ტულუშისა და ბაბიაშვილის - სხვა გუნდებისგან განსხვავებით, ორი კაპიტანი გვყავს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრობასკეტი დარჩა 98 დღე


თბილისი. სპორტის სასახლე. მარცხნიდან: დარსაძე, კურტინაიტისი და... ოპოშნიანს საბონისი უფარებს

ფოტო ალექსანდრე კოტორაშვილის არქივიდან

# არვიდასი მოვიდა

## ევროლეგენდა ევრობასკეტს წარმოგვიდგენს

ისრაელი, სლოვენია, თურქეთი, ესპანეთი... ამ ქვეყნების შემდეგ ლეგენდარული ლიტველი კალათბურთელი **არვიდას საბონისი** საქართველოს ეწვია. იგი ევროპის ჩემპიონატის ოფიციალური ელჩია და ევრობასკეტის დაწყებამდე შეჯიბრების მონაწილე ყველა ქვეყანაში მოაწყობს პრეზენტაციას.

საბონისი გუშინ სტამბოლი-თბილისის ავიარეისით 16:25 საათზე ჩამოფრინდა. მას დახვდნენ კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ბესიკ ლიპარტელიანი**, სპორტის დეპარტამენის უფროსი **ირაკლი სამყურაშვილი** და საბონისის მეგობარი, ვეტერანი კალათბურთელი **ნიკოლოზ დერიუგინი**.

*- მოგეხსენებათ, ევროპის 2011 წლის ჩემპიონატს ჩემი სამშობლო, ლიტვა უმასპინძლებს. ამ ღონისძიებაში მონაწილეობას საქართველოს ნაკრებიც მიიღებს, თანაც პირველად და იმედი მაქვს ღირსეულადაც გამოვა. აქ იმიტომაც ვარ, რომ თქვენს ქვეყანას ევრობასკეტი წარვუდგინო. საქართველოში არაერთხელ ვყოფილვარ და ახლაც სიამოვნებით ჩამოვედი,* - განაცხადა არვიდას საბონისმა.

ნიკოლოზ დერიუგინი საბჭოთა კავშირის ნაკრებში საბასის თანაგუნდელი იყო, ხოლო „დინამო"-„ჟალგირისის" მატჩებისას ისინი ერთმანეთს არაფერს უთმობდნენ.

*- საბჭოთა ჩემპიონატში არაერთი მაღალი დონის ცენტრი იყო, თუმცა ბევრს ვუმკლავდებოდი. არვიდას საბონისის წინააღმდეგ თამაში კი ჭირდა - იგი მაღალიც იყო, მოქნილიც და ჭკვიანიც... სსრკ-ის ნაკრებში მის გვერდით არაერთი მატჩი ჩამიტარებია, მასთანაც და სხვა ბალტიისპირელებთანაც შესანიშნავი ურთიერთობა მქონდა,* - გაიხსენა ჩვენმა მსოფლიოს ჩემპიონმა ნიკოლოზ დერიუგინმა.

სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ირაკლი სამყურაშვილმა აღნიშნა:

*- დღეს თბილისში მნიშვნელოვანი სტუმარი ჩამოვიდა - ლეგენდარული ლიტველი კალათბურთელი, არვიდას საბონისი. მისი ვიზიტი კიდევ ერთი დასტურია ჩვენს ქვეყნებს შორის თბილი ურთიერთობებისა, რაც სპორტზეც სათანადოდ აისახება.*

კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ ევრობასკეტის ელჩის ჩამოსვლა ორი თვით ადრე დაიგეგმა, საბონისი ჩემპიონატის მონაწილე რამდენიმე ქვეყანაში იყო და საქართველოში ჩამოსვლაც ამ პროექტის ფარგლებში განხორციელდა.

დღეს, 25 მაისს საბონისი შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობას. დღესვე ლიტველი „თბილისი მერიოტში" ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის ოფიციალურ პრეზენტაციას მოაწყობს. მისი ვიზიტი 26 მაისს კულტურული ღონისძიებებით გაგრძელდება და 27-ში დასრულდება.

ვაჟა სიმონიშვილი

### დოსიე
### არვიდას საბონისი

**დაიბადა** 1964 წლის 19 დეკემბერს კაუნასში.
**პოზიცია:** ცენტრი, 221 სმ.
**კარიერა** დაიწყო 1981 წელს კაუნასის „ჟალგირისში".

**საკლუბო კარიერა**

კაუნასის „ჟალგირისი" (ლიტვა) (1981-1989 წლები)
„ვალიადოლიდი" (ესპანეთი) (1989-1992 წლები)
მადრიდის „რეალი" (ესპანეთი) (1992 -1995 წლები)
„პორტლენდი" (აშშ) (1995-2001, 2002-2003 წლები)
კაუნასის „ჟალგირისი" (ლიტვა) (2003-2005 წლები)

**ტიტულები**

**ინდივიდუალური პრიზები**

ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე (1985)
2-გზის ევროპის წლის საუკეთესო კალათბურთელი (1985, 1997)
2-გზის ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე (1994, 1995)
ევროლიგის ოთხთა ფინალის საუკეთესო მოთამაშე (1995)
ევროლიგის რეგულარული სეზონის საუკეთესო მოთამაშე (2004)
ევროლიგის TOP-16-ის საუკეთესო მოთამაშე (2004)

**სანაკრებო პრიზები**

ოლიმპიური ჩემპიონი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში (1988)
ოლიმპიადის ორგზის ბრინჯაოს მედალოსანი ლიტვის ნაკრებთან ერთად (1992, 1996 წლებში)
მსოფლიოს ჩემპიონი საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში (1982)
ევროპის ჩემპიონი საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად (1995)

ძიუდო. 23-წლიანთა ევროპის ჩემპიონატი

# ბაქომ ტურნირი იუარა

## სად წავლენ 23-წლიანები?

ჩვენს მეზობლად უჩვეულო ამბავი ხდება - აზერბაიჯანი უარს ამბობს პრესტიჟული ტურნირის მასპინძლობაზე. მოგეხსენებათ, შეუზღუდავი ფინანსური რესურსების იმედით იქაურები ყველა მნიშვნელოვანი შეჯიბრების მითვისებას ლამობენ და მიზანსაც თითქმის ყოველთვის აღწევენ, თუმცა ამ დღეებში იქაურმა სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ბაქომ 18-20 ნოემბერს გასამართი 23-წლამდელ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატის ჩატარება იუარა. ამის შესახებ ძიუდოს ევროპულ მმართველ ორგანოსაც მიმართეს, რომელიც გაგებით მოეკიდა მათ თხოვნას (ან კი რა გზა ჰქონდა სხვა) და პირველობის სხვაგან გადატანას დათანხმდა. ოღონდ ჯერ არაა ცნობილი, სად გაიმართება ეს ტურნირი, ან შეიცვლება თუ არა მისი ჩატარების ვადები.

აზერბაიჯანულმა ფედერაციამ უარის მიზეზად თანხების დეფიციტი დაასახელა, წლევანდელ კალენდარში სამი სალიცენზიო შეჯიბრება გვაქვს და ამდენს ვერ გავწვდებითო. ბაქომ ამ სამიდან ორს უკვე უმასპინძლა - მასტერსს იანვარში და „დიდ პრიზს" აპრილში, რიგში კი მსოფლიოს თასია, რომელიც 9-10 ოქტომბერს უნდა გაიმართოს. აზერბაიჯანელებისთვის წინასწარვე დაგეგმილი სწორედ მსოფლიოს თასი იყო - როგორც წესი, ამ რანგის შეჯიბრებათა კალენდარი რამდენიმე წელიწადზეა გაწერილი, დანარჩენები კი პოსტფაქტუმ მიიღეს. განსაკუთრებით - „დიდი პრიზი", რომელიც ტუნისში უნდა გამართულიყო, მაგრამ ქვეყანას იქ მომხდარი პოლიტიკური არეულობების გამო ჩამოერთვა. საერთაშორისო ფედერაციას თავისი სამსახური მაშინვე შესთავაზა აზერბაიჯანულმა მხარემ და მიზანსაც მიაღწია.

ერთმანეთს რომ შევადაროთ ეს სამი სალიცენზიო შეჯიბრება და 23-იანთა ევროპის პირველობა, სხვაობა აშკარაა - ამ ტურნირებში არაევროპელებიც გამოდიან და სიძლიერით „ბებერი კონტინენტის" არათუ ასაკობრივ, უფროსთა პირველობასაც აღემატებიან. რაც მთავარია, ისინი სალიცენზიო რეიტინგში ქულებსაც იძლევიან, მასტერსი და „დიდი პრიზი" - საკმაოდ ბევრსაც. სწორედ ამიტომ გაძვრნენ იქაურები ნემსის ყუნწში მათი მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად. როცა ტუნისური შეჯიბრება ბაქოს გადაეცა, აზერბაიჯანის ძიუდოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **აგიარ ახუნდზადე** სიამოვნებისგან ხელებს იფშვნეტდა, ამ პრიზზე ბლომად ქულები გაიცემა და ჩვენებს სარეიტინგო მარაგის შევსების ჩინებული შანსი ეძლევათო. დასამალი არაა - მასპინძლებს მსაჯები ბევრად თუ არა, ცოტათი მაინც ყოველთვის ეხმარებიან, აზერბაიჯანი კი მაქინაციებით, გარიგებებით, შეხვედრათა ყიდვა-გაყიდვით და მსაჯთა მოსყიდვით ისედაც ცნობილია, თანაც არა მხოლოდ ძიუდოში, სპორტის სხვა სახეობებშიც (თუნდაც ბერძენ-რომაელ **მანუჩარ ცხადაიას** (66) ნაგებული ფინალი გავიხსენოთ მსოფლიოს შარშანდელ პირველობაზე აზერბაიჯანელ **ფარიდ მანსუროვთან**) და ორი აზრი არ არსებობს, ახუნდზადესაც სწორედ ამისი ეიმედებოდა. ბაქოში გამართულ შეჯიბრებებში იქაურებს მართლაც გარანტირებული აქვთ მაქსიმალური მხარდაჭერა და მასტერსის შემდეგ ჩვენი ძიუდოისტები გაკვირვებულებიც იყვნენ ამ ფაქტორით, იმდენად დიდი ყოფილა მსაჯთა თუ ორგანიზატორთა გავლენა.

ერთი სიტყვით, ერთ სეზონში სამი სალიცენზიო შეჯიბრების ჩატარება მათ ძიუდოისტებს მართლაც გვარიან ქულებს უქადის - წარმატებით გამოსვლის შემთხვევაში ცალი ფეხით ლონდონში არიან. ამათთან შედარებით რა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს 23-წლიანთა ევროპის ჩემპიონატს? მხოლოდ მედლები, რომელთა მოპოვება სხვაგანაც შეიძლება. აქედან გამომდინარე, გასაკვირიც არ არის, ასეთი ტურნირის ჩატარებაში ფულის დაზოგვა თუ მოინდომეს. მით უფრო, იქაური ფედერაციის პრეზიდენტი, ებრაული წარმოშობის ბიზნესმენი **ფიზული ალაკბაროვი** უაღრესად პრაგმატულ მმართველადაა ცნობილი - თანხას ისე არ ჩადებს, თუ უკუგებას არ ელოდება. თან როგორც ამბობენ, ძიუდოს ოჯახის საჭიროებას მჭიდროდ აკავშირებს საკუთარ ბიზნესთან. სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ ფინანსურ კრიზისზე ალაკბაროვი შარშანაც ალაპარაკდა, ოღონდ სეზონის მიწურულს, როცა მთელ რიგ მნიშვნელოვან შეჯიბრებებზე ნაკრები ვერ დააფინანსა.

თუმცა მისი ბიზნესინტერესები თუ პრობლემები იქით იყოს და ჩვენ საკუთარი გასაჭირი ვიკითხოთ - ბაქოში ჩასვლა ბევრად იაფი დაგვიჯდებოდა, ახლა კი ნაკლებად მოსალოდნელია, ჩემპიონატი ისეთ ქვეყანაში დაინიშნოს, ეკონომიკურად ასეთი მომგებიანი ვარიანტი იყოს. ოღონდ ფინანსური კრიზისი არც ჩვენი ფედერაციისთვისაა უცხო და საკითხავია, წავიდოდნენ კი ამ ტურნირზე? შარშან სწორედ უფულობის გამო ბოსნია-ჰერცეგოვინას დედაქალაქ სარაევოში გამართულ პირველობაზე ვერ გაემგზავრნენ. ამიტომაც იყო ბაქოსდარი იაფი ვარიანტი ჩვენთვის მისწრება. 23-წლიანთა ჩემპიონატს დიდი ისტორია არ აქვს და როგორღაც უშნოდაა გამოჩხერილი საერთაშორისო თუ ევროპულ კალენდარში - მას წინ 20-წლიანთა ევროპის და მსოფლიოს პირველობები უსწრებენ, მერე კი ეროვნული ჩემპიონატები ან ისეთი მართალი რანგის შეჯიბრებები მოსდევენ, როგორიც ძიგოროკანოს „დიდი მუზარადი" და ჩინეთისა თუ რიგი ქვეყნების „დიდი პრიზები" და ამათ მსგავსად სალიცენზიო დატვირთვის მსოფლიოს თასები. მაგალითად, წლეულს ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობაც ნოემბერში იმართება (სამხრეთ აფრიკაში) და როტერდამის „დიდი პრიზი" ანუ ფრიად დატვირთული კალენდარია. შარშან ეს ტურნირი საქართველოს ჩემპიონტსაც ემთხვეოდა და წასვლაზე ამიტომაც არ გამოუდვიათ დიდად თავი, თუმცა არც ფული მოეძევებოდათ. ეს ასაკი - 23 წელიწადი გარდამავალია ახალგაზრდებსა და უფროსებს შორის. ამიტომ გარკვეული სპორტული დატვირთვა მაინც გააჩნია და თანდათან ფეხს იკიდებს ძიუდოს სამყაროში. აქ გამოსასვლელად შანსი ისეთ ფალავნებსაც ეძლევათ, რომლებმაც ახალგაზრდულ ასაკს გადააბიჯეს და ვერც ეროვნულში ხვდებიან - მათთვის ეს რეაბილიტაციის, საკუთარი შესაძლებლობების გამოყენების ერთგვარი შანსია. სპორტსმენებიც საკმაოდ ტიტულოვანები გამოდიან. მაგალითად, სხვადასხვა წლებში მისი ჩემპიონ-მედალოსნები სადღეისოდ ისეთი ცნობილი ფალავნები გამხდარან, როგორიც უკრაინელთა ქართველი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **გიორგი ზანთარაია** (60), იტალიელი მსოფლიოს პრიზიორი **ელიო ვერდე** (60), რუსი მსოფლიოს პრიზიორი **მანსურ ისაევი** (73), ევროპის რუსი ჩემპიონი **სირაზუდინ მაგომედოვი** (81) და კიდევ ბევრი სხვა.



ირაკლი თავაძე

ქართული ჭიდაობა

# მხოლოდ ქვარცხლბეკი

ქართულ ჭიდაობაში ქუთაისში გამართულ კოლია ქვარიანის ტურნირის შესახებ გუშინ ვწერდით. დღეს შესაძლებლობა გვაქვს გაგაცნოთ ამ ახალგაზრდული ტურნირის კვარცხლბეკი.

**55კგ.**

1. ლერი ჭელიძე (ქუთაისი)
2. რამაზ იაკობიძე (აჭარა)
3. ოლდიმი გაბიანი (ქუთაისი)

**60კგ.**

1. ლაშა კვირიკაშვილი
2. ალექსანდრე ბართაია (ქუთაისი)
3. გელა ლიპარტელიანი (ქუთაისი)

**65კგ.**

1. გიორგი კაცაძე (სამტრედია)
2. გურამ ნიკურაძე (სამტრედია
3. ნუგზარ ქურასბედიანი (ქუთაისი)

**70კგ.**

1. ანდრო ბერუაშვილი (სამაჩაბლო)
2. ალექსანდრე ნანიევი (თბილისი)
3. უშანგი მარგიევი (სამტრედია)

**75კგ.**

1. ალექსანდრე ქურასბედიანი (ქუთაისი)
2. ლაშა ხურაშვილი (ქუთაისი)
3. ჯაბა მინაძე (თბილისი)

**80კგ.**

1. გურამ წულუკიძე (ქუთაისი)
2. გიორგი შველიძე (თბილისი)
3. ნიკა გოჩელაშვილი (სამაჩაბლო)

**90კგ.**

1. გიორგი ჯიბლაძე (ქუთაისი)
2. თორნიკე ოთინაშვილი (სამაჩაბლო)
3. ნიკა გიორგაძე (ქუთაისი)

**+90**

1. უშანგი კოკაური (აჭარა)
2. გიორგი ცნობილაძე (ქუთაისი)
3. გუგა კიბორძალიძე (ქუთაისი)

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

თავგადასავლები

# ყოფილი ფეხბურთელი, გენერალი დემურ მიქაძე

**მართალია, დრომ მოიტანა და აქტიურ ფეხბურთს ჩამოშორდა, მაგრამ სანახევროდ, დღესაც ფეხბურთით სულდგმულობს და ქართული სპორტის სწორუპოვარი ქომაგია. თუ რატომ „სანახევროდ", ქვემოთ მოგახსენებთ.**

## შეაყოვნეთ რეისი-202!

სამოციან წლებში საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ვთამაშობდი. მწვრთნელი გახლდათ ვლადიმერ ელოშვილი. ფეხბურთის უდიდესი სპეციალისტი და შესანიშნავი, პიროვნება. სასიამოვნო მოგონებად ის დამრჩა, რომ ორჯერ ვითამაშე ფინალში საბჭოთა კავშირის პირველობაზე. ის უსიამოვნო ფაქტი, დონეცკში რომ მოსკოვის „სპარტაკთან" ფინალში 1:2 წავაგეთ, მე მაინც სასიამოვნოდ მახსენდება. ამას მხოლოდ ის თუ გაიგებს, ვისაც ფინალში თამაშის სიამოვნება განუცდია ერთხელ მაინც.

მერე მოხდა ისე, რომ ფეხბურთის ფორმა გავიხადე და მილიციის გენერლის ფორმა ჩავიცვი, თუმცა ფეხბურთს ცოცხალი თავით როგორ ჩამოვცილდებოდი. ყველა უმნიშვნელოვანეს მატჩში სტადიონზე წესრიგს ვიცავდი, ჩემს „არწივებთან" ერთად. ის ეპიზოდიც, რომელზეც უნდა გიამბოთ, სწორედ ჩვენი „დინამოს" „ლივერპულთან" თამაშს უკავშირდება.

ფეხბურთის ფანებს ემახსოვრებათ (ან რა დაავიწყებთ), ის მატჩი ბრწყინვალედ ჩავატარეთ, „ნისლისფერი ალბიონის" ფეხბურთელები გამანადგურებელი ანგარიშით 3:0 დავამარცხეთ.

როგორც მოგახსენეთ, წესრიგის დაცვა ჩემს მოვალეობაში შედიოდა. ეს იყო ორმაგი პატივი. ორმაგი იმიტომ, რომ ჯერ სამსახური იყო მოვალეობა, რაშიც შედიოდა როგორც სტადიონზე წესრიგის დაცვა, ასევე სტუმრად მყოფი ფეხბურთელების და მსაჯთა ბრიგადის უსაფრთხოების ასპროცენტიანი გარანტია. მეორე - ქართული ტრადიციების და სტუმარმასპინძლობის განუხრელი დაცვა იყო.

მოკლედ, უშესანიშნავეს ხასიათზე ვართ. მოვიგეთ! მთავარი მსაჯი (ეშვაილერი-გერმანიიდან) და მისი ბრიგადა პირადად მე უნდა გავაცილო - აეროპორტში.

თვითმფრინავი ღამის 12 საათზე მიფრინავს.

ერთი საათით ადრე მივაცილე სტუმრები აეროპორტში. იქვე, რესტორანში დავიწყე „მეორე მოვალეობის" შესრულება. სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოჰყვა. ერთ ჭიქას მეორე, მესამე... მსაჯები უთხარი შენ და - წვეთს არ იკლებენ. მალე აუჟუჟუნდათ თვალები, ვარდის კოკორივით გაიფურჩქნენ. თარჯიმნობა ჩვენმა საამაყო სპორტსმენმა ალექსანდრე მეტრეველმა იკისრა.

- არ უნდათ წასვლა - მითარგმნა ღიმილით.

- როგორ თუ არ უნდათ, რას ჰქვია არ უნდათ - გამიკვირდა ქართულად.

- ამბობენ, „იქნებ რეისი ერთი საათით მაინც შეაყოვნოთო"! - მითარგმნა ისევ.

რაღა ვქნა ახლა!? ისეთი პუნქტუალური ერის წარმომადგენელი, როგორიც გერმანელი მსაჯი ეშვაილერი გახლდათ, მე - ქართველ კაცს, დემურ მიქაძეს მთხოვს - ერთი საათი კიდევ მამყოფე თქვენს დალოცვილ მიწაზეო. შენ გენაცვალე და შენი ჭირიმე, ჩემო ტკბილო გერმანელო, მაგრამ ვინ, ვინ და მე - მილიციის გენერალმა წესრიგი როგორ დავარღვიო? არადა ქართველი რომ ვარ? - ვფიქრობ გამწარებული - სტუმარს როგორ ვუთხრა - გინდა, არ გინდა - წადიო?..

მაინც ქართულმა გენმა იმძლავრა. ყველაფერი რიგზე იქნება-მეთქი და გამოვედი.

ფეხის ათრევით შევედი აეროპორტის უფროსთან. სიმწრის ოფლში ვიწურები, როგორი საქმეა, აეროპორტის უფროსს, მე, წესრიგის უზადო დამცველმა ვუთხრა - „წესრიგი დაარღვიე და რეისი შეაყოვნე-მეთქი?! (თუნდაც ერთი საათით)".

- მოკლედ, საქმე ასეა, დავიწყე მძიმედ - ჩვენებმა ხომ მოიგეს დღეს?

- აბა, კაცო, აბა! მაგათ ვენაცვალე! - ამყვა ისიც, „რაც კარები ვართ, ქართველები ვართო" ტყუილად კი არ უთქვამს ბრძენს...

- ჰო დააა, განგებ ვწელავ სათქმელს - მსაჯები ქეიფობენ იმ მატჩის... რესტორანში.

- მაგათაც ვენაცვალე! უნდა იქეიფონ, აბა რა!

- არ უნდათ ჯერ წასვლა... მივადექი მთავარს.

- ნუ წავლენ მერე... ბიჯოს! იყვნენ და იქეიფონ.

გულში იმედი გამილვივდა... რაც არის, არის... უნდა ვუთხრა.

- კი მაგრამ- რეისი რომ თხუთმეტ წუთშია?

- რომელი, კაცო?

- მაგათი - ვანიშნე თავის გადაქნევით რესტორნისკენ.

- კი მაგრამ, საქმის კურსში არ ხართ თქვენ, ბატონო დემურ? - აქეთ მეკითხება.

- ვერ გავიგე?

- რა და უამინდობის გამო მაგათი რეისი დილის 6 საათამდე გადაიდო.

- რააა??? - არ ვუჯერებ ყურებს.

- კი, ასეა - იჯდნენ და იგრიალონ დილამდე.

თვალებში ათასი მზე ერთბაშად გამიბრწყინდა.

- ესე იგი - გადაიდო?

- კი, ასეა, ბატონო.

- არიქა, თუ ძმა ხარ, არავის უთხრა! - „დავუბარე" და გახარებული „მივფრინდი" რესტორანში ჩვენს მსაჯებთან.

- ყველაფერი რიგზეა! - ვანიშნე ცერათითის აწევით. აი, ახლა კი ჩვენს ბრწყინვალე - „დინამოს" ფეხბურთელებს გაუმარჯოთ! - ავწიე ჭიქა - ეს ერთი და სხვა მრავალი! - უთარგმნე! - გადავხედე მეტრეველს.

დილარიჟრაჟზე „ღვინის ქურდებში" როა, ზუსტად ისე მივაცილეთ პატივცემული მსაჯები ტრაპთან.

დღესაც სჯერათ, რომ რეისი მე შევაყოვნე...

## ვისიააა, ვისიაა, თასიიი ლამაზიიიიი!!!

ამას რას მოვესწარით! ამას რას მოვესწარით! ჩვენს ბიჭებს ევროპის თასების მფლობელთა თასი ჩამოაქვთ თბილისში.

გემახსოვრებათ ის დაუვიწყარი ღამე.

მთელი თბილისი გარეთაა. ყურის წამლები პიპინპიპინია თბილისის ულამაზეს ქუჩებში, ჩიხებში, ქუჩაბანდებში. „დინამო! დინამო! დინამო!"

აეროპორტში?

აეროპორტში ენით აუწერელი რამ ხდება. ტევა არაა. სკანდირებს: „დინამო! დინამო! ექოდ გადარბის თბილისის თავზე.

და აი, ისიც! თვითმფრინავი, სანუკვარი თასით და სიხარულით გადარეული ჩვენი ბიჭებით ჩვენი დედაქალაქის აეროპორტში დაჯდა.

წესრიგის დაცვა საჭირო არაა, რა უნდა დააშაოს სიხარულით გაგიჟებულმა ხალხმა.

ოღონდ ერთი კია, ყველას უნდა, ახლოს მივიდეს საყვარელ გუნდთან. თუნდაც ერთი, ორი, ან სამი მეტრით მაინც მიუახლოვდნენ.

- ამ სიხარულს არაფერი შეედრება - გადამილაპარაკა ვარლამ შადურმა (მე მაშინ მისი მოადგილე ვიყავი).

და აი, ჩვენი ბიჭები თასით ხელში ტრაპზე გამოჩნდნენ.

„ლიკუეტ ვსია გრუზია" - გამიელვა ყურში ცხონებული კოტე მახარაძის სიტყვებმა, რომელიც მან გამარჯვების მატჩის ფინალში თქვა.

აეროპორტში ქარიშხალი დატრიალდა. ყველას, როგორც ერთს, უნდა წამით მაინც, თუნდაც თითი შეახოს სანუკვარ თასს.

„ოო, ახლა კი მართლაც სიფრთხილეა საჭირო" - გამიელვა თავში.

ჩივაძემ თასი გაბელიას გადასცა, გაბელიამ-შენგელიას, შენგელიამ ყიფიანს და ასე გადადის ხელიდან ხელში ჭაპანწყვეტით, უდიდესი შრომით და მონდომებით მოპოვებული სანუკვარი ჯილდო.

თვალწინ დამიდგა კადრი კ/ფ „ბურთი და მოედნიდან" - იპოლიტე ხვიჩია რომ ყვირის: „არის! არის! არის!!!

დიახ... აღსრულდა!!! თასი ჩვენია!

ეიფორიიდან ბატონი ვარლამის ხმამ გამომიყვანა:

- დემურ... ფრთხილად ვიყოთ... ბიჭები კი დაგვიბრუნდნენ მშვიდობიანად, მაგრამ თასი, თასი არ დავკარგოთ, კაცო!

- თასების მეტი რაა თბილისში - ვიმასხრე ვითომ. მახსრობა მასხრობად, მაგრამ ის თასი, ასეთი რუდუნებით რომ გადადიოდა ხელიდან ხელში, თბილისში არასდროს ყოფილა, არც შეიძლება ყოფილიყო და ვერც იქნებოდა.

გვიმრავლოს ასეთი თასები. ამინ!!!

## დარტყმა და ტრავმა

წესრიგის დამცველები არ იბადებიან, მერე ხდებიან. სპორტული ღონისძიება წესრიგის დამცველის გარეშე შეუძლებელია. რადგანაც ათასი ხასიათის ადამიანთან გვაქვს საქმე სტადიონზე თუ საასპარეზო მოედანზე და ვინ იცის, ვის რა მოუვლის თავში. ის ამბავიც, რომელიც სიჭაბუკის წლებში გადაგვხდა, არ შემიძლია არ გავიხსენო.

რაიონის სამოყვარულო „ჭ" კლასის გუნდში ვთამაშობდი. ერთხელ მეზობელ რაიონს ვესტუმრეთ სათამაშოდ.

ჩვენი ტრანსპორტი ერთი გაუბედურებული „პაზიკი" იყო, მძღოლი ბათლომე რ-ძე მარტო მძღოლი არ გახლდათ, ფეხბურთელიც იყო. სხვას თუ მოთამაშე მწვრთნელი ჰყავდა, ბათლომე რატომ, არ უნდა ყოფილიყო „მოთამაშე მძღოლი"? მაგრამ კაცს ბედნიერებისთვის მუდამ რაღაც უშლის ხელს. ეს „ნუნუა" იყო, რომელიც მოთამაშე მძღოლს მშობლებზე და დედმამიშვილებზე მეტად უყვარდა.

იმას ვამბობდი, ძლივს მიაცოდვილა კარგად შეჟუჟუნებულმა ბათლომემ „ჩვენით გატენილი" ავტობუსი მოწინააღმდეგის მოედანთან. გადმოვლაგდით ჩვენც „დასტოინად" ბობი ჩარლტონები, კრუიფ-ეუსებიოები. ბათლომე დილიდანვე 200 გრამშია... მატჩის დაწყების წინ პატარა ინსტრუქცია ჩაგვიტარა:

- მოკლედ ასე... ტყუილუბრალოდ არავინ ირბინოს აქედანვე გაფრთხილებთ. სქემა ასეთია, დემური მიიღებს ბურთს თუ არა, გადააწოდებს ჯემალიას, ჯემალია მოატყუებს მხოლოდ ერთ მოწინააღმდეგეს და გადააწოდებს თენგოიას, თენგოია მომძებნის და გადმომაწოდებს მე, მე დავარტყამ და ასე გავხსნით ანგარიშს, ესაა, სულ მეტი კი არაფერია ფეხბურთი!..

აგიხდეთ ყველაფერი კარგი, ბათლომეს სქემა რომ გამოგვადგა. მზემ შეუშალა ხელი, თუ დილით ჩახეთქილმა არაყმა, არ ვიცი, მაღლიდან წამოსულ ბურთს ჩვენმა მოთამაშე მძღოლმა თავი ვერ უსწორა და მოწინააღმდეგის მელოტ მცველს დაეჯახა თავში შუბლით. იმას არაფერი მოსვლია, ამას გაუსკდა შუბლი და ძლივს დავაშოშმინეთ, იმას აბრალებდა - ნამეტანი სტანდარტულზე დიდი თავი აქვსო. გავასაჩივრებ, ასეთთავიანებს რომ ათამაშებენ ნაცნობობით, ნამუსი არ აქვთო?! ის აყალმაყალი მშვიდობიანად გადავიტანეთ.

პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა, მივაშურეთ შესასვენებაზე ავტობუსს, თან თამაშს ვარჩევთ. ბათლომემ „პლატოკით" შეიკრა შუბლი და გამოგვიცხადა - მეორე ტაიმი უჩემოდ ითამაშეთო.

- რატომ, ბათლომე? - შევწუხდით ჩვენ - ასე ძალიან გტკივა შუბლი?

- მტკივა, აბა არ მტკივა?! - მე რომ იმ თავგასიებულს კიდევ ვლეწო შუბლი თავში, თქვენ გგონიათ, გადავრჩები? მაშინვე გამძვრება სული. არა, მაინც რა მაგარი თავი აქვს იმ უპატრონოს.... თან რა სიცხეა, კაცო... გაწვა ავტობუსის ქვეშ გულაღმა, ჩრდილში და გააბა ხვრინვა...

ვეკვეთეთ მოწინააღმდეგეს მეორე ტაიმში. თამაში მართლაც დაძაბული და უკომპრომისოა. მატჩის ბოლოს რომელიღაც ჩვენმა ფეხგასახმობმა არ შეაგდო ბურთი იმათ კარში?!. ატყდა და რა ატყდა - აფსაიტი იყოო და გამოგვეკიდნენ საცემრად. გავენთეთ ავტობუსისკენ ყვირილით: „ბათლომე, გვიშველეე!!! ამ ყვირილზე წამოხტა, სულ არ გაახსენდა ავტობუსის ქვეშ რომ იყო, რეხვა ის გატეხილი შუბლი ავტობუსის იატაკს ქვემოდან და გულწასული გაიშოტა. ძლივს მოვასულიერეთ.

მსუბუქად გვცემეს. სამაგიეროდ - მოვიგეთ. ბათლომეს იმის შემდეგ შეძულდა და შეეშვა რას? დალევას? როგორ გეკადრებათ. თამაშს? როგორ გეკადრებათ... ავტობუსის მძღოლობას. ავტობუსის დანახვა აღარ უნდოდა და გასვლით თამაშებზე ტაქსით მოგვყვებოდა ხოლმე უკან.



1980-იანი წლები. წინა პლანზე: შოთა გორგოძე (მარცხნივ) და დემურ მიქაძე
კონსტანტინე შანიძის ფოტო

**მურმან მერკვილიშვილი**

---

ბატუტზე ხტომა

# მსოფლიოს თასზე



რუსუდან ხოფერია (მარცხნივ) და ლუბა გოლოვინა

სხვადასხვა კონტინენტის 21 ქვეყნის საუკეთესო ბატუტზე მხტომელები მოიყრიან თავს სანკტ-პეტერბურგში, სადაც 27-28 მაისს მსოფლიოს თასის გათამაშების მეორე ეტაპი გაიმართება. საპატიო პრიზისთვის იბრძოლებენ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები - **ანა დოღონაძე** (გერმანია), **ჰი ვიენა, შანშანი** (ორივე-ჩინეთი), **ირინა კარავაევა** (რუსეთი), **იური ნიკიტინი** (უკრაინა), **ტატიანა ხილკო** (უზბეკეთი) და სხვები. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დღეს დილით სანკტ-პეტერბურგს გაემგზავრა საქართველოს დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში შედიან პეკინის ოლიმპიადის მეექვსეადგილოსანი **ლუბა გოლოვინა, თენგიზ კოშკაძე**, ტანვარჯიშულ სახეობათა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი **რუსუდან ხოფერია** (იგი მსაჯად არის მიწვეული), ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ზაურ სულაშვილი** და მწვრთნელი **ლუდა გოლოვინა.**

რუსეთში გამგზავრების წინ ზაურ სულაშვილს ვესაუბრეთ:

- მსოფლიოს თასი შვიდი ეტაპისგან შედგება, საიდანაც 4 საუკეთესო შედეგი გამოავლენს საპატიო ჯილდოს მფლობელსა და პრიზიორებს. წლეულს პირველი ეტაპი ვარნაში გაიმართა. იქ ერთკვირიანი საწვრთნელი შეკრება გავიარეთ. ლუბა გოლოვინამ ფინალში მეშვიდე ადგილი დაიკავა. საინტერესო ის არის, რომ შარშანდელთან შედარებით ლუბას ვარჯიშების სირთულის კოეფიციენტი 13,7-დან 14,1-მდე გავზარდეთ. პირველ ელემენტს, რომელსაც უწინ დაჯგუფებით ასრულებდა, ახლა კეცით აკეთებს, რაც ურთულეს ელემენტად მიიჩნევა. გოლოვინამ იგი ვარნის ტურნირის ფინალში გამოცადა და კარგადაც გამოუვიდა. ეს ელემენტი ვარჯიშებზე უფრო დაიხვეწა. რაც შეეხება თენგიზ კოშკაძეს, მას ვარნაში ტრავმის გამო არ უასპარეზია. ბულგარეთიდან დაბრუნების შემდეგ ტრავმა მოიშუშა. მონდომებით შეუდგა წვრთნას. შარშან კოშკაძემ პორტუგალიაში მსოფლიოს თასის ეტაპზე 16,2 სირთულით მე-6 ადგილი დაიკავა. ამჟამად სირთულის ეს მაჩვენებელი 16,4-მდე გავზარდეთ, რაც ზღვარი არ არის. ჩვენი სპორტსმენები მსოფლიოს თასის კიდევ სამ ეტაპზე მოსინჯავენ ძალებს. ყველა ეს შეჯიბრება გამიზნულია სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატისთვის უკეთ მოსამზადებლად. ამ ასპარეზობას კი 27-30 ნოემბერს ბირმინგემი უმასპინძლებს. ინგლისში ქალ-ვაჟთათვის ლონდონის ოლიმპიადის 8-8 საგზური გათამაშდება. დანარჩენი ლიცენზიების მფლობელები კი გაისად გამოვლინდებიან.

**ვაჟა დანელია**

---

ავტოსპორტი

# ქალების და სტუდენტების

საქართველოს საავტომობილო სპორტის ეროვნულმა ფედერაციამ აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე რომპეტროლის 2011 წლის სეზონის მორიგი ასპარეზობა გამართა ჩქაროსნულ სლალომში მოყვარულ და პროფესიონალ ავტომრბოლელთათვის. მონაწილეთა შორის იყვნენ მანდილოსნები და სტუდენტები, რომლებმაც ცალ-ცალკე, მათთვის განკუთვნილ კატეგორიაში იასპარეზეს. კატეგორია აბსოლუტში კი ერთმანეთს გამოცდილ მრბოლები შეეჯიბრნენ. ლიდერებს საჩუქრად გადაეცათ ფულადი ჯილდოები და საწვავი. დაჯილდოება სპეციალურად ავტომოყვარულთათვის ახალგახსნილ კაფეში გაიმართა.

**გამარჯვებულები და პრიზიორები. მანდილოსნები:** 1. ნანიკო ხაზარაძე, სოფო ხოჯავა, 2. ლალო ნებიერიძე, 3. ლელა წიკლაური; **სტუდენტები:** 1. გოგა ახვლედიანი, 2. ზურაბ ახალაია, 3. დავით ხელხელაური. **აბსოლუტური:** 1. ოვიკ კოგოსოვი, 2. ლევან კობახიძე, 3. დავით ქაჯაია.

**თენგიზ თომაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. ერიკ აბიდალი



ერიკ აბიდალი სამ შვილთან ერთად

# შვებულება, რომელსაც ვერ დაგეგმავ

ერიკ აბიდალი სეზონის დასაწყისიდანვე არნახულ ფორმაში იყო. ფრანგი ჟურნალისტები ერთხმად აღიარებდნენ, რომ ეს წელი ერიკისთვის საუკეთესო იყო კარიერაში. იმის თქმაც კი შეიძლებოდა, რომ დაცვით ხაზში "ბარსაში" საუკეთესო იყო. აბსოლუტურად მოულოდნელი იყო ის ინფორმაცია, რომელიც ფრანგ ფეხბურთელზე მარტში გავრცელდა. აღმოჩნდა, რომ აბიდალს ღვიძლზე ავთვისებიანი სიმსივნე ჰქონდა. საბედნიეროდ ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და ფეხბურთელი აპრილის ბოლოს მინდორს დაუბრუნდა. 31 წლის განაპირა მცველი ნელ-ნელა შედის ფორმაში და ასევე ნელ-ნელა უბრუნდება ძველი რიტმით ცხოვრებას. მასთან ინტერვიუ უეფას ოფიციალურმა საიტმა გააკეთა.

**- როგორ მიიღეთ ცნობა, რომ ღვიძლზე ავთვისებიანი სიმსივნე გქონდათ?**

- მას შემდეგ ცოტა შევიცვალე. ამ დროს ხომ, როგორც წესი, ცუდზე ფიქრს იწყებ. ფიქრობ, რომ ხვალ შეიძლება აღარ იყო, როგორ გადაიტანს ამას შენი ოჯახი. მეუღლესთან შევეცადე ყველაფერზე შევთანხმებულიყავი, იმაზეც კი, რაზეც ადრე ვიყავით შეთანხმებულნი. არ მიყვარს შორს ჭვრეტა... ეს ისეთ შვებულებასავით იყო, რომელსაც ვერასოდეს დაგეგმავ. დღეს კი უკვე ვცდილობ, რომ გეგმები მხოლოდ მეორე დღისთვის მქონდეს.

**- შეძლებთ გადამწყვეტ მატჩში მონაწილეობას?**

- ვეცდები, რომ ლიგის ფინალამდე კონდიცია აღვიდგინო. მაგრამ ამხელა ოპერაციის შემდეგ სიჩქარე საჭირო არ არის. ყველაფერი ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გავაკეთო. სხეული ნელ-ნელა უბრუნდება ძველ მდგომარეობას. ამწუთას თავს მართლა კარგად ვგრძნობ. თუკი ლონდონში არ ვითამაშებ ამით არაფერი დაშავდება. კარგი სამსახური მაქვს და რაც მთავარია ჯანმრთელი ვარ.

**- ხშირად გითქვამთ, რომ ყოველთვის "ბარსელონაში" თამაში გსურდათ.**

- როცა პატარა ვიყავი, ჩემი კერპი მარადონა იყო და ის "ბარსელონაში" თამაშობდა. მაშინ მე თავდასხმაში ვთამაშობდი. მიყვარდა გოლების გატანა და გულშემატკივრების გახარება. "ბარსელონა" ჩემი ბავშვობის ოცნება იყო და იმისთვის, რომ ეს ოცნება რეალობად მექცია, შვიდი პირი ოფლი მოვიდინე და ძალიან ბევრი სიამოვნება დავთმე. ახლა მე ბედნიერი ვარ.

**- ლიონელ მესი სუპერტალანტია არგენტინიდან. როგორ შეიძლება მისგან თავის დაცვა?**

- ეს ჩვენი პატარა საიდუმლოა. თუკი ამაზე გიპასუხებთ, ჩვენს საიდუმლოს გავყიდი და მეტოქეებს საქმეს გავუიოლებ. მისი დაჭერა ძალიან ძნელია იმიტომ, რომ არასოდეს იცი, რას გააკეთებს მეორე წამში. თითქოს ის სხვა პლანეტიდანაა. ლეოს ყველაფერი შეუძლია და უკვე ბევრი რამ დაამტკიცა, მიუხედავად ასაკისა. რა თქმა უნდა, მესის წინ კიდევ ბევრი კარგი სეზონი აქვს. იმედია, "ოქროს ბურთს" იმდენჯერ მოიპოვებს, რომ რეკორდს დაამყარებს.

**- თქვენ არც რომში გითამაშიათ "მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ. რას გაიხსენებდით იმ მატჩზე?**

- გრანდიოზული ფინალი იყო. ძალიან გვინდოდა მატჩი მაღალ დონეზე ჩაგვეტარებინა და ასეც მოხდა. სწორედ ამიტომ ვიხსენებთ ხოლმე ჩვენს დევიზს: "უფრო მეტი, ვიდრე კლუბი". გულშემატკივრები, ფეხბურთელები სათადარიგოთა სკამზე თუ ტრიბუნებზე – ჩვენ ყველანი ძალიან ძლიერები ვართ სულიერად. ერთად ჩვენ უდიდესი საქმეების გაკეთება შეგვიძლია.

**- უემბლი ლეგენდარული სტადიონია. 1992 წელს "ბარსამ" სწორედ იქ მოიგო პირველად ჩემპიონთა ლიგა.**

- ჰო, კარგი იქნება, თუკი ახლაც გავიმარჯვებთ. მე მითამაშია "უემბლიზე" საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში - ფანტასტიკური არენაა.

**- საფრანგეთი ვის მხარეს იქნება. აბიდალის "ბარსასი" თუ "მანჩესტერ იუნაიტედის", რომელშიც თავის დროზე ერიკ კანტონა თამაშობდა?**

- ნუ დაგავიწყდებათ, რომ "მანიუში" პატრის ევრა თამაშობს. ვფიქრობ, ფანები ორად გაიყოფიან. იმედია, ძლიერი გაიმარჯვებს. ასეთ შემთხვევაში ეს ჩვენ ვიქნებით.

ამბები

## ლანსმა მწვრთნელი გაარკვია

როგორც იცით, "ლანსმა" იმდენი ქნა, რომ ვადამდე გაინაღდა ლიგა 1-დან დაქვეითება. ხელმძღვანელობამ რუმინელ სპეციალისტ **ლასლო ბოლონის** ეს არ აპატია და განუცხადა, რომ 1-ლი ივლისიდან ის უმუშევარი დარჩება. ახალი მწვრთნელის ძებნაში "ლანსს" დიდი დრო არ დაუხარჯავს. "ეკიპის" ცნობით, ლიგა 2-ში დაქვეითებულ კლუბს საფრანგეთის თასის ნახევარფინალისტ "ანჟეს" თავკაცი **ჟან-ლუი გარსია** ჩაიბარებს. მხარეთა შორის მოლაპარაკებათა პროცესი სულ რამდენიმე დღეში დამთავრდა. "ანჟემდე" 48 წლის მწვრთნელი "ტულონსა" და "ბორდოს" მეორე გუნდში მუშაობდა.

## მვილა რენში რჩება

"რენისა" და საფრანგეთის ნაკრების საყრდენ ნახევარმცველ **იან მვილას** კლუბთან მოქმედი ხელშეკრულება ისედაც აკავშირებდა, თუმცა მხარეებმა ის ვადაზე ადრე გაახანგრძლივეს. მვილა ახალი კონტრაქტით "რენში" 2015 წლის ივლისამდე დარჩება. ბრეტონული კლუბის ხელმძღვანელობას შეეშინდა, რომ მის ლიდერს შეძლებული კლუბები მაცდუნებელ წინადადებებს შესთავაზებდნენ კარიერის გასაგრძელებლად. აქედან გამომდინარე ინიციატივა თანამშრომლობის გაგრძელებაზე სწორედ მათგან მოდიოდა.

## პიუელი გულშემატკივრების წინააღმდეგ

"ლიონის" თავკაცმა **კლოდ პიუელმა** პოლიციაში განცხადება შეიტანა იმ ავაზაკების წინააღმდეგ, ვინც მის ოჯახს ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრნენ. ამ შინაარსის წარწერები "ლიონის" თანამშრომლებმა მწვრთნელის სამუშაო კაბინეტის გარეთა კედელზე იპოვეს. გასაგებია, რომ ისინი მწვრთნელის მუშაობით უკმაყოფილონი არიან, მაგრამ მუქარის ტონით რისი მიღწევა სურთ, ძნელი მისახვედრია. თავად კლუბმა რასაკვირველია, მწვრთნელის მხარე დაიჭირა და დაადასტურა, რომ ის ყველაფერს ილონებს პიუელისა და მისი ოჯახის სიმშვიდის უზრუნველსაყოფად.

## კანალესი რეალიდან მიდის

ესპანური "მარკას" მტკიცებით, "რეალსა" და "ვილიარეალს" შორის შეთანხმება პრაქტიკულად უკვე მიღწეულია 20 წლის შემტევი ნახევარმცველის **სერხიო კანალესის** ტრანსფერთან დაკავშირებით. სამეფო კლუბი მზადაა, უაღრესად პერსპექტიული ფეხბურთელი ჩემპიონთა ლიგის მონაწილე მეორე ესპანურ კლუბს 10 მილიონად დაუთმოს. სერხიო "სანტიაგო ბერნაბეუზე" სანტანდერის "რასინგიდან" 2010 წლის ზაფხულში გადავიდა, თუმცა **ჟოზე მოურინიოს** გუნდში ფეხი ვერ მოიკიდა. ამის მიზეზი კი ობიექტურია. ესპანელის პირდაპირი კონკურენტები ხომ **კაკა** და **მესუთ იოზილი** იყვნენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ სერხიო პრიმერას შეხვედრებში ძირითადში სულ რაღაც 3-ჯერ მოხვდა და 3-ჯერვე შეცვალეს. ამას გარდა კანალესმა 7-ჯერ შეცვლაზე ისპარეზა და სულ სეზონის განმავლობაში მინდორზე 282 წუთი გაატარა, რამაც მის პროფესიულ განვითარებას სერიოზულად შეუშალა ხელი.

ერთსაც აღვნიშნავთ, მართალია ტრანსფერის საკითხს ჯერ არც ერთი კლუბი არ ადასტურებს, თუმცა "მარკა" რომ იშვიათად ცდება, ესეც ცნობილია.

ტვენტე

# ტვენტე გაძლიერებაზე ზრუნავს

"ტვენტეს" ყოფილი ლიდერი და ერედივიზიეს სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი **ტეო იანსენი** რომ "აიაქსში" გადავიდა, ამაზე უკვე მოგახსენებდით. ჰოლანდიის ვიცე-ჩემპიონებს ბუნებრივია, რომ შიდა რესურსების ხარჯზე გაუჭირდებათ ტეოს შეცვლა. სწორედ ამიტომ ისინი მის შემცვლელს სხვა კლუბებში ეძებენ. "ტვენტეს" ბოსებმა "უტრეხტს" უკვე შესთავაზეს კონკრეტული წინადადება - 5 მილიონი ევრო 21 წლის **კევინ სტრუმანის** ნაცვლად. თანაც ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამ უკანასკნელებს ზამთარში როტერდამის "სპარტადან" მისი გადაყვანა 700 ათასი ევრო დაუჯდათ.

აუცილებელია, რომ "ტვენტეს" ინტერესის მეორე ობიექტზე ცალკე შევჩერდეთ. ეს "ფეიენოორდის" 21 წლის ფეხბურთელი **ჟორჟინიო ვაინალდუმია**. მისით "ეინდჰოვენი" და "ევერტონიც" არიან დაინტერესებულნი. ვაინალდუმი ლოგიკურად მიიჩნევა დიდებული ჰოლანდიელი განაპირა თავდამსხმელების **მარკ ოვერმარსისა** და **არიან რობენის** გზის გამგრძელებლად. ამბობენ, რომ ამპლუა - ნახევარმცველი მისთვის მხოლოდ თავშესაფარია, ხოლო მარჯვენა ფლანგი ასაფრენი ბილიკიო. ვაინალდუმმა პირველი თამაში "ფეიეში" 16 წლისამ და 148 დღისამ ჩაატარა, რითაც როტერდამული კლუბის ყველა დროის რეკორდსმენი გახდა. ჰოლანდიელი ჟურნალისტების აზრით, ჟორჟინიოს პოტენციალი ბევრად აღემატება **რომეო კასტელენისა** და **სალომონ კალუსას** (ისინი იმიტომ არიან გამოყოფილნი, რომ ორივე "ფეიენოორდის" აღზრდილია).



სეზონის საუკეთესო ფეხბურთელ ტეო იანსენს ჰოლანდიის ნაკრებში სულ ხუთი შეხვედრა აქვს ჩატარებული

# ერედივიზიეს ლაურეატები

სწორედ გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ "ტვენტეს" შემტევი ნახევარმცველი **ტეო იანსენი** სულ რაღაც 3 მილიონ ევროდ "აიაქსში" გადავიდა. ის ჰოლანდიური ერედივიზიეს სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. მეორეზე გავიდა "დენ ჰააგის" განაპირა ნახევარმცველი 25 წლის **ვესლი ვერჰუკი**, მესამეზე - "როდას" საყრდენი, 23 წლის **რუუდ ვორმერი**. გამოკითხვამ წლის სხვა ლაურეატებიც გამოავლინა: საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად "აიაქსის" 19 წლის ნახევარმცველი **კრისტიან ერიკსენი** მიიჩნიეს. გამოკითხვა ყოველი ტურის შემდეგ ტარდებოდა ძირითადად ჰოლანდიის ნაკრების ვეტერან ფეხბურთელთა შორის. შედეგები კი სეზონის დასრულებისთანავე დაითვალეს.

"ტვენტესთან" ერთად ტეო იანსენს მშვენიერი სეზონი ჰქონდა ერედივიზიეში. მან ჰოლანდიის თასზე გამარჯვების გარდა ჩემპიონატის ვერცხლის მედლებიც მოიპოვა. სულ კი 30 შეხვედრაში 13 გოლის გატანა მოახერხა. დაჯილდოების შემდეგ იანსენმა შემდეგი განაცხადა: *"მე ინდივიდუალური პრიზების შეგროვება მაინცდამაინც არ მიტაცებს. რა თქმა უნდა, ყოველი აღიარება სასიამოვნოა, მაგრამ მთავარი ჩემთვის ყოველთვის გუნდურად მიღწეული წარმატებები იქნება"*.

საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშეთა გამოვლენა ფეხბურთის იმ ექსპერტებს მიანდეს, ვისაც სათავეში **იოჰან კრუიფი** უდგას. გამარჯვებულის ვინაობა ზემოთ უკვე მოგახსენეთ. აი, რა განაცხადა ერიკსენმა: *"ჩემთვის ეს სეზონი მართლა დაუვიწყარი გამოდგა და ასეთად დარჩება სულ. ეს ხომ უბრალოდ დაუჯერებელია! პროფესიული კარიერის პირველი სეზონი ჩავატარე და ჰოლანდიის ჩემპიონის ოქროს გარდა საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის პრიზი მოვიპოვე"*. კომენტარის გაკეთება ისურვა თავად კრუიფმაც: *"კრისტიანმა დაიმსახურა ეს პატივი. მეტსაც გეტყვით, მე ეს ფეხბურთელი უკვე მთელი სულითა და გულით მიყვარს. ეს აღიარება ჯერ მხოლოდ დასაწყისია და კრისტიანისთვის ის სტიმულად უნდა იქცეს, რათა გამოწუროს საკუთარი შესაძლებლობების 100%. ის დანიური საფეხბურთო სკოლის ტიპური წარმომადგენელია. არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ნიჭით შეიძლება ბრაიან და მიკაელ ლაუდრუპებს შევადაროთ, მაგრამ მხოლოდ დრო გვიჩვენებს, შეძლებს თუ არა ლეგენდარული ძმების გზის გამეორებას"*.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

● სერია A.

# კალჩო ციფრებში

2010/2011 წლების სერია A-ს გათამაშება უკვე ისტორიის საკუთრებაა, ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, რომ განვლილ ბატალიებს გადავხედოთ და სხვადასხვა კუთხით გავაანალიზოთ. დღეს, თქვენს ყურადღებას სტატისტიკურ მონაცემებს მივაპყრობთ - ამბობენ, ციფრები ყველაფერზე მეტყველებენო და სწორედ ამიტომ, პირველ რიგში მშრალ სტატისტიკაზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას. თუმცა, ქვემოთ რამდენიმე ისეთი მაჩვენებელია, რომელიც უთუოდ დიდ გაკვირვებას გამოიწვევს მკითხველში. მაგალითად, მთელი ჩემპიონატის განმავლობაში ზუსტი პასების რაოდენობით „ბარი" ერთ-ერთი მოწინავე გუნდია და თქვენ წარმოიდგინეთ, ხუთეულშიც კი შედის. გუნდი, რომელიც ბოლო ადგილზე გავიდა სატურნირო ცხრილში, მხოლოდ „მილანს", „ინტერს", „რომას" და „ლაციოს" ჩამორჩება. უმეტეს მონაცემებში „ინტერია" პირველ ადგილზე და შეიძლება ითქვას, რომ **ლეონარდოს** გუნდი დომინირებს კიდეც სტატისტიკურ მონაცემებში - და ეს მიუხედავად იმისა, რომ „ნერაძურის" ჰეგემონია დაემხო და ჩემპიონი „მილანი" გახდა. საინტერესოა ისიც, რომ ფეხბურთელთა სტატისტიკურ მონაცემებში „მილანელებს" პრაქტიკულად ვერ ვხედავთ - ისინი არც ბომბარდირთა შორის არიან მოწინავე პოზიციებზე და თუ **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** თერთმეტ საგოლე პასს არ ჩავთვლით, არც ასისტენტებში უქნიან ღმერთს. **კრისტიან აბიატიც** კი, რომელმაც თითქოს ფანტასტიკური სეზონი ჩაატარა, სეივების რაოდენობით ათეულშიც ვერ შედის. ერთი მხრივ, ეს გასაგებია, რადგან „მილანი" მეტწილად შეტევაში გახლდათ და მეკარეს ნაკლები საქმე ჰქონდა, მაგრამ ათეულს ქვემოთ თუ აღმოჩნდებოდა, მაინც ნაკლებად სავარაუდო იყო. ქვემოთ კიდევ ბევრ საინტერესოს გაიგებთ და გირჩევთ, გაეცნოთ სტატისტიკურ მონაცემებს.



### ინდივიდუალური სტატისტიკა

#### ბომბარდირები

28 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 26 – ედინსონ კავანი (ნაპოლი); 21 – სამუელ ეტოო (ინტერი); 20 – ალესანდრო მატრი (იუვენტუსი); 19 – მარკო დი ვაიო (ბოლონია); 17 - ჯამპაოლო პაცინი (სამპდორია/ინტერი); 15 - ფრანჩესკო ტოტი (რომა); 14 – ალეშანდრე პატო (მილანი), ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 13 – ანტონიო ფლორო ფლორესი (უდინეზე/ჯენოა); 12 – ალექსის სანჩესი (უდინეზე), ანდრეა კარაჩოლო (ბრეშა), ალბერტო ჯილარდინო (ფიორენტინა).

#### საუკეთესო ასისტენტები

13 – ანდრეა კოსუ (კალიარი); 12 – ესეკილ ლავეცი (ნაპოლი); 11 – ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 9 - სამუელ ეტოო (ინტერი), სტეფანო მაური (ლაციო); 8 – კრისტიან ლედესმა (ლაციო), ჯანი მუნარი (ლეჩე), მაიკონი (ინტერი), როდრიგო პალასიო (ჯენოა), ფრანჩესკო ტოტი (რომა).

#### ყვითელი ბარათები

14 – ჩეზარე ბოვო (პალერმო); 12 - პერპარიმ ჰეტემაი (ბრეშა), დიეგო პერესი (ბოლონია), არმინ ბაჩინოვიჩი (პალერმო); 10 – ჯუზეპე კოლუჩი (ჩეზენა), ჟელსონ ფერნანდესი (კიევო), ლუკა რიგონი (კიევო), მაურიციო ლაურო (ჩეზენა), ფრანჩესკო ვალიანი (პარმა), ალესანდრო ლუკარელი (პარმა), რუბენ ოლივერა (ლეჩე), დივიდე ასტორი (კალიარი), უგო კამპანიარო (ნაპოლი), ჯონათან ძებინა (ბრეშა), მარკო კასეტი (რომა), მარკო დონადელი (ფიორენტინა).

#### წითელი ბარათები

3 – გილიერმო ჯაკომაცი (ლეჩე); 2 – ნიკოლას ბურდისო (რომა), დანიელე დე როსი (რომა), სტივ ფონ ბერგენი (ჩეზენა), ჯუზეპე კოლუჩი (ჩეზენა), ჯუზეპე ბიავა (ლაციო), კრისტიან ლედესმა (ლაციო), მასიმო პაჩი (პარმა), ბლერიმ ჯემაილი (პარმა), მიკელე პაციენცა (ნაპოლი), მარკო როსი (ბარი), პაბლო ალვარესი (კატანია), პერ კროლდრუპი (ფიორენტინა), ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი), ბაშტიან ცეზარი (კიევო).

#### ჯარიმები

123 – მაქსი ლოპესი (კატანია); 98 – პერპარიმ ჰეტემაი (ბრეშა); 84 – მეჰდი ბენეტია (უდინეზე); 80 – სტეფანო მორონე (პარმა); 79 – რაჯა ნაინგოლანი (კალიარი); 78 – რუბენ ოლივერა (ლეჩე); 75 - ჟელსონ ფერნანდესი (კიევო); 72 – გაბი მუდინგაი (ბოლონია), მარკო პაროლო (ჩეზენა); 71 – ანდრეა კარაჩოლო (ჩეზენა).

#### მასზე დაჯარიმდნენ

116 – ალექსის სანჩესი (უდინეზე); 96 – ანჯელო პალომბო (სამპდორია); 91 – ესეკილ ლავეცი (ნაპოლი); 89 – კვადვო ასამოა (უდინეზე); 86 – ფრანჩესკო ტოტი (რომა); 85 – ანდრეა კოსუ (კალიარი); 84 – სებასტიან ჯოვინკო (პარმა); 82 – პერპარიმ ჰეტემაი (ბრეშა), ერნანესი (ლაციო); 81 – ალესანდრო გომესი (კატანია), ანდრეა რიკიუტი (კატანია).

#### სეივები

196 – მარიანო ანდუხარი (კატანია); 151 – სტეფანო სორენტინო (კიევო); 142 – ანტონიო როზატი (ლეჩე), სალვატორე სირიგუ (პალერმო); 140 – ემილიანო ვივიანო (ბოლონია); 132 – ფრანჩესკო ანტონიოლი (ჩეზენა); 128 – ჟან-ფრანსუა ჟილე (ბარი); 126 – მიკელე აგაცი (კალიარი); 125 – ედუარდო (ჯენოა); 122 – ფერნანდო მუსლერა (ლაციო).

#### ბურთის წართმევა

97 – დომენიკო კრიშიტო (ჯენოა), მეჰდი ბენეტია (უდინეზე), ჯუზეპე ვივესი (ლეჩე); 95 – მარკო პაროლო (ჩეზენა); 93 – ჯენარო გატუზო (მილანი); 92 – რაჯა ნაინგოლანი (კალიარი); 90 – დიეგო პერესი (ბოლონია); 81 – ხავიერ ძანეტი (ინტერი); 80 – კრისტიანო მაჯო (ნაპოლი), ინაციო აბატე (მილანი).

#### ზუსტი პასები

2115 – კრიასტიან ლედესმა (ლაციო); 1981 – ტიაგო სილვა (მილანი); 1957 – ხავიერ ძანეტი (ინტერი); 1877 – რიკარდო მონტოლივო (ფიორენტინა); 1876 – გეკჰან ინლერი (უდინეზე); 1845 – ანდრეა მაზიელო (ბარი); 1845 – ომარ მილანეტო (ჯენოა); 1840 – ანტონიო ნოჩერინო (პალერმო); 1818 – ანჯელო პალომბო (სამპდორია); 1807 – ჯუზეპე კოლუჩი (ჩეზენა).

#### კარში დარტყმა

152 – ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 132 – მარკო დი ვაიო (ბოლონია); 125 – ერნანესი (ლაციო), ედინსონ კავანი (ნაპოლი); 122 – სამუელ ეტოო (ინტერი); 116 – ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 114 – მაურო სარატე (ლაციო); 109 – ფრანჩესკო ტოტი (რომა); 108 – ალესანდრო დიამანტი (ბრეშა); 107 – ვესლი სნეიდერი (ინტერი).

### გუნდური სტატისტიკა

#### საუკეთესო შედეგი საკუთარ მოედანზე

ინტერი 48 ქულა, მილანი 43, ლაციო 42, რომა 38, უდინეზე 37, კატანია 37, პალერმო 36.

#### უარესი შედეგი საკუთარ მოედანზე

ბარი 12, სამპდორია 21, ბრეშა 23, ლეჩე 26, კიევო 26, ჩეზენა 26, კალიარი 27.

#### საუკეთესო შედეგი სტუმრად

მილანი 39, ნაპოლი 30, უდინეზე 29, ინტერი 28, იუვენტუსი 28, რომა 25, ლაციო 24.

#### უარესი შედეგი სტუმრად

კატანია 9, ბრეშა 9, ბარი 12, სამპდორია 15, ლეჩე 15, ჩეზენა 17, ბოლონია 17.

#### საუკეთესო შეტევა

ინტერი 69 გოლი, მილანი 65, უდინეზე 65, ნაპოლი 59, რომა 59, პალერმო 58, იუვენტუსი 57, ლაციო 55.

#### უარესი შეტევა

ბარი 27, სამპდორია 33, ბრეშა 34, ბოლონია 35, ჩეზენა 38, კიევო 38, პარმა 39.

#### საუკეთესო დაცვა

მილანი 24 გაშვებული ბურთი, ნაპოლი 39, ლაციო 39, კიევო 40, ინტერი 42, უდინეზე 43, ფიორენტინა 44.

#### უარესი დაცვა

ლეჩე 66, პალერმო 63, ბარი 56, რომა 52, ბრეშა 52, ბოლონია 52, კატანია 52.

#### კარისკენ დარტყმა

ინტერი 665, პალერმო 611, რომა 601, მილანი 590, იუვენტუსი 574, ლაციო 561, უდინეზე 556.

#### კარში დარტყმა

ინტერი 223, მილანი 220, პალერმო 206, უდინეზე 196, ნაპოლი 189, ლაციო 188, იუვენტუსი 182.

#### ზუსტი პასები

მილანი 19930, ინტერი 19329, რომა 16761, ლაციო 16744, ბარი 16625, ნაპოლი 16547, პალერმო 16329.

**ლაშა წიკლაური**

● სავარაუდო ტრანსფერი

# მოურინიოს იბრა მოუნდა



მოურინიო და იბრაჰიმოვიჩი

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, **ჟოზე მოურინიოს** ძალიან უნდა, რომ „რეალის" მაისურით **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** იხილოს. პორტუგალიელი სპეციალისტი „ინტერში" მუშაობდა შვედ ფორვარდთან ერთად და როგორც ჩანს, მის მიმართ დიდი სიმპათიებით არის განწყობილი. თუმცა, რაღა როგორც ჩანს - ამაზე მისი სიტყვები ნათლად მეტყველებს:

*„იბრაჰიმოვიჩი? - საოცარი ფეხბურთელია და მის გადაბირებაზე ნამდვილად არ ვიტყოდი უარს. „რეალის" მონახაზში იდეალურად ჩაჯდება და თუ ამის საშუალება მოგვეცა, მოლაპარაკებებს აუცილებლად წამოვიწყებთ. უკვე ვესაუბრე „რეალის" მესვეურებს და ვიცი, რომ ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში სრული მხარდაჭერა მექნება. გამომდინარე აქედან, სულაც არ გამოვრიცხავ, რომ იბრამ „რეალის" ამუნიცია მოირგოს".*

იტალიელი ჟურნალისტები იბრაჰიმოვიჩის პირად აგენტს, **მინო რიოლას** შეეხმიანენ და მისგან შემდეგი მოისმინეს: *„გამორიცხული არაფერია და მათ შორის, არც ის, რომ ზლატანმა „რეალში" გააგრძელოს კარიერა. თუ მადრიდელები „მილანს" ოფიციალური წინადადებით მიმართავენ და თანხმობას მიიღებენ, შესაძლოა არც იბრა წავიდეს ამ ტრანსფერის წინააღმდეგი. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პროცესი დაძრულია და გარიგების ალბათობა მაღალია - ამის შესახებ ჯერ ერთი სატელეფონო ზარიც კი არ ყოფილა და შესაბამისად, ტრანსფერის პერსპექტივებზე საუბარი აზრს მოკლებულია".*

**ლაშა წიკლაური**

● იან რაიტის აზრით



# კარლოს ულირსი და ამაზრზენი გაგდება

„არსენალის" ლეგენდა, საფეხბურთო მიმომხილველი **იან რაიტი** თავის ბოლო სვეტში „ჩელსის" მწვრთნელის თანამდებობიდან **კარლო ანჩელოტის** გაგდებას ეხება. ის წერს:

*„იყო დრო, როდესაც უცხოურ კლუბებს, კერძოდ კი „რეალს" დავცინოდი. მახალისებდა, რა იოლად უშვებდა ეს კლუბი მწვრთნელებს, რომლებსაც მისთვის წარმატება მოჰქონდათ. ამასთან, თავი მომქონდა, რომ ასეთი რამ ჩემს ქვეყანაში არ ხდებოდა და მწამდა, რომ არც არასდროს მოხდებოდა. სამწუხაროდ, „ჩელსის" მეპატრონე რომან აბრამოვიჩმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ბევრ რამეზე მცდარი წარმოდგენა მქონია. მის ხელში, ინგლისური ფეხბურთის ისტორია გადაიწერა — კარლო ანჩელოტი გახდა პირველი მწვრთნელი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ გუნდს დუბლი მოაგებინა, თანამდებობიდან მოხსნეს. მისი სამსახურიდან გაშვება ულირსი და ამაზრზენი საქციელი იყო.*

*აბრამოვიჩი ამას, ალბათ, ვერც ხვდება, მაგრამ მან კლუბს შეურაცხყოფა მიაყენა. მან არად ჩააგდო „ჩელსის" გულშემატკივართა სურვილი, ანჩელოტის კიდევ ერთხელ ეცადა ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება. მათ ხომ ნახეს, რომ ამ კაცმა „ლურჯებს" ინგლისის ჩემპიონის ტიტული და ფეხბურთის ასოციაციის თასი მოაგებინა და დარწმუნდნენ, რომ ის კარგი მწვრთნელია.*

*თუმცა. „ჩელსის" ფანებს შორის არიან ისეთებიც, რომელთაც ანჩელოტის გაგდება გაუხარდათ. მე ამ ხალხისა არ მესმის".*

რაიტი წერს, რომ რუს ოლიგარქს „მანჩესტერ იუნაიტედის" მიღწევებზე მეტი დაკვირვება მართებდა. „იუნაიტედმა", წლეულს, ინგლისის ჩემპიონის ტიტული მეცხრამეტედ მოიპოვა, რაც, რასაკვირველია, მწვრთნელისთვის გამოცხადებული ნდობის შედეგი გახლდათ. თუმცა, „არსენალის" ლეგენდარული თავდამსხმელის აზრით, პრობლემაც ის არის, რომ აბრამოვიჩს პრემიერლიგა და მისი ტიტულები იმდენად არ ადარდებს, რამდენადაც ჩემპიონთა ლიგა.

*„მან ჩემპიონთა ლიგაში მართლა რომ გაიმარჯვოს, მერე, შეიძლება „ჩელსიზე" საერთოდ აღარც იზრუნოს. ვფიქრობ, თავისას მოისურვილებს და კლუბს თავს დაანებებს — წერს რაიტი და დასძენს — არ შეიძლება კაცმა დაივიწყოს, რომ „ჩელსი" ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად სწორედ აბრამოვიჩმა აქცია, მაგრამ ანჩელოტის მომხრე გულშემატკივართა ბანაკს უფრო ხმამაღალი პროტესტი რომ გამოეთქვა, მოხარული ვიქნებოდი. აბრამოვიჩი პირწმინდა ავტორიტარია, ის ალტერნატიულ აზრს ვერ ეგუება და კარგი იქნებოდა ვინმეს ეგრძნობინებინებინა, რომ მისი ერთპიროვნული ხუშტურები ყველას არ ეხატება გულზე. ვისურვებდი ფანები შეკრებილიყვნენ და უსამართლოდ დაჩაგრული მსოფლიო კლასის მწვრთნელისთვის თავიანთი მხარდაჭერა გამოეხატათ".*

შემდეგ რაიტი **ფერნანდო ტორესის** ტრანსფერის ამბავს იხსენებს და ამბობს, რომ როგორც უნდა ითამაშოს „ელ ნინიომ" მომავალ სეზონში, ციდან სულ ვარსკვლავები რომ მოსწყვიტოს, ხერხი, რომლითაც „ჩელსიმ" ის „ლივერპულს" წაგლიჯა, ულირსად დარჩება. ამასთან, მესვეტე დასძენს, რომ რამდენადაც ცნობილი ხდება, ანჩელოტი სულაც არ აპირებდა ტორესის ყიდვას, ეს მეპატრონის ახირება ყოფილა.

კიდევ, რაიტის აზრით, ანჩელოტის, **ფრენკ ლემპარდის** გარდა, მაინცდამაინც, არც ფეხბურთელებთან აეწყო კარგად ურთიერთობა — „სტემფორდ ბრიჯზე" სეზონის ბოლო მატჩის შემდეგ, „ლურჯები" გვირაბში ისე შევიდნენ, რომ მწვრთნელს ხელი ერთმაც კი არ ჩამოართვა. მეტიც, ზოგ მათგანს უშუალოდ აბრამოვიჩთან მიესვლებოდა და კარგად იცოდა, რომ ანჩელოტის მოხსნიდნენ.

*„რაც შეეხება ახალ მწვრთნელს, ის შეიძლება მართლაც ჟოზე მოურინიო ან გუს ჰიდინკი იყოს, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ ერთმაც და მეორემაც კარგად იცის — დუბლის ან, თუგინდ, ტრებლის მოგებაც კი არ ნიშნავს იმას, რომ თანამდებობიდან არ დაიფრენენ. დღეს ყველაფერი უკიდურესად ნათელია: ვერ გაიმარჯვებ ჩემპიონთა ლიგაში? თანამდებობას დაემშვიდობები.*

*მეორე მხრივ, ნებისმიერმა იცის, რომ თუ „ჩელსის" მწვრთნელი გახდება, დიდ ხელფასს გადაუხდიან, ოღონდ, მედალს სხვა მხარეც აქვს. თუ აბრამოვიჩი მომავალშიც ასე განაგრძობს თავკაცების ცვლას, „ლურჯების" სათავეში ჩადგომა უინტერესო საქმე გახდება. თანდათანობით, ასეთი დამოკიდებულება გულშემატკივარსაც მობეზრდება და აბრამოვიჩის წინააღმდეგ აიმაღლებს ხმას. თუმცა, მანამდე „ჩელსიში" ბევრი არაფერი შეიცვლება".*

**ილია ბაბუნაშვილი**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

● ჰოკეი. NHL პლეი ოფი. 1/2 ფინალი



ტიმ ტომასი

# ერთი ნაბიჯი ფინალამდე

წინა მატჩის 0:3-დან მოგების შემდეგ „ტამპა" მშვენიერ ხასიათზე გაემგზავრა ბოსტონში სათამაშოდ და ამაღლებული განწყობით გავიდა მოედანზე. თუმცა „ლაითნინგს" ღირსეული მეტოქე ჰყავს, რომლის გეგმებში არ შედიოდა ზედიზედ მეორე მარცხი.

მეოთხე მატჩისგან განსხვავებით, ამჯერად შედეგიანობა მოიკოჭლებდა, მიუხედავად ამისა, დაძაბულობა და სანახაობრივი მხარე ამ დუელს არ აკლდა. მით უმეტეს, რომ შეხვედრას ინტრიგა პირველივე წუთებიდან გაუჩნდა, როცა **სტივენ სტემკოსი** და **საიმონ განიე** ერთი მცველის წინააღმდეგ გავიდნენ და კლასიკურ სტილში გაითამაშეს საგოლე კომბინაცია. თვით ბრწყინვალე ფორმაში მყოფმა მეკარე **ტიმ ტომასმაც** ვერაფერი მოუხერხა „ტამპას" ამ შეტევას - 0:1.

როგორც შემდეგ გაირკვა, ეს გოლი პირველი და ბოლო იყო „ლაითნინგისთვის" ამ მატჩში. დარჩენილ დროში მხოლოდ მასპინძლები იტანდნენ. პირველად თავი **ნათან ჰორტონმა** გამოიჩინა, ვინც კინაღამ გახია **მაიკ სმიტის** კარის ბადე. რომელიმე მცველი ამ შაიბას რომ გადალობებოდა, ტრავმა გარანტირებული ექნებოდა.

პირველ შესვენებაზე გუნდები საყაიმო ანგარიშით გავიდნენ, მეორეში კი „ბოსტონმა" მოახერხა წინ გასვლა და მეორე 20-წუთეულის თავის სასარგებლოდ დასრულება. **პატრის ბერჟერონმა**, რომელიც საბოლოოდ გამოკეთდა მძიმე ტრავმისგან, ულამაზესი პასი მიაწოდა კართან ახლოს მყოფ **ბრედ მარშანს**. ამ უკანასკნელს მხოლოდ შაიბისთვის ყვანჯის დახვედრება ევალებოდა.

ბოლო პერიოდი კი „ბოსტონის" მეკარე ტიმ ტომასის ბენეფისად იქცა. მთელი მატჩის განმავლობაში 33 დარტყმა მოიგერია, მესამე პერიოდში კი, შესაძლოა, წლის სეივი განახორციელა - **სტივ დაუნი** უკანა ბარიერიდან ასხლეტილ შაიბას დაუდარაჯდა და თითქმის ასპროცენტიანი დარტყმა შეასრულა, მაგრამ ტომასმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ამ სეზონში ის შეუდარებელია.

მეკარის მეექვსე მოთამაშით შეცვლა **გი ბუშემ** საფინალო სირენამდე წუთით ადრე გადაწყვიტა, როცა „ტამპას" მწვრთნელს სხვა გამოსავალი აღარ რჩებოდა. რისკმა არ გაამართლა - **რიკ პევერლიმ** უპრობლემოდ აიღო ცარიელი კარი - 3:1.

ასე მოახდინა წინა მატჩში წაგებისთვის რეაბილიტაცია „ბოსტონმა" და დაწინაურდა სერიაში - 3:2. მაგრამ „ტამპამ" ბევრჯერ დაამტკიცა, რომ არც ერთ ვითარებაში არ ნებდება, ამიტომაც ფლორიდელები ბოლომდე იბრძოლებენ.

**ბოსტონი–ტამპა ბეი 3:1**

**1:1, 1:0, 1:0**

**გოლები**: 0:1 საიმონ განიე-5 (სტემკოსი-5), 1:1 ჰორტონი-7 (ლუჩიჩი-5, კრეისი-6), 2:1 მარშანი-6 (პ. ბერჟერონი-11, ხარა-3), 3:1 პევერლი-2 (კელი-7).

**სერია: 3-2**

● ამბები

**ოლიმპიზმი**

### იაპონია გამოფხიზლდა

ორი დიდი სპორტული ღონისძიების ჩატარება გადაწყდა იაპონიაში. როგორც დაგეგმილი იყო, 2011 წელს სპორტულ ტანვარჯიშსა და ფრენბურთში პლანეტის პირველობებს „ამომავალი მზის ქვეყანა" უმასპინძლებს.

ამ ტურნირების გამართვა ცნობილი სტიქიური უბედურებების შემდეგ დადგა ეჭვქვეშ, მაგრამ ტანვარჯიშისა და ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციებმა კეთილი ნება გამოიჩინეს და სანახაობის გარეშე არ დატოვეს იაპონელი ხალხი.

ტანვარჯიშის ჩემპიონატი, როგორც დაგეგმილი იყო, ტოკიოში 7-16 ოქტომბერს გაიმართება, ოდნავ მოგვიანებით კი ფრენბურთელთა ჯერი დადგება. ქალების პირველობა ექვს ქალაქში (ჰიროშიმა, ნაგანო, ტოიამა, საპორო, ოკაიამა, ტოკიო) 4-18 ნოემბერს გაიმართება, კაცების ტურნირის მატჩები შვიდ ქალაქზე (ნაგოია, კაგოსიმა, ოსაკა, კუმამოტო, ფუკუოკა, ჰამამაცუ, ტოკიო) იქნება გადანაწილებული. ჩემპიონატი 20 ნოემბერს დაიწყება და 4 დეკემბერს დასრულდება. ორივე ტურნირზე 2012 წლის ოლიმპიადის სამ-სამი საგზური თამაშდება.

**კალათბურთი**

### თამაში გაბზარული ძვლით

„სან ანტონიო სპურსის" მცველმა **მანუ ჯინობილიმ** ჟურნალისტებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ მოუყვა, რომელიც არგენტინელს სეზონის ბოლო შეექმნა.

როგორც „სპურსის" ვარსკვლავი ამბობს, წლევანდელი პლეი ოფის პირველ რაუნდში იდაყვში გაბზარული ძვლით მოუწია თამაშმა. ეს ტრავმა მან რეგულარული ჩემპიონატის ბოლო მატჩში მიიღო, როცა „ფინიქსის" ფორვარდ **გრანტ ჰილს** შეეჯახა. მაშინ კლუბის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ჯინობილის მხოლოდ მყესი ჰქონდა დაზიანებული.

● კალათბურთი. NBA პლეი ოფი. 1/2 ფინალი

# ბრავო დალასი, დირკ!

დასავლეთის კონფერენციის ფინალური სერია დასასრულს მიუახლოვდა. „ოკლაჰომამ" შინ ზედიზედ მეორე მატჩი წააგო „დალასთან" და სავარაუდოდ, ამ ეტაპზე გამოეთხოვება ფინალში გასვლაზე ოცნებას. თუმცა **დირკ ნოვიცკის** ასეთი ბრწყინვალე თამაშის ფონზე არათუ „თანდერი", სხვა ბევრი გუნდიც უშანსოდ იქნებოდა „მავერიქსის" წინააღმდეგ.

ამ პლეი ოფში „დალასი" შესანიშნავად თამაშობს სტუმრად. პირველ სერიაში „პორტლენდთან" ორი გასვლითი წაგების შემდეგ „კოვბოებს" სტუმრად ზედიზედ ოთხი მოგება დაუგროვდათ.

წინა მატჩის პირველ ტაიმში წაგების შემდეგ „ოკლაჰომამ" საჭირო დასკვნები გააკეთა და აქტიურად დაიწყო მეოთხე შეხვედრა. მასპინძლები აკეთებდნენ იმას, რაც ყველაზე კარგად იციან - სწრაფად ანვითარებდნენ იერიშებს. ამ სერიამ დაგვანახა, რომ „დალასი", რომელსაც ასევე უყვარს სწრაფი კალათბურთი, ფეხს ვერ უწყობდა „ოკლაჰომას" ახალგაზრდა გვარდიას.

საბოლოოდ, **დურანტისა** და **უესტბრუკის** ხშირმა გარღვევებმა საგონებელში ჩააგდო სტუმარი გუნდი, რომლის ჩამორჩენამ პირველ მეოთხედში ათი ქულა შეადგინა. მიუხედავად ამისა, **რიკ კარლაილის** გუნდი არ ჩქარობდა თამაშის პოზიციურ შეტევაში გადაყვანას - მწვრთნელმა თავის გამოჩენის შანსი მისცა **ჯეისონ ტერისა** და დანარჩენ რეზერვისტებს. პრინციპში, ნაწილობრივ ამ სვლამ გაამართლა. ტერი ძალიან ნაყოფიერად და აქტიურად ეხმარებოდა დირკს შეტევაში, ტეხასელთა დანარჩენმა რეზერვისტებმა კი თავი ვერაფრით გამოიჩინეს.

ასე რომ, დიდ შესვენებაზე სტუმრები 5-ქულიანი ჩამორჩენით გავიდნენ, რაც ცუდი შედეგი არ იყო. თავის მხრივ, „ოკლაჰომა" მიღწეულით დაკმაყოფილებას არ აპირებდა. მეორე ტაიმის დასაწყისში **სკოტ ბრუქსის** ბიჭებმა ისევ დაიწყეს კომფორტული უპირატესობის შექმნა და სხვაობა ისევ 10 ქულამდე ავიდა. თუმცა უფრო შორს წასვლა მასპინძლებმა ვერ შეძლეს, რადგან დირკ ნოვიცკი არანაირ შანსს არ უტოვებდა დაცვაში **სერჟ იბაკასა** და დანარჩენებს.

ბოლო მეოთხედიც ანალოგიური სცენარით წარიმართა. „ოკლაჰომამ" დურანტის მეთაურობით ისევ მონახა ძალა მორიგი გაქცევისთვის, ოღონდ ამჯერად უპირატესობა უფრო სოლიდური გახდა - 15 ქულა. ამ მომენტში საფინალო სირენამდე 5 წუთი რჩებოდა და ისე ჩანდა, რომ ამჯერად ნოვიცკი ველარ შეძლებდა სტატუს კვოს აღდგენას. მართალია, **კიდი** და ტერი ღირსეულად ეხმარებოდნენ დირკს, მაგრამ დურანტისა და კომპანიის ასეთი აღმაფრენით თამაშის ფონზე რთული წარმოსადგენი იყო, რომ „დალასი" თამაშის გადარჩენას მოახერხებდა.

მაგრამ, როგორც ჩანს, გერმანელს ძალიან უნდა კარიერაში მეორედ ფინალში თამაში. ის, რაც ნოვიცკიმ ბოლო წუთებში გააკეთა, ოსტატობის ყოველგვარ ზღვარს სცილდება. „მავერიქსის" ლიდერი უბრალოდ იჭერდა ბურთს, უმკლავდებოდა ორმაგ ან სამმაგ მეურვეობას და სხვადასხვა დისტანციიდან არანორმალურ ბურთებს აგდებდა. ასე დააგროვა მან ბოლო ხუთ წუთში 12 ქულა და თითქოს წაგებული მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა. ბოლო წამებზე დურანტს ჰქონდა გამარჯვების მოპოვების შანსი, მაგრამ **შონ მერიონმა** ითამაშა დაცვაში კარგად.

დამატებით დროშიც მაყურებელს ბევრი ნერვიულობის გადატანამ მოუწია. ხუთიდან ოთხი წუთი ქულა ქულაში თამაში მიდიოდა და გუნდები არაფრის დათმობას არ აპირებდნენ. მიუხედავად ამისა, გადამწყვეტ მომენტში წინა პლანზე გამოვიდა გამოცდილება, რომელიც „მავერიქსს" გაცილებით მეტი აქვს. სირენამდე 40 წამით ადრე ჯეისონ კიდის სამქულიანმა გადაწყვიტა ამ მატჩის ბედი. რა თქმა უნდა, „თანდერს" ანგარიშის გათანაბრებისთვის დრო და შანსიც ჰქონდა, მაგრამ ტეხასელები უბრალოდ ვალდებულნი იყვნენ შეენარჩუნებინათ გამარჯვება, რაც გააკეთეს კიდეც.

ასე გახდა სერიაში ანგარიში 3:1 „დალასის" სასარგებლოდ, რომელიც შემდეგ შეხვედრას საკუთარ კედლებში ჩაატარებს. „ოკლაჰომას" ტეხასში ერთი მოგება უკვე აქვს, მაგრამ რთული წარმოსადგენია, რომ ახალგაზრდა გუნდმა სერიაში დარჩენილი სამი მატჩიდან სამივე მოიგოს.

**ოკლაჰომა–დალასი 105:112 (ო)**

**31:22, 28:32, 22:23, 20:24, 4:11**

**ო**: დურანტი (29+15 მოხსნა+4 პასი), უესტბრუკი (19+8 მოხსნა+8 პასი+3 ჩაჭრა), იბაკა (18+10 მოხსნა+5 დაფარება), კოლისონი (12+7 მოხსნა+3 პასი), სეფოლოშა (12+3 ჩაჭრა), ჰარდენი (7+7 მოხსნა), პერკინსი (6), მეინორი (2+3 პასი).

**დ**: ნოვიცკი (40+5 მოხსნა+3 პასი), ტერი (20+5 მოხსნა+4 ჩაჭრა), კიდი (17+7 პასი+5 მოხსნა+4 ჩაჭრა), ჰეივუდი (9), ბარეა (7), მერიონი (7+4 ჩაჭრა), ჩენდლერი (5+8 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (4), სტივენსონი (3).

**სერია: 1-3**




# რევოლუცია ესპანურად

ესპანეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ხოსე ლუის საესი** ძალიან საინტერესო წინადადებით გამოდის, რომელიც 2015 წლის ევრობასკეტის ჩატარებას ეხება.

იდეის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პირველი წრის მატჩები ექვს-შვიდ ქალაქში გაიმართოს, ოღონდ არა ერთ ქვეყანაში, როგორც წესია, არამედ მთელ ევროპაში. ექსპერიმენტის სახით საესი ევროპის ფედერაციას 2015 წელს საკალათბურთო მატჩების პარიზში, ლონდონში, ბერლინში, რომში, მილანში, ათენსა და მოსკოვში ჩატარებას სთავაზობს.



ხოსე ლუის საესი

შემდეგ უნდა აირჩიონ ოთხი ქალაქი, სადაც მომდევნო ეტაპი გაიმართება, შემდეგ კიდევ ორი - ნახევარფინალებისა და ფინალისთვის.

*„მსგავსი მოდელი გულშემატკივრების კალათბურთის სრულ გლობალურობას დაანახებს და აამაღლებს სპორტის ამ სახეობისადმი ინტერესს. გარდა ამისა, ეს სვლა მომგებიანია ტურიზმისა და ბიზნესისთვის"*, - განაცხადა ფედერაციის პრეზიდენტმა.

ასევე საესმა აღნიშნა, რომ მსგავსი ტურნირების წილისყრა ყველა ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით უნდა ტარდებოდეს, თუმცა იმავე ესპანელებისთვის აუცილებელი არ არის ესპანეთში თამაში.

ამ ეტაპზე თავად ესპანეთი არ აცხადებს პრეტენზიას ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობაზე, რადგან ამ ქვეყანამ 2014 წელს უნდა მიიღოს პლანეტის პირველობა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა

# რაფამ ბეწვის ხიდზე გაიარა

გუშინ, როლან გაროსზე კინაღამ უდიდესი სენსაცია ვიხილეთ. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა რაფაელ ნადალმა, რომელსაც არასოდეს წაუგია სეტი საფრანგეთის ღიას პირველ ან მეორე წრეში, არასოდეს უთამაშია აქ ხუთსეტიანი მატჩი და 40-დან 39 მოგება ჰქონდა, ზუსტად ოთხი საათი გაატარა კორტზე ამერიკელ **ჯონ ისნერთან** ერთად და მხოლოდ მეხუთე სეტში გატეხა 2-მეტრიანი გიგანტის წინააღმდეგობა.

**ნოვაკ ჯოკოვიჩთან** მადრიდისა და რომის მასტერსების წაგების შემდეგ ბევრი აღნიშნავდა, რომ ნადალის თამაშში რაღაც მოიშალა. ეს მოსაზრება გუშინდელმა მატჩმაც დაადასტურა. არადა, თავიდან ესპანელისთვის ყველაფერი კარგად იწყებოდა. პირველი სეტის მეშვიდე გეიმში მან ბრეიკი გააკეთა და საქმე ბოლომდე მიიყვანა. მეორე პარტიის სტარტზეც რაფამ კიდევ ერთხელ იყოჩაღა მიღებაზე, შემდეგ კი მომდევნო გეიმში განიმტკიცა უპირატესობა. მაგრამ მერვე გეიმში ამერიკელმა თითქმის შეუძლებელი მოახერხა - ბრეიკი დაიბრუნა და საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა, სადაც ესპანელზე იღბლიანი აღმოჩნდა. ნადალისთვის ეს იყო როლან გაროსზე წაგებული პირველი სეტი 2009 წლის შემდეგ.

მესამე სეტში ბრეიკი არ ყოფილა და ისევ მე-13 გეიმში გადაწყდა პარტიის ბედი. განმეორდა წინა სეტის ისტორია - ისნერმა „შემოკლებულ" გეიმში კვლავ ორი ქულა გაიმეტა მეტოქისთვის და სენსაციურად დაწინაურდა სეტებს შორის.

მეოთხე პარტიაში ნადალმა, როგორც იქნა, დაიწყო თავისი ჩოგბურთის თამაში. თავიდანვე ცხადი გახდა, რომ მატჩის ბედს მეხუთე სეტი გადაწყვეტდა და ასეც მოხდა. ბოლო პარტიაში ერთადერთი, რაც ამერიკელმა შეძლო, ერთი მატჩბოლის მოგერიება იყო. მსოფლიო რეიტინგის პირველმა ნომერმა მეორე შანსი ხელიდან არ გაუშვა და ამ სეზონში მისთვის ერთ-ერთი ურთულესი მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა.

ნადალს 50 „ვინერსი" ჰქონდა და მხოლოდ 27 უნებლიე შეცდომა დაუშვა. შემდეგ წრეში ესპანელი თანამემამულე **პაბლო ანდუხარს** შეხვდება.

*„კმაყოფილი ვარ იმ თამაშით, რაც მატჩის დასაწყისში ვაჩვენე. მეგონა, ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ მეორე სეტის წაგების შემდეგ ავნერვიულდი და უდიდესი ფსიქოლოგიური ზეწოლა ვიგრძენი. ეს გრძნობა მესამე სეტში დამარცხების შემდეგ გამძაფრდა, მაგრამ მეოთხე პარტიის მოგება გადამწყვეტი აღმოჩნდა ჩემთვის. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მეხუთე სეტს მოვიგებდი, რადგან იქ ტაი-ბრეიკს არ თამაშობენ",* - განაცხადა მატჩის შემდეგ ნადალმა.

■ ■ ■

ტრავმით გამოწვეული ორთვიანი შესვენების შემდეგ კორტზე დაბრუნდა ბელგიელი **კიმ კლაისტერსი**, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ის იყო, რომ მსოფლიოს მეორე ჩოგანმა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პირველად ითამაშა როლან გაროსზე. როგორც აღმოჩნდა, პარიზულ კორტებთან დიდხნიანი განშორება კიმს არ დასტყობია.

კლაისტერსი ამ სეზონში მეორედ შეხვდა ბელარუს **ანასტასია იაკიმოვას**. მაიამიში ბელგიელმა დამაჯერებლად გაიმარჯვა და არც ამჯერად გასჭირვებია მოგება, თუმცა მის თამაშში ბევრი ტექნიკური წუნი იყო. პირველ პარტიაში მეტოქეებს საერთოდ არ ჰქონდათ მეორე მოწოდება - ორივემ 12-დან მხოლოდ სამი ქულა აიღო. პირველი მოწოდება კი კლაისტერსისა უკეთესი იყო და ამის ხარჯზე მოიგო პირველი სეტი. კიმმა სეტში ოთხიდან სამი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა.

მეორე პარტიაში არც ერთ მეტოქეს მოწოდება არ წაუვიდა, რამაც ორივეს ერთად 15 ბრეიკ-პოინტი მოუტანა. კიმ კლაისტერსმა თავისი შანსი უკეთ გამოიყენა - კერძოდ, მესამე ცდაზე აიღო ბრეიკი.

მატჩი 80 წუთი გაგრძელდა და ის მოთამაშეების ტანჯვას უფრო ჰგავდა, ვიდრე გააზრებულ თამაშს. ასეთი მოქმედებით რთულია როლან გაროსზე კლაისტერსის პერსპექტივებზე ლაპარაკი. იმედია, ბელგიელი გზადაგზა აკრეფს სათამაშო ფორმას და ტურნირის მეორე კვირას ისევ ის მრისხანე და საშიში კიმი იქნება.

კვლავ კრიზისული პერიოდი უდგას კარიერაში მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს **ანა ივანოვიჩს**. ასეთ სიტუაციაში რუსმა **დინარა საფინამ** გაურკვეველი ვადით შეწყვიტა კარიერა, მაგრამ სერბი ამის გაკეთებას არ აპირებს, ჯიუტად იბრძვის, მაგრამ ჯერ შედეგი არ ჩანს.

ერთი შეხედვით, პირველ წრეში ივანოვიჩს რთული მეტოქე არ ჰყოლია - რეიტინგის 64- ნომერი **იოჰანა ლარსონი**. პირველ სეტში თამაში ჩვეული ტემპით განვითარდა. ბრძოლა აბსოლუტურად თანაბარი გამოდგა - მეტოქეებმა ყველა საკუთარი მოწოდება შეინარჩუნეს და ურთიერთობის გარკვევა ტაი-ბრეიკზე გაგრძელდა, სადაც სკანდინაველმა აჯობა სერბს.

სამაგიეროდ, ივანოვიჩმა მეორე სეტი დამაჯერებლად ჩაატარა - სამიდან სამი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა და ამ პირობებში ლარსონს შანსი არ ჰქონია. ისე ჩანდა, რომ აგრესიულად განწყობილი ივანოვიჩი გამარჯვებამდე მიიყვანდა საქმეს, მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა.

გადამწყვეტი პარტიის სტარტზე მეტოქეებმა ბრეიკები გაცვალეს და თითქოს წინ დიდი ბრძოლა იყო მოსალოდნელი, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. რაოდენ საოცარიც უნდა ყოფილიყო, შვედმა საბოლოოდ იგდო ხელთ მატჩის სადავეები და საათსა და 48 წუთში სენსაციური გამარჯვება მოიპოვა.

### კაცები

#### I წრე

**რაფაელ ნადალი (1)**-ჯონ ისნერი (აშშ) 6:4, 6:7, 6:7, 6:2, 6:4; **პაბლო ანდუხარი (ესპ)**-სანტიაგო ხირალდო (კოლ) 7:6, 6:3, 6:3; **სემ კუერი (აშშ, 24)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) 3:6, 6:1, 6:2, 6:4; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ)**-სომდევ დევარმანი (ინდ) 6:4, 6:3, 6:4; **ქსავიე მალისე (ბელ)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს) 7:5, 3:6, 6:3, 3:6, 6:1; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 16)**-ხუან მონაკო (არგ) 6:2, 7:5, 4:6, 6:4; **რობინ ჰაასე (ჰოლ)**-დანიელ ხიმენო ტრავერო (ესპ) 6:2, 7:6, 6:3; **ჟერემი შარდი (საფ)**-გრიგორ დიმიტროვი (ბულ) 6:2, 6:4, 6:4; **ჟილ სიმონი (საფ, 18)**-მაიკლ რასელი (აშშ) 6:3, 4:6, 6:1, 6:0; **რობინ სიოდერლინგი (შვედ, 5)**-რაიან ჰარისონი (აშშ) 6:1, 6:7, 6:3, 7:5; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-ერიკ პროდონი (საფ) 6:4, 6:1, 6:3; **ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 21)**-რაინერი შუტლერი (გერ) 6:3, 6:3, 6:1; **ანდრეას ჰაიდერ მაურერი (ავსტრია)**-რაიან სვიტინგი (აშშ) 6:1, 6:7, 6:2, 6:0; **ლუკაშ კუბოტი (პოლ)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 11) 3:6, 2:6, 7:6, 7:6, 6:4; **ფლორიან მაიერი (გერ, 20)**-იგორ კუნიცინი (რუს) 6:3, 4:6, 6:4, 6:3; **კევინ ანდერსონი (ს. აფრ, 32)**-ნიკოლა მაუ (საფ) 6:4, 6:4, 6:7, 6:3; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ)**-ტიმ სმიჩეკი (აშშ) 7:6, 6:1, 6:1; **ლუკაშ როსოლი (ჩეხ)**-ედუარდ როჟე ვასელენი (საფ) 3:6, 6:2, 6:4, 3:6, 7:5; **იურგენ მელცერი (ავსტრია, 8)**-ანდრეას ბეკი (გერ) 6:3, 6:4, 6:2.

### ქალები

#### I წრე

**ნა ლი (ჩინ, 6)**-ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ) 6:3, 6:7, 6:3; **სილვია სოლერ-ესპინოსა (ესპ)**-ელენა ვესნინა (რუს) 4:6, 6:3, 6:4; **სორანა კირსტეა (რუმ)**-პატი შნიდერი (შვეიც) 6:1, 6:3; **ალექსანდრა დულგერუ (რუმ, 27)**-ლაურა პოუს ტიო (ესპ) 6:3, 6:4; **ვანია კინგი (აშშ)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 22) 6:7, 6:3, 6:2; **ელენა ბალტაჩა (ბრიტ)**-სლოუნ სტივენსი (აშშ) 7:5, 6:2; **ეკატერინა მაკაროვა (რუს)**-რომინა ოპრანდი (იტა) 6:4, 3:6, 6:0; **იოჰანა ლარსონი (შვედ)**-ანა ივანოვიჩი (სერ, 20) 7:6, 0:6, 6:2; **პოლინ პარმენტიე (საფ)**-ქსენია პერვაკი (რუს) 7:6, 6:4; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 4)**-ანდრეა ჰლავაჩკოვა (ჩეხ) 6:3, 6:3; **მარია შარაპოვა (რუს, 7)**-მირიანა ლუჩიჩი (ხორ) 6:3, 6:0; **კაროლინ გარსია (ესპ)**-ჟუჟანა ონდრაშკოვა (ჩეხ) 6:3, 6:4; **იანინა ვიკმაიერი (ბელ, 21)**-მონიკა ნიკულესკუ (რუმ) 6:0, 6:3; **აიუმი მორიტა (იაპ)**-კრისტინა მლადენოვიჩი (საფ) 2:6, 6:4, 7:5; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 15)**-ბოიანა იოვანოვსკი (სერ) 6:4, 7:6; **ლუსი ჰრადეცკა (ჩეხ)**-ანასტასია სევასტოვა (ლატ) 6:3, 5:7, 6:1; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ)**-კორინა დენტონი (იტა) 7:5, 7:5; **იარმილა გაიდოშოვა (ავსტრა, 24)**-ვირჟინ რაზანო (საფ) 6:3, 6:1; **არანჩა რუსი (ჰოლ)**-მარინა ერაკოვიჩი (ა. ზელ) 2:6, 6:4, 6:4; **კიმ კლაისტერსი (ბელ, 2)**-ანასტასია იაკიმოვა (ბლრ) 6:2, 6:3.



ნადალი კატასტროფას გადაურჩა

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩი** | |
| ირლანდია-ჩრ. ირლანდია | 5:0 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა. პლეი ოფი** | |
| ოსნაბრიუკი-დინამო | 1:1 დ.დ. 1:3 |
| **დანია** | |
| **II დივიზიონი** | |
| აკადემისკი-ჰობრო | 1:1 |
| აგფ ორჰუსი-ვეილე | 1:1 |
| ფრედერისია-ჰვიდოვრე | 3:1 |
| ფინი-კიოგე | 3:4 |
| როსკილდე-ვესტსილანდი | 1:1 |
| ჰიორინგი-ნაესტვედი | 2:1 |
| სკივე-ბრონსჰოი | 1:1 |
| ვიბორგი-კიოლდინგი | 2:2 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ალტახი-სტ. პოლტენი | 3:0 |
| ავსტრია (ლ)-ლუსტენაუ | 1:0 |
| გრიოდიგი-ჰარტბერგი | 3:0 |
| ვენა-ადმირა | 0:0 |
| სტ. ანდრე-გრატკორნი | 3:0 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლ. ენერგია-ტორპედო (მ) | 0:2 |
| ს. ენერგია-ბალტიკა | 1:1 |
| კამაზ-ჩერნომორეცი | 3:1 |
| გაზპრომი-ფაკელი | 2:0 |
| მორდოვია-[illegible] | 2:1 |
| **ესტონეთი** | |
| კურესაარე-კალევი | 0:1 |
| **ევრო 2011** | |
| **UNDER 19** | |
| ბელგია-პორტუგალია | 1:0 |
| ესტონეთი-ხორვატია | 0:1 |
| იტალია-უკრაინა | 1:0 |
| ირლანდია-პოლონეთი | 1:0 |
| რუსეთი-ჰოლანდია | 1:1 |
| ჩეხეთი-ისრაელი | 2:1 |
| **ბალტიის ლიგა** | |
| ვენტსპილსი-შიაულიაი | 2:0 |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **აზია** | |
| ბამბა-სერეზო | 0:1 |
| ჟეონბუკი-ტიანიინი | 3:0 |
| სეპაჰანი-ბუნიოდკორი | 3:1 |
| ალ იტიჰადი-ალ ჰილალი | 3:1 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **საფრანგეთი** | |
| გრაველინი-როანი | 84:77 |
| **იტალია** | |
| სასარი-მილანი | 60:72 |
| **თურქეთი** | |
| ფენერბაჰჩე-ეფესი | 79:70 |

## TV პროგრამა

### 25 მაისი. ოთხშაბათი

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**12:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ევროპის ლიგის პლეი ოფი. როდა-დენ ჰააგი. საპასუხო მატჩი.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ევროპის ლიგის პლეი ოფი. გრონინგენი-ჰერაკლესი. საპასუხო მატჩი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ლილი.
**18:00** იტალიის ჩემპიონატი. რომა-სამპდორია.
**20:00** ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-მანჩესტერ სიტი.
**22:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:30** გერმანიის ჩემპიონატი. პლეი ოფი. ბოხუმი-ბორუსია (მ). საპასუხო მატჩი (LIVE).
**00:30** არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-რივერ პლეიტი.

#### GMG-სპორტი

**10:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მაიამი-ჩიკაგო. IV მატჩი.
**12:15** ჩოგბურთი. „დიდი შლემი". როლან გაროსი. მიმოხილვა.
**13:15** ჩოგბურთი. „დიდი შლემი". როლან გაროსი. IV დღე. პარიზი (LIVE).
**23:30** ბრძოლა წესების გარეშე.
**00:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მაიამი-ჩიკაგო. IV მატჩი.
**05:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. დალასი-ოკლაჰომა. V მატჩი (LIVE).

#### HTB-პლუსი (სპორტი)

**05:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. დალასი-ოკლაჰომა. V მატჩი (LIVE).

#### HTB-პლუსი (ონლაინი)

**04:45** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი (LIVE).

#### HTB-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)

**18:45** რუსეთის ჩემპიონატი. კრილია-ცსკა (LIVE).

#### SPORT+

**22:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. პლეი ოფი. ბოხუმი-ბორუსია (მ). საპასუხო მატჩი (LIVE).
**04:00** ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ტამპა ბეი-ბოსტონი. VI მატჩი (LIVE).

#### EUROSPORT

**13:00** ჩოგბურთი. „დიდი შლემი". როლან გაროსი. IV დღე. პარიზი (LIVE).
**16:00** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XVII ეტაპი. იტალია (LIVE).
**19:30** ჩოგბურთი. „დიდი შლემი". როლან გაროსი. IV დღე. პარიზი (LIVE).

#### EUROSPORT-2

**13:00** ჩოგბურთი. „დიდი შლემი". როლან გაროსი. IV დღე. პარიზი (LIVE).
**22:45** ფეხბურთი. ოთხი ერის თასი. უელსი-შოტლანდია (LIVE).

კრივი

# ჯალათი 50 წლამდე იჩხუბებს

ამერიკელმა მოკრივემ, **ბერნარდ ჰოპკინსმა**, რომელმაც 22 მაისს 79-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ოფიციალურად გამოაცხადა, რომ კარიერას 50 წლის ასაკში დაასრულებს. შაბათს მოპოვებული საჩემპიონო ქამრის წყალობით, 46 წლის ჰოპკინსი პროფესიული კრივის ისტორიაში ყველაზე ასაკოვანი ჩემპიონი გახდა.

შეგახსენებთ, რომ ამერიკელმა კანადის ქალაქ მონრეალში ქულებით დაამარცხა ადგილობრივი მოკრივე **ჟან პასკალი** და მას ტიტული ჩამოართვა.

გასული წლის დეკემბერში ეს მოკრივეები ასევე მონრეალში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და მაშინ მსაჯებმა ფრე დააფიქსირეს. იმ შედეგმა ბევრი კამათი გამოიწვია, რადგან ჰოპკინსმა გამოაცხადა, რომ მსაჯებმა შეგნებულად წაართვეს გარანტირებული გამარჯვება. ამერიკელმა რევანშს მიაღწია და მოგების შემდეგ გამოაცხადა, რომ კიდევ ოთხი-ხუთი წელი აპირებს კრივში დარჩენას.

ჰოპკინსმა პროფესიული კარიერა 1988 წელს დაიწყო, ჩემპიონი კი პირველად 1995 წელს გახდა - 72.6-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში. სულ მან პროფესიულ რინგზე 60 ბრძოლა ჩაატარა, 52 მოიგო (32 - ნოკაუტით), ხუთი წააგო და ორი ფრედ დაასრულა. ერთი შეხვედრის შედეგი გაუქმებულად გამოცხადდა.

კარიერის განმავლობაში ჰოპკინსს ისეთი ცნობილი მოკრივეები ჰყავს დამარცხებული, როგორებიც არიან **ფელიქს ტრინიდადი, ოსკარ დე ლა ჰოია, ანტონიო ტარვერი, კელი პავლიკი** და **როი ჯონსი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დაბერებული ვარსკვლავი

თურქეთის გრან-პრის შემდეგ **მიხაელ შუმახერმა** განაცხადა, რომ ფორმულა 1-ში გამოსვლას აღარ მოაქვს მისთვის სიხარული და კმაყოფილების გრძნობა, როგორც ეს კარიერის ადრეულ წლებში ხდებოდა. ბრიტანული ჟურნალი „ავტოსპორტი“ ცდილობს გაარკვიოს ამ ნაღვლიანი დასკვნის მიზეზი, რომელიც ლეგენდარულმა გერმანელმა პილოტმა „დიდ ცირკში“ დაბრუნებიდან წლინახევრის შემდეგ გამოიტანა.

2010 წელს, სამწლიანი პაუზის შემდეგ შუმახერმა საბრძოლო ბოლიდის საჭესთან დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო, რითაც ალაფრთოვანა ფანების მრავალრიცხოვანი არმია. ვიღაცას უბრალოდ გაუხარდა, რომ „ცოცხლად“ იხილავდა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის გამოსვლას, სხვებმა წარმოიდგინეს ის მომენტი, როცა გერმანელი პილოტი კუთვნილ ადგილს მიუჩენდა ახალი ტალღის ვარსკვლავებს და დაანახებდა ყველას, სინამდვილეში ვინ რას წარმოადგენს თანამედროვე ფორმულაში. იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც მოეწონათ შუმახერის მიერ კონკურენტებისთვის შეთავაზებული გამოწვევა, და ისეთებით, ვისაც უბრალოდ იმ დროის ნოსტალგია ჰქონდათ, როცა ფორმულა 1-ში მხოლოდ ერთი პილოტი დომინირებდა.

მთელი წლის განმავლობაში გულშემატკივრები უამრავ გამართლებას პოულობდნენ შუმახერის უსუსტესი გამოსვლის გასამართლებლად. რა თქმა უნდა, ბევრი არგუმენტი სათანადოდ დასაბუთებული იყო - „ბრიჯსტოუნის“ საბურავების სპეციფიკა, სეზონისთვის მზადებისას დროის დეფიციტი, სპორტსმენის პრიორიტეტისთვის შეუსაბამო შასი, ადაპტაციის სირთულეები... მაგრამ ისეთებიც გვხვდებოდნენ, რომლებიც ყოველი ახალი წარუმატებლობის შემდეგ შუმახერის გაქილიკებასა და მწყობრიდან გამოყვანას ცდილობდნენ. ისინი მიხაელის თანაგუნდელის **ნიკო როსბერგის** გამონათქვამებსაც თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევდნენ იმისთვის, რომ გუნდის შიგნით კონფლიქტი დაეთესათ. ასეა თუ ისე, საბოლოოდ ყველა ერთ დასკვნამდე მივიდა: 2010 წელი ადაპტაციის წელი იყო, მომდევნო სეზონში კი (ნორმალურად ჩატარებული მოსამზადებელი პერიოდით) შუმის გამოსვლის ობიექტურად შეფასების საშუალება გაჩნდებოდა.

სამწუხაროდ, თუ ამ ანალიზს მთელი სიმკაცრით მივუდგებით, მიხაელის პრობლემები რიგითი გულშემატკივრისთვისაც კი იოლი გასაგები ხდება. საკმარისია შევხედოთ სტატისტიკას: გერმანელი ზედიზედ 26 რბოლაა პოდიუმზე არ ასულა, არადა მის კარიერაში ასეთი „მშრალი“ სერია მაქსიმუმ შვიდ რბოლას შეადგენდა. თანაც ეს პერიოდი შუმახერის კარიერის ადრეულ წლებს (1991-92) ემთხვევა. ის შვიდრბოლიანი სერია მომდევნო ექვსი ეტაპის განმავლობაში ხუთჯერ პოდიუმზე ასვლით დასრულდა. გასაგებია, რომ ეს მხოლოდ ციფრებია და ის ვერ გადმოგვცემს იმ გარემოებებს, რამაც ეს კრიზისი გამოიწვია. მაგრამ, ამასთან, უნდა გავიხსენოთ, რომ სტატისტიკის მოყვარულები სწორედ ციფრების მეშვეობით ამტკიცებდნენ მიხაელის პიროვნების სიდიადესა და ხელშეუხებლობას.

შუმახერისთვის სიტუაცია მხოლოდ გრანდიოზული შედეგების არარსებობით არ მძიმდება - მის გამოსვლებში პერსპექტივა არ ჩანს. ერთი მხრივ, მას მუდმივად ავიწროებს თანაგუნდელი: თუნდაც ის, რომ „მერსედესის“ შასის პოტენციალს დღეს როსბერგის შედეგების მიხედვით აფასებენ, ეს შუმახერის რეპუტაციაზე დადებითად არ მოქმედებს. მეორე მხრივ, ის სულ უფრო ხშირად უშვებს ისეთ შეცდომებს, რაც ადრე თითზე ჩამოსათვლელი იყო. მაგალითად, თურქეთის გრან-პრიზე „ლოტუს-რენოს“ პილოტთან **ვიტალი პეტროვთან** ავარიის მოყვანა შეიძლება.

დღეს შუმახერი კიდევ უფრო დადარდიანებული უნდა იყოს, რადგან ამჯერად მას ყველა ტექნიკური პირობა აქვს შექმნილი კარგი შედეგის მისაღწევად, მაგრამ წარმატება მაინც არ მოდის. „პირელის“ წინა საბურავები უფრო მეტად ერგება შუმის პილოტირების სტილს, ვიდრე ეს „ბრიჯსტოუნის“ შემთხვევაში იყო. მანქანა მიხაელის უშუალო მითითებებით იქმნებოდა, ტექნიკური განახლების შემდეგ ბოლიდის ტემპიც ამაღლდა... მაგრამ ამ განახლებებიდან უფრო მეტ სარგებლობას როსბერგი იღებს. უკან დარჩა 2011 წლის ჩემპიონატის თითქმის მესამედი, მაგრამ მიხაელი თავადაც ვერ ხსნის მომხდარს.

ცეცხლზე ნავთის დასხმასავითაა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის მიმართ კონიუნქტურული დამოკიდებულება. როგორც კი შუმახერი რაიმეს დააშავებს (როგორც 2010 წელს უნგრეთში, როცა გერმანელმა კინაღამ ბეტონის კედელს გააკრა რუბენს ბარიკელო და მისი „უილიამსი“), მას მაშინვე გაუხსენებენ ხოლმე ადელაიდასა (1994) და ხერესის (1997) რბოლებს - ორ ეპიზოდს, სადაც მისი მოქმედება, რბილად რომ ვთქვათ, ეჭვს იწვევდა. ამით ყალიბდება ახალგაზრდებს შორის მეტად სპეციფიკური წარმოდგენა ლეგენდარულ პილოტზე. ახალი თაობა იშვიათად იხედება ღრმად ისტორიაში და ამა თუ იმ პილოტზე ზედაპირული წარმოდგენა აქვს. ასე რომ, თუ ეს ისტერია ამგვარი ტემპებით განვითარდა (ბრიტანული პრესის დახმარებით), შუმახერის კიდევ ერთმა-ორმა შეცდომამ, შესაძლოა, ის ბოროტების სიმბოლოდ აქციოს, რომლის დაბრუნებამ ფორმულა 1-ში მხოლოდ ნეგატივი მოიტანა.

ბოლო ფაქტორი, რომელიც ასევე შუმახერის საწინააღმდეგოდაა და გერმანელის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე მოქმედებს - მომავალი თანამშრომლობის შესახებ „მერსედესის“ ბოსების ფარული პოზიცია გახლავთ. ამაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ ზამთარში დაიწყო, როცა გუნდის პილოტების შანსებსა და აქცენტების გადანაწილებაზე იყო მსჯელობა. მაშინ მიხაელის მომხრეებმა გაიმარჯვეს - ისინი არწმუნებდნენ ყველას, რომ შუმის მრავალმილიონიანი კონტრაქტი 2011 წლის შემოსავლებით დაიფარებოდა. მაგრამ „დაიმლერის“ ხელმძღვანელს დოქტორ **დიტერ ცეტშეს** სულ უფრო მეტად აღელვებს შუმის საგაზაფხულო შედეგები და შესაბამისად, აქტუალური ხდება ამ სფეროში დანახარჯების ოპტიმიზაციის საკითხი. განსაკუთრებით იმ მიზნების ფონზე, რის გამოც შუმახერი გუნდში მიიწვიეს...

ჯერჯერობის „მერსედესის“ ბოსები ცდილობენ არ აწყენინონ შუმახერს და უარყოფენ ყველანაირ ინფორმაციას მისი სავარაუდო შეცვლის შესახებ, მაგრამ, როგორც ამბობენ, წამმზომი ჩაირთო. თუნდაც იმიტომ, რომ შუმახერს თავის გასამართლებელი არგუმენტები უკვე აღარ დარჩა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# ფერარიში წმენდა დაიწყო

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, წლევანდელი სეზონის სტარტი „ფერარისთვის“ ერთ-ერთი ყველაზე წარუმატებელი გამოდგა ისტორიაში. ლეგენდარული საჯინიბო ამჟამად მესამე ადგილს იკავებს კონსტრუქტორთა თასზე, მაგრამ მთავარი ის არის, რომ განვლილ ხუთ ეტაპზე „სკუდერიამ“ მხოლოდ ერთი პოდიუმი მოიპოვა - თურქეთში **ფერნანდო ალონსო** მესამე მივიდა ფინიშთან. ამ სიტუაციიდან გამომდინარე „ფერარის“ ხელმძღვანელობამ საკადრო ცვლილებებს მიმართა და პოსტიდან დაითხოვა ტექნიკური დირექტორი **ალდო კოსტა**.

იტალიელი, რომელსაც 5 ივნისს 50 წელი შეუსრულდება, ამ თანამდებობას 2007 წლიდან იკავებდა. ამ დროის განმავლობაში „ფერარიმ“ საერთო ჯამში სამი საჩემპიონო ტიტული მოიგო. როგორც „სკუდერიას“ პრესსამსახური იტყობინება, კოსტა დარჩება „ფერარის“ სტრუქტურაში და სხვა მოვალეობებს შეასრულებს.

**პეტ ფრაი**, რომელიც ბოლო დროს კოსტას თანაშემწე იყო, ტექნიკური დირექტორი გახდა შასის განყოფილებაში. საწარმოო სამუშაოს წარმართვა დაევალა **კორადო ლანცონეს**, **ლუკა მარმორინიმ** კი შეინარჩუნა ძრავებისა და ელექტრობის განყოფილების ხელმძღვანელის პოსტი. სამივენი უშუალოდ გუნდის შეფის **სტეფანო დომენიკალის** დაქვემდებარებაში იქნებიან.

შეგახსენებთ, რომ ამას წინ თავის ტექნიკურ დირექტორს **სემ მაიკლს** გამოეთხოვა ბრიტანული საჯინიბო „უილიამსი“.


ალდო კოსტა

# კუბიცას წელს ვერ ვნახავთ

ოფიციალურად გახდა ცნობილი, რომ „ლოტუს-რენოს“ პოლონელი პილოტი **რობერტ კუბიცა** წელს ვერ შეძლებს მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობას. ამის შესახებ „ლოტუს-რენოს“ თანამფლობელმა **ჟერარ ლოპესმა** გამოაცხადა. კუბიცამ ახლა დაიწყო სარეაბილიტაციო კურსი რალიში მომხდარი უმძიმესი ავარიის შემდეგ.

*„რობერტი წელს რბოლებში მონაწილეობას არ მიიღებს. თუ ჯანმრთელობა ხელს შეუწყობს, მას პარასკევის ვარჯიშებზე ვიხილავთ. თუმცა ამ ეტაპზე სრულფასოვანი დაბრუნების შესახებ ლაპარაკიც არ არის. არც ექიმებმა და არც თავად კუბიცამ არ იციან, რა გავლენას იქონიებს უმძიმესი ტრავმები მის კარიერაზე“*, - განაცხადა ლოპესმა.

როგორც იცით, კუბიცამ 6 თებერვალს, იტალიაში „რალი ანდორაზე“ მიიღო სერიოზული ტრავმები. პოლონელის მანქანა ერთ-ერთ სპეცმონაკვეთზე ტრასიდან გადავარდა და ბარიერს შეეჯახა. რკინის რელსმა მანქანა გახვრიტა და კინაღამ იმსხვერპლა პილოტი. ექიმებს რამდენიმე უმძიმესი ოპერაციის ჩატარება დასჭირდათ დაზიანებული ხელისა და ფეხის შესანარჩუნებლად. კუბიცა ორთვე-ნახევრის შემდეგ გამოწერეს ქალაქ გენუის საავადმყოფოდან.


კუბიცა წელს ვერ იბრძოლებს

## ამბები

### ჰოკეი

### ვეტერანი მიდის

სტენლის თასის სამგზის მფლობელმა, „დეტროიტ რედ უინგზის“ 37 წლის მცველმა **ბრაიან რაფალსკიმ** კარიერა დაასრულა. ჰოკეისტმა ნაადრევად გადაწყვიტა სპორტიდან წასვლა - მისი კონტრაქტი 2011-12 წლების სეზონის ბოლომდე იყო ძალაში.

წელს რაფალსკიმ 19 მატჩი გამოტოვა მუხლის ტრავმის გამო. რეგულარული ჩემპიონატის 63 მატჩში მან ოთხი გოლი გაიტანა და 44 შედეგიანი პასი შეასრულა.

ამერიკელის ანგარიშზე NHL-ში 11 სეზონი მოდის. საწყისი შვიდი წელი „ნიუ ჯერსი დევილზში“ თამაშობდა და 2000 დ 2003 წლებში სტენლის თასი მოიგო. 2007 წელს რაფალსკი „დეტროიტში“ გადავიდა და ერთი წლის თავზე მესამედ დაიმსახურა სტენლის თასი.

ბრაიანს ამერიკის ნაკრებში სამ ოლიმპიადაზე უთამაშია. 2002 და 2010 წლებში მან ორჯერ მოიპოვა ვერცხლის მედალი.

### დომინატორი პაუზას იღებს

ლეგენდარულმა ჩეხმა მეკარემ **დომინიკ ჰაშეკმა**, რომელიც 2010-11 წლების სეზონში მოსკოვის „სპარტაკში“ თამაშობდა, დიდი სპორტიდან ერთი წლით წასვლა გადაწყვიტა. „დომინატორმა“ განაცხადა, რომ კლუბებისგან საინტერესო წინადადებები არ მიუღია, ამიტომაც კარიერაში პაუზას აიღებს. ამასთან, ჩეხმა გოლკიპერმა აღნიშნა, რომ ერთწლიანი შესვენების შემდეგ ისევ აპირებს ყინულზე დაბრუნებას.

კჰლ-ის რეგულარულში 46 წლის ჰაშეკმა შვიდი „შათაუტი“ შეასრულა და ამ მაჩვენებლით ლიგის ლიდერი გახდა. პლეი ოფში ვეტერანს თამაში არ გამოუვიდა და „სპარტაკმა“ აღარ მოისურვა კონტრაქტის გაგრძელება.